# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 24 მარტი 1999 №52 (825) | ფასი 1 ლარი


## 2 სანაკრებო მოულოდნელობანი: ჯანაშია ჩამოვიდა, ფოცხვერია დაშავდა

გუშინ „ლოკომოტივმა“ ზაზა ჯანაშია მოსკოვ — ქუთაისის ავიარეისით გამოისტუმრა

## 3 სავარძლების ქვეყანაში უსავარძლებოდ?!

## 4 მწვანეები შინდისფერების წინააღმდეგ

დღეს, ხვალ და ზეგ: ყველაფერი ჩვენი მეტოქე სლოვენიის შესახებ

## 5 იუგოსლავიური კვანძი არ გახსნილა

### იუგოსლავია vs ხორვატია

ჩაატაროს თუ არა ბალკანელთა მატჩი ბელგრადში, უეფამ გუშინაც ვერ გადაწყვიტა

## 9 დორტმუნდელები ლომის გალიაში




## 12 გვინდა კი რაგბი?!

ტონგელებთან მატჩის წინ საქართველოს ნაკრებს სავარჯიშოდ არცერთ სტადიონზე არ უშვებენ, მოედანი არც ტონგელებისთვის ჩანს

# მოსეშვილი გა-დარჩა!

ბადრი კოთილაძის ფოტო



ლევან მოსეშვილი: ხმები ჩემი ავადმყოფობის შესახებ გაზვიადებულია!

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა ლევან მოსეშვილს ნდობა გამოუცხადა და ნაკრების მწვრთნელად დატოვა


იხილეთ მეათე გვერდი


ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური. 27 მარტი. თბილისი. ეროვნული

## საქართველო — სლოვენია

# გადახდა უნდა ვალსაო...

## როგორ უმასპინძლებს ყადაღადადებული ფეხბურთის ფედერაცია სლოვენიელებს?

ქართული ფეხბურთი კიდევ ერთი სკანდალის საფრთხის წინაშე დადგა. როგორც ჩანს, ძველი ფედერაციის ცოდვები ახალ სამართალმემკვიდრეს კარგა ხანს დააწვება მხრებზე მძიმე ტვირთად. მაშინ, როდესაც საქართველო — სლოვენიის მატჩამდე სამი დღეა დარჩენილი, სტუმრების მიღებითა და მატჩის ორგანიზებით დაკავებულ სფფ-ს მესვეურთ თავზარდამცემი ინფორმაცია დაატყდა თავს. ყოველივე კი საგადასახადო ინსპექციის მიერ მშვიდად და საქმიანად შესრულებულ გადაწყვეტილებას მოჰყვა — ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშს ყადაღა დაედო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩის წინ ფედერაცია, ფაქტობრივად, უფულოდ დარჩა.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გუშინ ეს გვითხრა:

— დილემის წინაშე აღმოვჩნდით. ამას ვერაფრით წარმოვიდგენდი. მაშინ, როცა უკრაინის ნაკრები ორიოდ დღის გასტუმრებული გვყავს და რამდენიმე დღეში სლოვენიელებს ვმასპინძლობთ, ასეთი სიურპრიზი მოგვიწყვეს. ალბათ, ისინი თვლიან, რომ ამით ჩვენ გვეხმარებიან...

**— ვინ არიან ისინი, რომელმა ინსტანციამ მიიღო ეს გადაწყვეტილება?**

— ინფორმაცია სულ ახლახან მივიღეთ და ზუსტად ვერაფერს მოგახსენებთ, ალბათ, საგადასახადო ინსპექციამ. როგორც იცით, სლოვენიელების სტუმრობის ხარჯები მთლიანად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეკისრება. აქ დიდ თანხაზეა საუბარი, ვიზების, სასტუმროს, კვების, მსაჯების და დელეგატების სტუმრობის ხარჯები — ყველაფერი ჩვენ უნდა დავფაროთ. ეს დაახლოებით 30 000 დოლარია. არადა, ანგარიში გაყინული გვაქვს, საიდან მოვიტანოთ ეს თანხა? თუ ორ დღეში ყადაღა არ მოიხსნა, ფედერაცია ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან. არადა, რა ვუთხრათ ქართველ გულშემატკივარს?

**— მსგავსი გადაწყვეტილების მიღება საგადასახადოს მხრიდან, ცხადია, გარკვეულ მოსაზრებებს ემყარება...**

— ეს გადაწყვეტილება მათ შესაძლოა ფედერაციის დავალიანების გამო მიიღებს. ეს ძველი ფედერაციის ვალია, მაგრამ რამდენადაც ჩვენ მათი სამართალმემკვიდრენი ვართ, მის გადახდაზე უარს არ ვამბობთ. დავალიანება აუცილებლად დაიფარება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ ამის საშუალება არა გვაქვს. მომავალ შესარჩევ ციკლში სპონსორებისგან სერიოზულ შემოსავალს მივიღებთ და ყველაფერს მაშინ გავისტუმრებთ. როგორმე ამაზე უნდა დაგვთანხმდეს საგადასახადო ინსპექცია და ანგარიში გაგვიწიოს. ერთიცაა — ვფიქრობ, მთავრობა შეცდომაში შეიყვანეს სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილ თანხებთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ეს არ იყო გრანტი, ეს იყო ჩვეულებრივი პროცენტიანი კრედიტი და ყოველწლიურად უეფას (ოცი წლის განმავლობაში) 70 000 შვეიცარული ფრანკი უნდა ვუხადოთ. ასე იქნება 2018 წლამდე.

**— სლოვენიამდე ცოტა დრო დარჩა. არის გამოსავალი?**

— დრო მართლაც მცირეა. დღესვე შევხვდებით საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელებს და შევთავაზებთ დაველოდოთ მომავალ შესარჩევ ციკლს. ისინი, ალბათ, გაგვიგებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ყველანაირ პასუხისმგებლობას ვიხსნით. მატჩის ჩაშლა სრულიად რეალურია. მეორე ვარიანტიცაა — თუ საგადასახადო ყადაღას არ მოგვიხსნის, მაშინ ვინმე გულმოწყალემ უნდა გაიღოს ეს ხარჯები. თუმცა ვიმედოვნებ, რომ საქმე აქამდე არ მივა.

*გუშინვე დავადგინეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედარაციის ანგარიშზე ყადაღის დადება დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციას გადაუწყვეტია. ჩვენც ამ სამსახურის უფროსის მოადგილეს, ალეკო ალავიძესაც ვთხოვეთ სიტუაციაში გარკვევა.*

**— რის საფუძველზე დაედო ყადაღა სფფ-ს ანგარიშს?**

— ამ ორგანიზაციას ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანება აქვს.

**— რა თანხას შეადგენს დავალიანება?**

— ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით 300 000 ლარს და ჩვენმა სამსახურმაც მოქმედი კანონმდებლობით მიიღო ეს გადაწყვეტილება.

**— შეღავათი...**

— რა შეღავათები?

**— ფედერაცია იმედოვნებს, რომ ორმხრივი მოლაპარაკება სასურველი შედეგით დამთავრდება.**

— დაფარონ დავალიანება და ყადაღაც მოიხსნება.

*ერთი სიტყვით, ასეა. პრობლემა მართლაც სერიოზულია. პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საგადასახადო ინსპექციის პატივცემული მოხელე მომავალ შესარჩევ ციკლამდე ლოდინს არ აპირებს. ჯერი ფედერაციის ხელმძღვანელობის მარიფათზეა. დღეს ორმხრივი მოლაპარაკება გაიმართება და იმედია, ამჯერად ყველაფერი ქართველი გულშემატკივრის სასიკეთოდ გადაწყდება.*

*ერთი რამ კი ცხადია — საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა სრულიად კანონიერია, ვალს გადახდა უნდა.*

პაატა ქვანტალიანი

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური

# საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული



ბადრი კილოსანიძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრები სლოვენიელთა დასახვედრად გადახალისებული შემადგენლობით ემზადება

## ფოცხვერია დაშავდა. ჯანაშია ჩამოვიდა

უკრაინასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდის წევრებმა ერთი დღე დაისვენეს, ახლობელ-მეგობრები მოინახულეს, ორშაბათს ხუთ საათზე დილმის ბაზაზე ერთ საათამდე ივარჯიშეს და გუშინ, დილით, 9 საათზე ხელახლა შეიკრიბნენ. სასტუმრო „მესაზღვრეში“ ფეხბურთელებმა და მწვრთნელ-პერსონალმა ნომრები დაინაწილეს, სასტუმრო დაკეტილია, ყველა სათითაოდ განთავსდა.

ეროვნული გუნდი უკვე სრული შემადგენლობითაა. გუშინ საღამოს მოსკოვიდან ქუთაისში ჩაფრინდა მოსკოვის ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია, რომელიც თბილისში დღეს ჩამოვა. ივარჯიშებს, მით უმეტეს, ითამაშებს თუ არა იგი, ამას ნაკრების ექიმები იტყვიან, ჯანაშიას სწორედ ისინი გასინჯავენ. როგორც გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, ზაზას წვივი სტკივებია, თუმცა „ლოკომოტივთან“ ერთად კი უვარჯიშია.

ჯერჯერობით უცნობი ვირუსი შეჰყრია ჰოლანდიური „ბრედას“ არჩილ არველაძეს, რომელსაც მაღალი სიცხეები აქვს და შინ წევს. სავარაუდოდ, 27 მარტს არჩილი ვერ ითამაშებს.

გუშინდელი დილის ვარჯიშის შემდეგ ვლადიმერ გუცაევს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა — მუხლი შეუბრუნდა მიხეილ ფოცხვერიას. იგი საოპერაციოა, თუმცა, როგორც გავიგეთ, ექიმებს უთქვამთ, სახვევებისა და გამაყუჩებელი ნემსის გაკეთების შემთხვევაში მიშას სლოვენიასთან თამაში შეეძლებაო. ახლა ყველაფერი ფეხბურთელზეა დამოკიდებული. ისე კი დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ თამაშის ოდნავი შანსი ექნება, ფოცხვერია უკან არ დაიხევს. ამის მაგალითი მან ერთხელ უკვე გვიჩვენა, მაშინ, როცა ფოთში მოლდოველებს ქუსლგადატყავებულმა თავბედი აწყევლინა.

ვერ არის სასურველ ფორმაში შოთა არველაძე. ლავიწდაზიანებულმა და თავგატეხილმა, მართალია, ჰოლანდიის ჩემპიონატში ორჯერ უკვე ითამაშა, მაგრამ, თავად ფეხბურთელის თქმით, სათანადო კონდიციამდე არც თუ ცოტა აკლია. მას თამაშის იმედი კი აქვს, თუმცა დავალებას როგორ შეასრულებს, ღმერთმა უწყის. ყოველ შემთხვევაში, ხალხის გასახარებლად ყველაფერს ვილონებო — დაგვაიმედა შოთამ.

გუშინდელ საღამოს ვარჯიშზე დამძიმებული ჩანდა გიორგი ქინქლაძე. ეს არცაა გასაკვირი, მას თვენახევარია, არ უვარჯიშია. თუმცა, ის, ალბათ, ერთ ტაიმს მაინც ითამაშებს. ქინქლაძის ამბავი ხომ კარგად იცით, შეიძლება მთელი თამაში ჩრდილში იყოს, მაგრამ ერთს ისეთს გააკეთებს, ყველაფერს რომ გადასწონის. ნორმალურად გამოიყურებიან შვეიცარიაში მოთამაშე ჯამარაული და ყაველაშვილი, ალარაფერს ვამბობთ კალაძე-კობიაშვილ-დემეტრაძეზე. მწვრთნელებს მათი ეიმედებათ.

მეკარეებიდან ყველაზე მეტად გრიშიკაშვილი ყოჩაღობს. დევაძემ გუშინ პირველად ივარჯიშა და ეტყობა, თავიდან ოდნავ გაუჭირდა.

ფეხბურთელებმა ორ საათს ივარჯიშეს. უკრაინელებზე უკვე ალარავინ ფიქრობს, მწარე მარცხი დავიწყებულია.

გუცაევმა გუნდი ორად გაჰყო. ცალკე ნახევარმცველებს გააჩალებინა კვადრატი, ცალკე მცველ-თავდამსხმელებს. იყო ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება, მწვრთნელი ფეხბურთელებს უხსნიდა, ამა თუ იმ ეპიზოდში როგორ სჯობს თამაში. იყო კარში დარტყმებიც, რისი შემყურეებიც ვვარაუდობთ, რომ სლოვენიასთან ქართველები უფრო ფლანგებიდან შეაწუხებენ მეტოქეს.

ბოლოს ბიჭებმა ნახევარ მოედანზე „ორი კარი“ ითამაშეს.

ერთ გუნდში იყვნენ: დევაძე, დარასელია, სილაგაძე, ყაველაშვილი, გახოკიძე, ალექსიძე, ქინქლაძე, დემეტრაძე, დავით ჯანაშია, ჯანელიძე წინ თამაშობდა.

მეორეში: გრიშიკაშვილი, ბალაშვილი, თარხნიშვილი, კობიაშვილი, წერეთელი, ჩხაიძე, კალაძე, შოთა არველაძე, ჯამარაული, ნემსაძე.

„ორი კარი“ პირველთა გამარჯვებით დამთავრდა 4:3. მოგებულთაგან ქინქლაძემ, დემეტრაძემ, ორჯერ გახოკიძემ იყოჩალეს. წაგებულთაგან — კობიაშვილმა და ორჯერ ჯამარაულმა.

ეროვნული ნაკრების ვარჯიშამდე კი იქვე, იმავე მინდორზე ახალგაზრდული ნაკრები თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობას ეთამაშა. მატჩი ნაკრებმა მოიგო 3:1. გოლები დარასელიამ და ორჯერ მეგრელაძემ შეაგდეს. გიგლა იმნაძემაც სრულ შემადგენლობას მოუყარა თავი. გუნდს უკრაინასთან ეროვნულში მიწვეული მიხეილ აშვეთია და ბელგიაში მოთამაშე ლაშა ჯაკობია შეუერთდნენ. გუცაევისგან განსხვავებით, იმნაძეს სხვა პრობლემა აწუხებს — სავარჯიშო მინდორი. დილმის ბაზის მეორე მოედანი გამოუსადეგარია, მცხეთაში მინდორი დატბორილი ყოფილა და ისე მოხდა, რომ დილით ახალგაზრდულის წევრებმა სადღაც, ღორღზე ივარჯიშეს. მწვრთნელს ნეგუშად ზოოვეტერინალური ინსტიტუტის სტადიონი დარჩენია, ეგებ ელგუჯა გუგუშვილმა შეგვიფაროსო. თქვენ წარმოიდგინეთ, ახალაგაზრდული ნაკრებისთვის ესეც სანერვიულოა.

დღეს ეროვნული გუნდი დილით „შევარდენზე“ ივარჯიშებს, საღამოს კი ისევ დილმის ბაზას ესტუმრება.

ძოგა ინასარიძე



აკაკი დევაძე ბოლოს რუსებთან მატჩისთვის ემზადებოდა, მაგრამ არ უთამაშია. ახლა?



ნაკრების აიაქსელები: გიორგი ქინქლაძე და შოთა არველაძე

# ტორპედო: ოჰ, ეს ბათუმი?!

## ფრუიძის გზას შესაძლოა, ხერხაძეც გაუყვეს

შაბათს ხმა დაირხა, „ტორპედოს“ მწვრთნელი ჯემალ ხერხაძე თანამდებობიდან გაათავისუფლესო. ვითარებაში გასარკვევად ჯემალ ხერხაძეს სახლში მივაკითხეთ. ქუთაისელთა გუნდის თავკაცი, როგორც ყოველთვის, სიტყვაძუნწი იყო, შეკითხვებზეც მოკლედ გვიპასუხა.



ბადრი კილოსანიძის ფოტო

ჯემალ ხერხაძე

**— რა მოხდა, გუნდთან ერთად რატომ არა ხართ?**

— არც მე ვიცი. შაბათ დილით ვარჯიში მქონდა დანიშნული. ბაზაზე ავედი თუ არა, კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა კახა ჯიქიამ მომახარა, მიხეილ ქორქიამ დარეკა თბილისიდან, თავისუფალი ხარ გუნდიდანო.

**— ბათუმში თამაშის შემდეგ რა მოხდა?**

— რაც წაგებას მოსდევს ხოლმე. ქორქია გასახდელში შემოვიდა და გუნდი მაგრად შეახურა.

**— მარტო შეახურა?**

— არ მინდა მაგაზე საუბარი.

**— იმ საღამოსვე ქუთაისში უნდა შეხვედროდით ბაზაზე...**

— ქუთაისში რომ ჩამოვედით, შეუძლოთ ვიგრძენი თავი, ბიჭებს დავუბარე, ორი დღე დაისვენეთ და შაბათიდან გავაგრძელოთ მეთქი.

**— თქვენ არც ნიგერიელის „პრეზენტაციას“ დასწრებიხართ?**

— არა, ხომ გითხარით, შეუძლოთ ვიყავი.

**— „ტორპედოს“ აქაური ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ მიხეილ ქორქია არაფერ შუაშია, პრეზიდენტს თქვენი განთავისუფლების შესახებ არაფერი უთქვამს, პირიქით, ხერხაძის სჯერაო...**

— ტყუილი რაში მჭირდება, კახა ჯიქიამ მითხრა, თავისუფალი ხარო. აბა, ახლა, ამ სიტუაციაში, რომელი ჭკუათმყოფელი მიატოვებს გუნდს.

**— ესე იგი მიხეილ ქორქიას ჩამოსვლას ელოდებით?**

— ჰო, ორ-სამ დღეში უნდა ჩამოვიდეს. მე გაურკვეველ სიტუაციაში ვერ ვიმუშავებ.

**— მაინც, როგორ თვლით, რა იყო „ბათუმთან“ წაგების მიზეზი?**

— წაგების უფლება არ გვქონდა. არც ვიმსახურებდით, თუმცა გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა თამაში. სუსტი იყო ნახევარდაცვა, დაცვაში ახვლედიანი გამოგვაკლდა ადრიანად, რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. არა, ამ მარცხის გამართლება არ შეიძლება, მაგრამ წაუგებელიც არავინაა. ყველაფერი ხდება. მიხეილ ქორქიასი კარგად მესმის, კაცი ფულს ხარჯავს და უკუგებას ითხოვს.

რა უნდა ვთქვათ. ამჯერად მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით დავკმაყოფილდეთ.

ისე, რა გააჭირა საქმე ამ „ბათუმმა“. ნახევარი წლის წინ ტორპედოელთა თავკაცი სოსო ფრუიძე დატოვა უმუშევარი. ახლა საკუთარი მწვრთნელი კი შეინარჩუნა და...

იუზა ძაციტაძე
ქუთაისიდან

## ხერხაძე უჩვეულო ამპლუაში



გია მეგრელაძის მაისურიანი ნდუკა უგბადე (№10) გელა ძაგნიძეს ფეხებში ჩაუვარდა

გუშინ ქუთაისში, საღორიის საწვრთნელ ბაზაზე, ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ თასის გათამაშების ნახევარფინალისტები „ტორპედო“ და „სამგურალი“ წარდგნენ. ტორპედოელთა თავკაცი ჯემალ ხერხაძე დამკვირებლის როლში მოგვევლინა.

რაღა თქმა უნდა, მეტოქეებს ნაკრებ გუნდებში გამოძახებულნიც აკლდნენ. ნიგერიელ ნდუკა უგბადეს გია მეგრელაძის №10 მაისური მოერგო და ტაიმნახევარი ჯიუტად ცდილობდა თავის გამოჩენას. უგბადეს კარგი პასი სცოდნია და გამორბენის გარეშე აუტიდან ბურთის შუაგულ საჯარიმოში ჩაგდებაც ეხერხება. „დუკა“, ასე მონათლეს ქუთაისში აფრიკელი, ფიზიკურად ვერ არის მზად და ამას თავადაც არ უარყოფს, ორი კვირა მაცალეთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

პირველ ტაიმში წყალტუბოელთა ეულმა ფორვარდმა ქუთათელაძემ გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში ჯერ სამგურალელი მოთამაშე შოთა დარსაძე დაეხმარა ტორპედოელებს, კარის გასწვრივ ჩაწოდებული ავტოგოლად აქცია, მერე მაზანიშვილის გრძელი, საოცრად ზუსტი გადაცემით იონანიძემ გაიტანა და ქუთაისელებმა 2:1 მოიგეს.

ჰო, შესვენებაზე წყალტუბოელთა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ თავის მეკარეს, დავით ასლანაძეს, მსაჯთან ბოდიში მოახდევინა. საქმე ის არის, რომ ერთ ეპიზოდში პაატა დოგრაშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მეკარემ არბიტრზე მუშტებით გაიწია. მართალია, დოგრაშვილმა ასლანაძეს წითელი აუფრიალა, მაგრამ იგი მოედნიდან არ გასულა.

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო!

## სავარძლების ქვეყანაში უსავარძლებოდ?

*საქართველო სავარძლების ქვეყანაა. არა იმიტომ, რომ აზია-ევროპის გასაყარზე მცხოვრებ ქართველებს აღმოსავლურად ფეხმორთხმას კუთვნილ ტახტრევანზე ჯდომა გვირჩევნია. არა, ლამის ნახევარი მსოფლიო ამ წესითვე ამჯობინებს ცხოვრებას, მაგრამ სავარძლისოდ ერთმანეთს თავ-პირს ჩვენნაირი მონდომებით როდი ამტვრევს.*

*ესეცაა, საქართველოში ბევრი კაცია, სავარძელი კი, ისევე როგორც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე, ძალიან ცოტა. პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება, სამართალდამცავებთან დაძაბული ურთიერთობა ქომაგთა ურთიერთდაპირისპირებაში რომ არ გადაიზარდოს, ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამები სასწრაფოდ (შაბათამდე რაღას მოესწრება), ნორვეგიასთან 26 აპრილის მატჩამდე უნდა დამონტაჟდეს.*

*დრო (მონდომება იყოს და) საკმარისია და გაუგებარია, ბათუმში თუ მოხერხდა 20 000 სავარძლის რამდენიმე კვირაში დადგმა, ეროვნულ სტადიონზე კიდევ ორი ამდენის დასამონტაჟებლად ოცდამეერთე საუკუნის დადგომას რატომ ელოდებიან?*

*შაბათს საქართველო ტრაგედიას გადარჩა — საფეხბურთო ტრაგედიას. ეროვნულ სტადიონს ამდენი ხალხი ასე სტიქიურად კარგა ხანია არ მისწყდომია. რა გასაკვირია, რომ საქართველო — უკრაინის მატჩის ნახვის მსურველთ წინ ვერც პოლიციის ორმაგი კორდონი და ვერც ვერაფერი დაუდგა.*

*ცხადზე ცხადია, როცა სტადიონზე მხოლოდ 20 000 სავარძელი დგას, უეფას მოთხოვნით კი მეტი ბილეთი არ იყიდება, სტადიონს მიღმა ათეულ ათასობით ქომაგი უნდა დარჩეს. ასე რომ, პრობლემა მხოლოდ სამართალდამცავთა არაორგანიზებულობა როდია. პრობლემაა სკამების სიმცირე.*

*რა უნდა შეიცვალოს, რომ ამ შაბათსაც, ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი არ დაგვჭირდეს, მატჩს ნუ ჩაშლით, უეფას სტადიონის დისკვალიფიკაციას ნუ გამოვტყუებთო, მოზღვავებულ, ბილეთიანთა თუ უბილეთოთა, საშვიანთა თუ უსაშვოთა შესაჩერებლად? ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ ფედერაციის გენმდივანს და კომიტეტის თავმჯდომარეს, სტადიონის დირექტორს და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს.*



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

აბა, ამათი უფეხბურთოდ დატოვება იქნება?!

### ვალერი ჩოლარია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი*

**— ბატონო ვალერი, რა კომენტარს გაუკეთებდით 20 მარტს საქართველო — უკრაინის შეხვედრისას მომხდარ ფაქტს. ბევრ ჟურნალისტს სტადიონზე მოსახვედრად გვარიანი წინააღმდეგობის გადალახვა უწევდა...**

— ვიცი, რომ მსგავს ფაქტებს, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა. ეს არ უნდა მომხდარიყო.

**— ამასწინათ თქვენ განაცხადეთ, რომ შესარჩევი ციკლის ბოლომდე ძალაში დარჩებოდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გაცემული სტადიონზე დასასწრები აკრედიტაციის ბარათები.**

— იგივეს ახლაც ვადასტურებ. კარგია, რომ შემახსენეთ. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ როდესაც იყო იმ საკითხის განხილვა, თუ როგორ რეჟიმში გაგრძელდებოდა ჟურნალისტთა საქმიანობა ეროვნულ სტადიონზე, პირადად ელგუჯა ბერიშვილთან შეთანხმებით გამოვიტანე ასეთი გადაწყვეტილება, რომ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გაცემული აკრედიტაციები შესარჩევი ციკლის ბოლომდე ძალაში დარჩებოდა და ამის შესახებ შესაბამისი მითითებებიც გავეცი.

**— ბატონო ვალერი, იმავე მატჩზე მაყურებელთა გათვალისწინებულზე ბევრად დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. ასეთ შემთხვევას უეფა რეაგირების გარეშე არ ტოვებს. ფაქტია, რომ ყოველივე ცუდი ორგანიზების ბრალია, ამ საქმეში კი რამდენიმე ინსტანცია მონაწილეობდა... ვისი ბრალია ეს ყველაფერი?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. ეს საბოლოოდ გასარკვევია, მაგრამ, ალბათ, ისევ იმ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის, ვინც ჟურნალისტებს სტადიონზე არ უშვებდა, მერე კი რამდენიმე ათასი გულშემატკივარი „გაეპარა". ფაქტია, სტადიონის და მოედნის მისადგომებს სამი ათასზე მეტი პოლიციელი იცავდა. ეს რაოდენობა ზოგჯერ ომის მოსაგებადაც საკმარისია. აქ ორი მომენტია, ან ისინი მოეკიდნენ ზერელედ თავიანთ მოვალეობას, ან არასწორი დავალება მიიღეს. თეორიულად კი ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი. ჩვენ წერილობით ვაცნობეთ ქალაქის მერიას, რომ მატჩისთვის უკლებლივ ყველა სამსახური მობილიზებული ყოფილიყო და ამასთან დაკავშირებით იქ საგანგებო თათბირიც ჩატარდა, მაგრამ... ეს საუკეთესო მაგალითია იმისა; თუ როგორი არ უნდა იყოს ორგანიზებული მსგავსი მატჩები...

**— სლოვენიელებთან ოფიციალური შეხვედრა კარს მოგვადგა...**

— მსგავსი ფაქტები არ უნდა განმეორდეს. 25 მარტს მერიაში კვლავ შევიკრიბებით. ალბათ, შესაბამისი ინსტანციები თავიანთ შეცდომებს სათანადოდ გაანალიზებენ და დამატებით ზომებსაც მიიღებენ.

**— ოფიციალურად თუ აცნობეთ უეფას, რაც მოხდა?**

— ჩვენ მათ ვაცნობეთ, რომ მატჩის ნახვის მსურველი 20 000-ზე გაცილებით მეტია და სტადიონზე მაყურებელთა დასასწრები ადგილების გაზრდა ვთხოვეთ. ჯერჯერობით უეფადან პასუხი არ მიგვიღია. თუ ისინი კომპრომისზე წავიდნენ, ჩვენ სასწრაფოდ დავბეჭდავთ დამატებით ბილეთებს და მათ შეღავათიან ფასებში გავყიდით. მაგრამ აქ ერთი მომენტია — უკრაინელებთან შეხვედრაზე სულ 7000 ბილეთი და 800 აბონემენტი გაიყიდა... ასე რომ, გულშემატკივარმაც უნდა გაგვიგოს და მხარში ამოგვიდგეს.

### ემზარ ჟენაიშვილი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო კომიტეტის თავჯდომარე*

— მატჩის ნახვის მსურველი რომ ბევრი იყო, თავისთავად კარგი ფაქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში, მიუხედავად ასეთი შეჭირვებული მდგომარეობისა, ხალხს ჯერ კიდევ შერჩა სპორტის და ფეხბურთის სიყვარული. მათ ეიმედებათ, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში უფრო განვითარდება და აყვავდება. უნდა ვეცადოთ, რომ ეს ინტერესი არ გავანლოთ, პირიქით, მის ერთიორად გაღვივებას შევუწყოთ ხელი. აქ კი ერთი გამოსავალია, დროულად უნდა შევასრულოთ უეფას მოთხოვნები. ეროვნულ სტადიონზე მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა დამონტაჟდეს ინდივიდუალური სკამები. ამით მსგავს პრობლემებს თავიდან ავიცილებთ.

**— სლოვენიელებთან შეხვედრამდე, ბუნებრივია, ინდივიდუალური სკამების დაყენება ვერ მოხერხდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მატჩის რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში არ გადაიცემა და, აქედან გამომდინარე, ინტერესიც მეტი იქნება. უეფას მოთხოვნები კი გასათვალისწინებელია...**

— აქ ერთი გამოსავალია. მაქსიმალური მობილიზება სჭირდება გულშემატკივრებს და, რა თქმა უნდა, შესაბამის ორგანიზაციებს, ვინც მატჩის უმტკივნეულოდ ჩატარება უნდა უზრუნველყოს.

**— საქართველო — უკრაინის მატჩისას პრობლემები, ჩვენი ნაკრების არიყოს, ჟურნალისტებსაც არ მოგვკლებია...**

— ვიცი, რომ ჟურნალისტთა განსაზღვრულ ჯგუფს სამართალდამცავებთან ურთიერთობისას გარკვეული პრობლემები შეექმნა. ეს ჩვენი ძველისძველი სენია და ამ მხრივ მუშაობაა საჭირო.

### ელგუჯა ბერიშვილი

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი*

— მე პრობლემის იმ ნაწილს შევეხები, რაც უშუალოდ პრესას უკავშირდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მცდელობისა, პრობლემა პრობლემად რჩება — აკრედიტებულ ჟურნალისტს, ვიდრე სტადიონის პრესლოჟამდე მიაღწევს (საერთოდ თუ მიაღწია), როგორც წესი, ათასი დაბრკოლების დაძლევა უწევს. თუ პოლიციელ-კონტროლიორი ცუდ გუნებაზეა, თავბედს გაწყევლინებს, ნერვებს მოგიშლის, შეურაცხყოფას მოგაყენებს...

უკრაინელებთან მატჩის წინა დღეებში შევხვდი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ამავე ფედერაციის საინფორმაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ დავით ქლიბაძესთან ერთად ვიყავით სტადიონზე, ვესაუბრეთ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და დირექტორს. მოვილაპარაკეთ ყველა წვრილმანზე, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობები მაინც მოხდა. მაგალითად, გაუგებარია, როცა პოლიციელი, რომელსაც წესრიგის დაცვა ევალება, წესით და რიგით აკრედიტებულ ჟურნალისტს საბუთს უწუნებს და სტადიონზე არ უშვებს. ამას იურიდიულ ენაზე, თუ არ ვცდები, უფლებამოსილების გადამეტება ჰქვია. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს არის არამარტო ჟურნალისტის უფლებების შელახვა, არამედ იმ ადამიანთა ძალისხმევის წყალში ჩაყრა, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია, რომ პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, მოგვარდეს.

პარასკევს მერიაში თათბირია, სადაც 27 მარტის მატჩის საორგანიზაციო საკითხებს განიხილავენ. იმედია, ამ შეკრებას მაინც მოჰყვება რეალური შედეგი და ჟურნალისტები მათთვის განკუთვნილ ადგილებამდე ნერვებმოუშლელად მივლენ.

### ნუკრი კაკილაშვილი

*ეროვნული სტადიონის დირექტორი*

— თამაშის წინ უამრავმა უბილეთო ადამიანმა მოიყარა თავი სტადიონის კარებებთან. პოლიციამ, როგორც შეეძლო, გაუწია წინააღმდეგობა, მაგრამ გულშემატკივრებმა ბოლოს მაინც შემოგლიჯეს ჩაკეტილი კარი და ტრიბუნებზეც მოხვდნენ. თავადაც გეცოდინებათ, ეს პირველი შემთხვევა არ არის...

**— რეალური საშიშროებაა იმისა, რომ 27 მარტსაც იგივე განმეორდეს. როგორ აპირებთ უბილეთო ქომაგების შეჩერებას?**

—იმის გამო, რომ ეროვნულ სტადიონზე წესრიგის დაცვა ხშირად არ ხერხდება ფიფა-უეფამ მკაცრ კონტროლზე აგვიყვანა. უკრაინასთან მატჩის წინ მათ კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რომ თუ ამ შეხვედრებშიც დაირღვეოდა წესრიგი, ანუ ტრიბუნებზე იჯდებოდა ოცი ათასზე მეტი მაყურებელი ჩვენს წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს გამოიყენებდნენ. სამწუხაროდ, უკრაინელებთან ვერ შევასრულეთ მათი მოთხოვნები, არადა, ამას სამი ათასზე მეტი პოლიციელი ცდილობდა. ახლა, ხუთშაბათს, თბილისის მერიაში გაიმართება საგანგებო თათბირი, სადაც სლოვენიასთან მომავალი თამაშის ორგანიზაციაზე ვიმსჯელებთ. მაშინ გადაწყდება ისიც, თუ როგორ ალიკვეთება უბილეთოების სტადიონზე მოხვედრა. თუმცა გარკვეული გეგმა უკვე გვაქვს, მთავარია, როგორ შესრულდება იგი. ისევ პოლიციელებმა უნდა გამოიჩინონ მეტი სიმკაცრე, სხვა გზას პირადად მე ვერ ვხედავ. თუ ახლაც დაირღვა წესრიგი, მაშინ მკაცრ სასჯელს ველარ გადავურჩებით. ფულად ჯარიმასთან ერთად შესაძლოა, სტადიონსაც დისკვალიფიკაცია მისცენ და საერთაშორისო მატჩების ჩატარებაც აგვიკრძალონ.

**— ეს პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნებოდა, აქამდე პლასტმასტის ინდივიდუალური სკამები რომ დამონტაჟებულიყო. მაინც როდის დაადგება ამ საქმეს საშველი?**

— ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი ამჟამად წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომლის საკონტროლო პაკეტსაც თბილისის მერია ფლობს. ამას წინათ მერიას წარვუდგინეთ ხარჯთაღრიცხვა იმისა, თუ რა თანხა სჭირდება მთელ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას. ყოველმხრივ დახმარებას დაგვპირდნენ. ეს საკითხი საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, როცა ქალაქის ბიუჯეტი დამტკიცდება, სწორედ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით უნდა გაკეთდეს ახალი სკამები. მანამდე კი რამეზე ლაპარაკი ნაადრევია. ვეცდებით, წლეულს მთლიანად თუ ვერა, რაღაც ნაწილი მაინც გავაკეთოთ. დანარჩენს კი, ალბათ, გაისად მივხედავთ.

**— უკრაინის ნაკრებთან თამაშის წინ სტადიონზე შესვლაზე დიდი პრობლემები შეექმნათ აკრედიტებულ ჟურნალისტებს, იგივე ბედი გაიზიარა მრავალმა ბილეთიანმა ქომაგმაც, რომლებიც სტადიონს მიღმა აღმოჩნდნენ...**

— დღესდღეობით თითქმის ყოველ მეორეს აქვს ჟურნალისტისა თუ სხვა საშვი და ეს ხალხი სტადიონზე შესვლასაც მოითხოვს. თამაშის წინ შევხვდით პოლიციის წარმომაგენლებს და ვუჩვენეთ, თუ როგორი საშვის მქონე ჟურნალისტები უნდა შემოეშვათ, მაგრამ რადგან პრობლემები მაინც წარმოიშვა, ეტყობა, პოლიციამ ვერ გაარჩია საშვები. ყველანაირად ვეცდებით, სლოვენიასთან მატჩში აღარ ჰქონდეთ ეს პრობლემა არც ჟურნალისტებს და არც ბილეთიან ქომაგებს.

**პაატა ქვანტალიანი**
**ვანო ოქროპირიძე**
**ვახტანგ ბზიკაძე**

## მზვერავები ისევ წყვილად ჩამოვლენ

**საქართველოში** ერთად ყოფნის პატივი ალბანეთის ნაკრების თავკაც ასტრიდ ჰაფიზს და ნორვეგიის ნაკრების მეორე მწვრთნელ ალფრედ უსტაფსონს კვლავ მიეცემათ. ეს ორი მწვრთნელი თბილისში შარშან შემოდგომაზე იმყოფებოდა. 4 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან ჰაფიზის გუნდის მარცხის უშუალო მოწმე დამკვირვებლად ჩამოსული ალფრედ გუსტაფსონიც იყო.

ქვეჯგუფის მეტოქეების უკეთ შესწავლის მიზნით 27 მარტს ჩვენი სტუმრები საქართველო — სლოვენიის მატჩს დაესწრებიან.

ისინი თბილისს თამაშის დღეს ეწვევიან და საქართველოს იმავ ღამეს, მატჩის გასრულების შემდეგ დატოვებენ.

**პაატა ქვანტალიანი**

## ვასომ ტყუპისცალი კენტად დატოვა

**სამტრედიის** „იბერიას", როგორც ჩანს, კარგა ხანს ისევ ულიდეროდ მოუწევს ყოფნა. საქმე ვასილ გიგაძეს ეხება. მან ტრავმა ჯერ კიდევ 28 თებერვალს, ეროვნული ჩემპიონატის განახლებისას, ზუგდიდის „ოდიშთან" ფრედ 0:0 ნათამაშებ საშინაო შეხვედრაში მიიღო.

ამას წინათ ვწერდით, გიგაძე ტრავმას იშუშებს და გუნდს უახლოეს ხანში შეუერთდებაო. თუმცა რა შეერთებაზეა ლაპარაკი, როდესაც ფეხბურთელს, თუ „იბერიის" პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს ვერწმუნებით, ჯვარედინი იოგების გაწყვეტა დაუდგინდა.

ასე რომ, „იბერიას" ისევ კენტი გიგიაძით მოუხდება თამაში. როდემდე, იქნება სოსო გიგიაძე უტყუპისცალოდ, ეს მკურნალობის პროცესზეა დამოკიდებული.

**გიორგი ვაშაკიძე**

*შარშან, 6 სექტემბერს, როცა ათენში სლოვენიელებმა ბერძნებთან ფრედ ითამაშეს, ბევრს გაუკვირდა და ამ ერთგვარ მოულოდნელობას თავისი ლოგიკა ჰქონდა. ჯერ ერთი, ექსიუგოსლავიელებმა წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი აშკარად ჩაავდეს. რვა თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. მეორეც, თანამემამულე ბერძნებთან ორივე თამაში წააგეს საერთო ანგარიშით 0:5. არც შარშანდელი სეზონი ყოფილა მათთვის გამორჩეული. ბერძნებამდე გუნდმა ექვსი შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. აბა, რაღა გასაკვირია, რომ იმ საღამოს ყველა ბერძნების მოგებას ელოდა. მაგრამ...*

# მწვანეები შინდისფერების წინააღმდეგ

ნაკრებში არსებული გაურკვეველი სიტუაცია ნაწილობრივ ზაფხულში დალაგდა. იქაური ფეხბურთის მამები მთავარ მწვრთნელს ბოჟან პრაშნიკარს შემოსწყრნენ და 1 ივლისს მის მაგიერ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი დამრიგებელი სრეჩკო კატანეცი დანიშნეს. თავის დროზე გერმანიასა და იტალიაში კარიერაგავლილმა კატანეცმა გუნდში ახალი იდეები მოიტანა. სლოვენიელების თამაში უფრო მწყობრი და ხისტი გახდა. ვერ ვიტყვით, რამდენიმე თვეში მწვრთნელმა სასწაული მოახდინაო, მაგრამ ფაქტია, რომ მათ სწრაფი და ხშირად ჯარიმის ზღვარზე მოთამაშე გუნდი ჰყავთ. ასეთებთან კი ქართველებს ყოველთვის უჭირდათ და უჭირთ გამკლავება: „თუ ხისტი თამაში უხეშობაა, ჩათვალეთ, რომ უხეშები ვყოფილვართ... ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად", — ეს სიტყვები კატანეცმა „სარბიელს" უთხრა.

როგორი გუნდია სლოვენია? ძლიერს ვერ დავარქმევთ, ვერც სუსტობას დავწამებთ. ის ჩამორჩება თავის ყოფილ მოძმეებს, ხორვატიისა და იუგოსლავიის ნაკრებებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, სკოლა მაინც სკოლაა და ამიტომ, ტექნიკა იქნება თუ ბრძოლისუნარიანობა, არ უნდა დაეწუნებოდეთ. მოკლედ, რომ ვთქვათ, სლოვენიისა ქართველების ნაკრებს არ სჯობს, თუმც არც არაფრით ჩამოუვარდება. ამიტომ შაბათის მატჩის შედეგი დიდად იქნება დამოკიდებული, ვინ უკეთესი განწყობითა და მომზადებით შეხვდება კონკრეტულ საათნახევარს.

„მწვანეებისა" (სლოვენიელთა მეტსახელია) და „შინდისფერების" საფეხბურთო ისტორია ერთმანეთს ბევრით ჰგავს, ერთის გარდა. სლოვენიის ეროვნულმა ნაკრებმა თავისი პირველი შეხვედრა ჯერ კიდევ 1920 წლის 5 ივნისს ჩაატარა მარიბორში ფრანგების წინააღმდეგ და 0:5 წააგო (ქართულმა ეროვნულმა პირველად 1990-ში ითამაშა). ფრანგთა დელეგაციაში მაშინ ლეგენდარული ფიფას პრეზიდენტი ჟიულ რიმეც ყოფილა. სლოვენიელთათვის კი ვინმე სტენატ პელანს უთავკაცია. ეს იყო და ეს. მას შემდეგ, 1992 წლამდე, „მწვანეები" აღარ გამოჩენილან. ამ ხნის განმავლობაში სლოვენიელი ფეხბურთელები იუგოსლავიის გაერთიანებულ ნაკრებში გამოდიოდნენ. შვიდი წლის წინათ კი, ესტონელებთან მატჩით, ეროვნული გუნდის ისტორია დაიწყო.

ქართველთა მსგავსად, „მწვანეების" პირველი ოფიციალური ტურნირი ევრო 96-ის შესარჩევი ციკლი გახლდათ.




1994 წლის 7 სექტემბერი. სლოვენიელთა პირველი ოფიციალური მატჩი. უდოვიჩმა (№10) იტალიელ ბარეზის დაასწრო

სლოვენიელებმა რიხით დაიწყეს შეჯიბრი. პირველ მატჩში იტალიას უმასპინძლეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ მოუგეს. საშო უდოვიჩმა დასაწყისშივე გახსნა ანგარიში. მალე კოსტაკურტამ საპასუხო გაიტანა. სლოვენიელები ბევრს უტევდნენ და მეორეც შეაგდეს, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა. როგორც მერე გაირკვა, ის გოლი „მწვანეებზე" ალალი ყოფილა. კარგი დასაწყისი ნახევარი საქმეაო, ნათქვამია, მაგრამ ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა. სლოვენიელებმა ვერაფრით დააწყვეს თამაში და საბოლოოდ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე გავიდნენ.

იტალიამდე ნახევარი წლით ადრე, 1994-ის თებერვალში, „მწვანეები" „შინდისფერებსაც" შეხვდნენ მალტის ოთხთა ტურნირზე. თანაბარი ბრძოლის ბედი გლიჰას ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. სლავთა კაპიტანი სრეჩკო კატანეცი იყო, ხოლო მისი მაშინდელი თანაგუნდელები: სიმეუნოვიჩი, რუდონია და ზაჰოვიჩი, ალბათ, შაბათს თბილისშიც ითამაშებენ.

დღეს სლოვენიის ნაკრებს უამრავი ლეგიონერი ჰყავს და მწვრთნელებიან-ფეხბურთელებიანად ფინალურ ეტაპზე გასვლის პრეტენზიაც გასჩენიათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მენტალიტეტითაც ქართველებს ჰგვანან. მაგრამ რა გამოვა აქედან? კატანეცის თქმით, მის გუნდს წუნი არა აქვს. გულის სიღრმეში, ალბათ მწვრთნელი ასე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ფიქრობდეს. აი, მისი გუნდის ერთი სერიოზული ნაკლი. შემოდგომაზე გამართული სამი შესარჩევი მატჩიდან, სამივეში იგებდნენ, მაგრამ ორ შემთხვევაში უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. მეორეს მხრივ, მათ ურთულეს ფსიქოლოგიურ სიტუაციაში გაუყაიმეს ბერძნებს და ლატვიას მაშინ გაუტანეს, როცა დამთავრებამდე ოთხი წუთი რჩებოდა. გამოდის, სლოვენიელებს მებრძოლი ბიჭები ჰყავთ, მაგრამ სტაბილური თამაშით კი ვერ დაიკვეხნიან. ამას მხოლოდ ციფრებზე დაყრდნობით არ ვამბობთ. ვისაც სლოვენიელთა თამაში უნახავს, შეამჩნევდა, რომ თითქმის ყველა მატჩში კატანეცის შეგირდებისთვის დროდადრო ჩავარდნები უცხო არ არის. რისი ნიშანია ეს? ალბათ, ფეხბურთელების სათამაშო კლასისა და კიდევ იმის, რომ სლოვენიელებს ჯერ კიდევ არ ჰყავთ გუნდი, რომელსაც ეროვნული ნაკრები შეიძლება დავარქვათ. გამოდის, ამაშიც ქართველებს ჰგვანან. ოღონდ „შინდისფერებს" აქ ერთი მინუსი აქვთ, ვერასდროს ახერხებენ გაშვებული ბურთის გაქვითვას და ბოლო წუთებზე გატანას.

თამაში, რომელმაც მეტ-ნაკლებად დაგვანახა ჩვენი შაბათის მეტოქის სახე, შარშან, 10 ოქტომბერს გაიმართა ლიუბლიანაში. იმ საღამოს სლავებმა ნორვეგიელებს უმასპინძლეს (1:2) და პრაქტიკულად თანაბარ ბრძოლაში მხოლოდ იმიტომ წააგეს, რომ კლასით ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს. პირველი ბურთი მასპინძელთა საუკეთესო მეგოლემ, ზლატკო ზაჰოვიჩმა გაიტანა მას შემდეგ, რაც ჯონი ნოვაკმა ჩინებულად ითამაშა მარჯვენა ფრთაზე და საჯარიმოში ზუსტად ჩააწოდა (ფრანგული „ლე ავრის" 29 წლის ნახევარმცველი ნოვაკი დაშავებული ყოფილა და თბილისში ვერ ითამაშებს. ეს დიდი დანაკლისი იქნება სლოვენიელებისთვის). პირველი ტაიმის ბოლოს ტორე ანდრე ფლომ გაათანაბრა. დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი რეკდალმა მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში არცთუ ძლიერად დაარტყა, სიმეუნოვიჩმა რატომღაც მარჯვენა ხელით სცადა აღება და რამდენიმე წამში ბურთი ბადიდან გამოიტანა. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ მოწინააღმდეგე ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდაო — თქვა მერე კაპიტანმა დარკო მილანიჩმა. კაპიტანი არ ტყუოდა.

თბილისში ჩვენს საუკეთესო თამაშს გიჩვენებთო, განუცხადა კატანეცმა „სარბიელს". არც მწვრთნელი ტყუის. შაბათის მატჩი ორივე გუნდისათვის უმნიშვნელოვანესია და ეგებ გადამწყვეტიც კი იყოს.

**სოლომონ გულისაშვილი**




სლოვენიის ნაკრები ნორვეგიასთან მატჩის წინ. 1998 წლის 10 ოქტომბერი.
დგანან: ოსტერცი, პავლინი, კნავსი, სიმეუნოვიჩი, მილანიჩი
სხედან: ნოვაკი, რუდონია, ჩეპი, ზაჰოვიჩი, გალიჩი, უდოვიჩი



# სლოვენია

სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში
მოსახლეობა: 2 მილიონი ადამიანი
ფართობი: 20 252 კვ კმ.
დედაქალაქი: ლიუბლიანა (320 ათასი მაცხოვრებელი)
რელიგია: კათოლიკური
ენა: სლოვენიური და სერბულ-ხორვატული.




NOGOMETNA ZVEZA SLOVENIJE
NZS

სლოვენიის საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1920 წელს
უეფას წევრია 1992 წლიდან
ფიფას წევრია 1993 წლიდან
კავშირის პრეზიდენტია რუდოლფ ზავრლი

## სლოვენიის ნაკრების ყველა მატჩი

**მწვრთნელი ბოჟან პრაშნიკარი**

02.06.92 ტალინი
ესტონეთი 1:1 სლოვენია
07.11.92 ლარნაკა
კვიპროსი 1:1 სლოვენია
07.04.93 ლიუბლიანა
სლოვენია 2:0 ესტონეთი
13.10.93 კრანი
სლოვენია 1:4 მაკედონია

**მწვრთნელი ზდენკო ვერდენიკი**

08.02.94 ვალეტა
სლოვენია 1:0 საქართველო ოტ
10.02.94 ვალეტა
სლოვენია 2:2 ტუნისი ოტ
12.02.94 ვალეტა
მალტა 0:1 სლოვენია ოტ
23.03.94 სკოპიე
მაკედონია 2:0 სლოვენია
06.04.94 სომბათჰეი
უნგრეთი 0:1 სლოვენია
27.04.94 მარიბორი
სლოვენია 3:0 კვიპროსი
01.06.94 ბუქარესტი
რუმინეთი 0:0 სლოვენია
07.09.94 მარიბორი
სლოვენია 1:1 იტალია ეჩშ
12.10.94 კიევი
უკრაინა 0:0 სლოვენია ეჩშ
16.11.94 მარიბორი
სლოვენია 1:2 ლიტვა ეჩშ
29.03.95 მარიბორი
სლოვენია 3:0 ესტონეთი ეჩშ
26.04.95 ზაგრები
ხორვატია 2:0 სლოვენია ეჩშ
07.06.95 ვილნიუსი
ლიტვა 2:1 სლოვენია ეჩშ
11.06.95 ტალინი
ესტონეთი 1:3 სლოვენია ეჩშ
06.09.95 ვიდემი
იტალია 1:0 სლოვენია ეჩშ
11.10.95 ლიუბლიანა
სლოვენია 3:2 უკრაინა ეჩშ
15.11.95 ლიუბლიანა
სლოვენია 1:2 ხორვატია ეჩშ
06.12.95 ერმოსილიო
მექსიკა 1:2 სლოვენია
07.02.96 ვალეტა
სლოვენია 7:1 ისლანდია ოტ
09.02.96 ვალეტა
მალტა 0:0 სლოვენია ოტ
11.02.96 ვალეტა
სლოვენია 1:3 რუსეთი ოტ
27.03.96 ლოძი
პოლონეთი 0:0 სლოვენია
24.04.96 ათენი
საბერძნეთი 2:0 სლოვენია მჩშ
21.05.96 ლიუბლიანა
სლოვენია 2:2 საამიროები
01.09.96 ლიუბლიანა
სლოვენია 0:2 დანია მჩშ
10.11.96 ლიუბლიანა
სლოვენია 1:2 ბოსნია მჩშ
18.03.97 ლინცი
ავსტრია 0:2 სლოვენია
02.04.97 სპლიტი
ხორვატია 3:3 სლოვენია მჩშ
30.04.97 კოპენჰაგენი
დანია 4:0 სლოვენია მჩშ
06.09.97 ლიუბლიანა
სლოვენია 0:3 საბერძნეთი მჩშ
10.09.97 სარაევო
ბოსნია 1:0 სლოვენია მჩშ
11.10.97 ლიუბლიანა
სლოვენია 1:3 ხორვატია მჩშ

**მწვრთნელი ბოჟან პრაშნიკარი**

05.02.98 ლიმასოლი
სლოვენია 3:2 ისლანდია ოტ
06.02.98 ლიმასოლი
სლოვენია 1:1 სლოვაკეთი ოტ
09.02.98 ლიმასოლი
კვიპროსი 1:0 სლოვენია ოტ
25.03.98 ვარშავა
პოლონეთი 2:0 სლოვენია
22.04.98 მურსკა სობოტა
სლოვენია 1:3 ჩეხეთი

**მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი**

19.08.98 ზალაეგერსეგი
უნგრეთი 2:1 სლოვენია
06.09.98 ათენი
საბერძნეთი 2:2 სლოვენია ეჩშ
10.10.98 ლიუბლიანა
სლოვენია 1:2 ნორვეგია ეჩშ
14.10.98 მარიბორი
სლოვენია 1:0 ლატვია ეჩშ
08.02.99 მასკატი
სლოვენია 0:2 შვეიცარია
10.02.99 მასკატი
სლოვენია 7:0 ომანი

სულ: 47 მატჩი, 14 მოგება, 12 ფრე, 21 წაგება, ბურთების სხვაობა 62:67

ოტ — ოთხთა ტურნირი; ეჩშ — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი; მჩშ — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაში.

## ხუთი წლის წინათ

1994 წლის 8 თებერვალი. ვალეტა. „ტა ქალის" სტადიონი. 6 000 მაყურებელი

**სლოვენია 1:0 საქართველო**

1:0 გლიჰა (80)
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, გალიჩი, პოლშაკი, კრიჟანი, ჟიდანი, კატანეცი, იერმანისი (ბინკოვსკი 71), ზელიჩი (რუდონია 46), ფლორიანჩიჩი (ენგლარო 46), ზაჰოვიჩი, გლიჰა
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე (ყაველაშვილი 73), ყიზილაშვილი
მსაჯი: ლორი სამუტი (მალტა)
გააფრთხილეს: გოგიჩაიშვილი, რევიშვილი; ჟიდანი

## სლოვენია

მე-20 ტური. ოლიმპია — მურა 0:1, ველენიე — აიდოვშინა 4:1, ბელტინჩი — მარიბორი 1:2, ნოვა გორიცა — კოროტანი 1:0, კოპერი — ტრიგლავი 0:2, ცელიე — დომჟალე 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 20 | 12 | 6 | 2 | 47:23 | 42 |
| ნოვა გორიცა | 20 | 12 | 3 | 5 | 38:24 | 39 |
| მურა | 20 | 10 | 5 | 5 | 37:17 | 35 |
| ველენიე | 20 | 9 | 5 | 6 | 25:16 | 32 |
| კოროტანი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:27 | 29 |
| ოლიმპია | 20 | 8 | 4 | 8 | 30:29 | 28 |
| აიდოვშინა | 20 | 7 | 5 | 8 | 25:25 | 26 |
| ცელიე | 20 | 4 | 9 | 7 | 15:23 | 21 |
| ბელტინჩი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:38 | 21 |
| დომჟალე | 20 | 5 | 6 | 9 | 20:35 | 21 |
| ტრიგლავი | 20 | 4 | 6 | 10 | 17:30 | 18 |
| კოპერი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:40 | 17 |

# ობლაკიდან კატანეცამდე

სრულყოფილმა იუგოსლავიის ნაკრებმა ბოლო მატჩი 1992 წლის მარტში ჩაატარა ჰოლანდიელების წინააღმდეგ. ბალკანელებს წინ ევროპის ჩემპიონატი ელოდათ და ვინ წარმოიდგენდა, რომ ევრო 92 კი არა, უკვე შესუსტებული იუგოსლავია მომდევნო თამაშს ორწელიწადნახევრის შემდეგ, 94-ის დეკემბერში გამართავდა.

პოლიტიკურმა სიტუაციამ და სამოქალაქო ომებმა სახელმწიფო დაშალა. გაეროს სანქციებს სპორტის ჩინოსნებმაც აუბეს მხარი და იუგოსლავიელები ევროპის ჩემპიონატიდან მოკვეთეს. კონტინენტის ერთ ერთი საუკეთესო გუნდისგან აღარაფერი დარჩა. იმავე 92 წელს ექსიუგოსლავიური რესპუბლიკები უეფას წევრები გახდნენ.

ხორვატიამ, სლოვენიამ, მაკედონიამ და ბოსნია-ჰერცეგოვინამ თავთავისი ნაკრებები ჩამოაყალიბეს, ხოლო სერბია და ჩერნოგორია დღესაც იუგოსლავიის სახელით გამოდიან.

ბალკანელებს ყოველთვის ჰყავდათ მაღალი კლასის ფეხბურთელები. მათ შორის, ცხადია, სლოვენიელებიც იყვნენ. ორ მათგანს კი სულაც იუგოსლავიური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესოთა შორის ასახელებენ.

60-70-იანი წლების ლეგენდარულმა ნახევარმცველმა ბრანკო ობლაკმა გაერთიანებულ გუნდში 50 მატჩი ჩაატარა და 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. ობლაკი ლიუბლიანის „ოლიმპიისა" და სპლიტის „ჰაიდუკის" შემდეგ, 75-80 წლებში, ბუნდესლიგაში-„შალკესა" და „ბაიერნში" გამოდიოდა. მან 120 გერმანულ შეხვედრაში 10 გოლი შეაგდო.

მეორე ვარსკვლავი სლოვენიელთა დღევანდელი მთავარი მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი გახლდათ. კატანეცმა იუგოსლავიის მთავარ გუნდში შვიდი წლის განმავლობაში, 1983-დან 90 წლამდე ითამაშა. ნაკრების მაისური 31-ჯერ მოირგო და 5 ბურთი შეაგდო. სლოვენიელთა რიგებში კი 5-ჯერ გამოვიდა და ერთხელ გაიტანა.

კარიერის საუკეთესო წლები გერმანიასა და იტალიაში გაატარა. „შტუტგარტთან" ერთად უეფას თასის ფინალში გავიდა, ხოლო „სამპდორიასთან" ერთად თასების თასი მოიგო.

სლოვენიელბმა ეროვნული ჩემპიონატის გათამაშება 1991-92 წლების სეზონიდან დაიწყეს და წლეულს მერვე პირველობას ატარებენ.

### სლოვენიის ჩემპიონები

| | | |
|---|---|---|
| 1992 | ოლიმპია | (ლიუბლიანა) |
| 1993 | ოლიმპია | (ლიუბლიანა) |
| 1994 | ოლიმპია | (ლიუბლიანა) |
| 1995 | ოლიმპია | (ლიუბლიანა) |
| 1996 | ჰიტ | (გორიცა) |
| 1997 | მარიბორი | (მარიბორი) |
| 1998 | მარიბორი | (მარიბორი) |

# გაზაფხული ტვინს აბუყბუყებს

## ყოფილ იუგოსლავიაში საყოველთაო ძალადობაა

*გუშინ უეფას ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ემსჯელა — სად ჩატარდებოდა, ან საერთოდ თუ გაიმართებოდა იუგოსლავია — ხორვატიის დაპირისპირება. ევროპის ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საბოლოო სიტყვა გააჭიანურა, გადაწყვეტილება ვერ მიიღო. დრო არ ითმენს — მატჩი ახლოვდება. ამასობაში ორივე ქვეყანაში საფეხბურთო არეულობები მატულობს — იუგოსლავიასა და ხორვატიაში გულშემატკივრებსა და სამართალდამცავებს შორის ჩხუბი ლამის ყოველდღიურ ამბად იქცა.*



1999 წლის 20 მარტს ბელგრადში გაზაფხული იდგა

გაზაფხულის შემოსვლამ ჩვეული ავადმყოფობების გამწვავება იცის. ჰიპერტონიით დაავადებულთ წნევა ეწევათ, ვისაც გული ველარ მოსდევს, თავისი უჭირს, ზოგს სახსრებში ტეხს, ზოგსაც სიარული უძნელდება. ყველაფერი ინდივიდუალურია.

არის ხალხი, რომელსაც ტვინი უდუღს და ასეთებს გაზაფხულობით თავში ისეთი ბუყბუყი ეწყებათ, რომ ახლოს ჩავლაც საშიშია. მობუყბუყეთა კატეგორიას უეჭველად განეკუთვნებიან ეგრეთ წოდებული ფანები, რომელთაც ხან ულტრას უწოდებენ, ხან კიდევ სხვა სახელს მოუგონებენ ხოლმე, მაგრამ სახელების ცვლით არსი არ იცვლება. ეს ხალხი, გინდა ისე დაარქვი, გინდა ასე, სტადიონზე საჩხუბრად დადის.

მობუყბუყენი ძალიან ბევრ ქვეყნებში არიან, თითქმის ყველგან და რა გასაკვირია, რომ ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოებშიც არსებობდნენ. მათ ერთი ორად უდუღთ ტვინი, რადგან ჯერ ერთი, როგორც ფანებს საფეხბურთო სნეულება შეყრიათ, მეორეც, ისინი ომებით დატანჯულ ქვეყნებში ცხოვრობენ და ამიტომ ჩვეულებრივი საფეხბურთო ავადმყოფობაც უფრო მწვავე ფორმით აქვთ გამომჟღავნებული.

ამის საუცხოო მაგალითი გახლდათ გასულ შაბათს იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადსა და ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მომხდარი ამბები. ზაგრებით დავიწყოთ.

ხორვატიის პირველობაზე „კროაცია" და სპლიტის „ჰაიდუკი" შეხვდნენ ერთმანეთს. თამაშის მიმდინარეობის აღწერა ამჯერად არ გვაქვს ამოცანად დასახული, მოკლედ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „კროაციამ" 1:0 მოუგო მეტოქეს, რომელიც ბოლოს ათი კაცითღა იყო მოედანზე დარჩენილი — ერთი გაუძევეს. ის, რაზეც ჩვენ ვაპირებთ შეჩერებას, ტრიბუნაზე მოხდა.

„კროაციას" სტადიონზე, შაბათს, ახალი, ორიარუსიანი ჩრდილოეთის ტრიბუნის საზეიმო გახსნა გაიმართა, მაგრამ ვაი ამ ზეიმს. ახალი ტრიბუნა დაუყოვნებლივ „მონათლეს" მათ, ვინც თავს „ცუდ ლურჯ ბიჭებს" უწოდებს. ცუდმა ლურჯმა ბიჭებმა სკამების მტვრევა და ნამტვრევების დაბლა სროლა ატეხეს. დაბლა კი პოლიციელები იდგნენ.

წესრიგის აღმდგენმა საგანგებო რაზმმა, ბუნებრივია, ხელები დაიკაპიწა და დარაზმული მოქმედების შედეგად, წესრიგი აღადგინა, მაგრამ როგორც გაირკვა, დროებით. შესვენებაზე უარესი ამბავი ატყდა რის შედეგადაც ქვედა იარუსის გვარიანი ნაწილი სკამების გარეშე დარჩა.

ცუდი ლურჯი ბიჭები, ამასთან, გაუჩერებლივ ყვიროდნენ „დინამო", „დინამოს". მოგეხსენებათ, გუნდს, რომელიც 90-იან წლებში საერთაშორისო სარბიელზე „კროაციას" სახელით ასპარეზობს, კომუნისტურ ეპოქაში „დინამო" ერქვა და მისი ფანები სახელის ცვლილებას დღემდე ვერ შეგუებიან.

გაცილებით დიდი არეულობა იმ დღეს ბელგრადში იყო. ცრვენა ზვეზდას" სტადიონზე, „მარიკანას" რომ ეძახიან, 112-ე დიდი დერბი გაიმართა: „ცრვენა ზვეზდა" „პარტიზანის" წინააღმდეგ. ისტორია ასეთია: „ცრვენა ზვეზდა" 20-ჯერ გახლდათ იუგოსლავიის ჩემპიონი, „პარტიზანი" — 15-ჯერ. „ცრვენა ზვეზდა" 1991 წელს ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს, „პარტიზანი" 1966 წელს ფინალში იყო. ყოფილი, ერთიანი და კომუნისტური იუგოსლავიის დაშლისა და დამოუკიდებელი ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ „პარტიზანი" უფრო წარმატებული გამოდგა. იგი ოთხჯერ გახდა ეროვნული ტიტულის მფლობელი, „ცრვენა ზვეზდა" კი — მხოლოდ ორჯერ.

ურთიერთშეხვედრებში ასეა საქმე: 112-დან „ცრვენა ზვეზდამ" 48 მოიგო, „პარტიზანმა" 31, დანარჩენი ფრედ დამთავრდა.

ცხოვრებამ მოიტანა, რომ ბელგრადული დერბი უცხოელ დამკვირვებელთა და სკაუტთა დიდ მოზღვავებას იწვევს. ვინც ამ შეხვედრაში კარგად ითამაშებს, კარგად გაიყიდება — ასეთია ლოზუნგი. გადავხედოთ ბოლო წლებს. „პარტიზანის" პრედრაგ მიატოვიჩმა და სავო მილოშევიჩმა სწორედ დერბიში გამოიჩინეს თავი და დიდებული უცხოური კონტრაქტები გააზერხეს. იგივე ბედი ეწიათ „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელებს დეიან სტანკოვიჩსა და პერიცა ოგნიენოვიჩს.

რა წინაპირობა ჰქონდა „ცრვენა ზვეზდა" — „პარტიზანის" შაბათის დაპირისპირებას? გუნდებს შორის სხვაობა არც მეტი, არც ნაკლები, 15 ქულა იყო. ცხრილს „პარტიზანი" ლიდერობდა, „ცრვენა ზვეზდა" კი მესამეზე გახლდათ. თანაც, „ცრვენა ზვეზდას" რამდენიმე დღით ადრე, შუა კვირაში, სუსტ „პროლეტერთან" ჰქონდა წაგებული და, შესაბამისად, თავმოყვარეობაშელახული გახლდათ.

„სუსტ გუნდთან წაგება გაფრთხილებად მივიღეთ. მართალია, ჩემპიონატის ტიტულისთვის ბრძოლას ველარ ვახერხებთ, მაგრამ მეტი უარყოფითი განცდა აღარ გვჭირდება. „პარტიზანთან" მოგება გვშია და გვწყურია" — ამბობდა „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელი ვოინ ლაზარევიჩი.

„ჩვენ ჩვეულებრივად ვითამაშებთ. შევუტევთ, მაგრამ ქარის საწინააღმდეგოდ არ გადავაფურთხებთ" — ბრძანებდა მისი კოლეგა „პარტიზანიდან" ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი.

შეხვედრის მიმდინარეობის აღწერას, არც ამ შემთხვევაში ვაპირებთ. მატჩი 2:2 დამთავრდა. თავიდან „ცრვენა ზვეზდა" 2:0-ს იგებდა, მერე „პარტიზანმა" გაათანაბრა, მაგრამ მანამდე...

ჯერ თამაში არ იყო დაწყებული, როდესაც სტადიონის ახლო-მახლო გაჰყრილმა მეტოქეთა ტვინმობუყბუყე ფანებმა საშინელი ჩხუბი გააჩაღეს. თხუთმეტი მათგანი დაიჭრა, ერთი — მძიმედ, სამოცი კი პოლიციამ დააპატიმრა. სააგენტო „როიტერის" ფოტოკორესპონდენტმა საკუთარი თვალით იხილა, როგორ დაუსვა მავანმა ფანმა ერთ-ერთ პოლიციელს სახეზე პლასტიკატის ბასრი ნივთი. სხვა თვითმხილველთა თქმით, საკმარისია მოჩხუბრებს მოწინააღმდეგე ზურგშექცევით მდგომი მოეხელთებიათ, რომ დანას უყრიდნენ.

და ამასობაში ნატო, კოსოვოს პრობლემის გამო, ბელგრადის დაბომბვას ფიქრობს.

**მიხეილ სურგულაძე**




1999 წლის 20 მარტს ზაგრებშიც გაზაფხული იდგა

## იუგოსლავია

24-ე ტური: ბუდუჩნოსტი — ზემუნი 1:1, ვოივოდინა — რადი 1:1, სარტიდი — პროლეტერი 2:1, ცრვენა ზვეზდა — პარტიზანი 2:2, რადნიჩკი (კრაგუილევაცი) — ჰაიდუკი 1:0, მოგრენი — მილიციონარი 1:0, სპარტაკი — ობილიჩი 0:4, ზელენიკი — ოფკ 2:1, პრიშტინა — რადნიჩკი (ნიში) 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 24 | 21 | 3 | 0 | 59:11 | 66 |
| ობილიჩი | 24 | 20 | 4 | 0 | 61:9 | 64 |
| ცრვენა ზვეზდა | 24 | 15 | 6 | 3 | 54:18 | 51 |
| ვოივოდინა | 24 | 13 | 3 | 8 | 45:22 | 42 |
| რადი | 24 | 11 | 7 | 6 | 26:26 | 40 |
| პროლეტერი | 24 | 10 | 5 | 9 | 29:29 | 35 |
| ჰაიდუკი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:28 | 32 |
| ოფკ | 24 | 8 | 7 | 9 | 35:39 | 31 |
| სარტიდი | 24 | 7 | 9 | 8 | 24:27 | 30 |
| რადნიჩკი (კ) | 24 | 9 | 3 | 12 | 33:43 | 30 |
| მილიციონარი | 24 | 8 | 5 | 11 | 39:39 | 29 |
| ზემუნი | 24 | 9 | 1 | 14 | 30:47 | 28 |
| ზელენიკი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:43 | 26 |
| ბუდუჩნოსტი | 24 | 7 | 5 | 12 | 28:42 | 26 |
| მოგრენი | 24 | 4 | 8 | 12 | 18:42 | 20 |
| რადნიჩკი (ნ) | 24 | 4 | 7 | 13 | 21:44 | 19 |
| პრისტინა | 24 | 5 | 3 | 16 | 25:49 | 18 |
| სპარტაკი | 24 | 6 | 0 | 18 | 33:58 | 18 |

## ხორვატია

შაბათ-კვირას ხორვატიის ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. ბოლო ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: კროაცია — ჰაიდუკი 1:0; დრაგოვილიაცი — ზაგრები 3:2; ოსიეკი — სლავენი 3:0; ციბალია — ვარტექსი 3:0; მლადოსტ 127 — რიეკა 1:2; ზადარკომერცი — სიბენიკი 0:0. ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კროაცია | 22 | 17 | 2 | 3 | 44:14 | 53 |
| რიეკა | 22 | 17 | 1 | 4 | 35:18 | 52 |
| ჰაიდუკი | 22 | 12 | 6 | 4 | 38:17 | 42 |
| ოსიეკი | 22 | 11 | 3 | 8 | 37:23 | 36 |
| ვარტექსი | 22 | 9 | 3 | 10 | 40:36 | 30 |
| დრაგოვილიაცი | 22 | 6 | 7 | 9 | 17:23 | 25 |
| სიბენიკი | 22 | 7 | 3 | 12 | 27:45 | 24 |
| ციბალია | 22 | 6 | 5 | 11 | 22:29 | 23 |
| ზაგრები | 22 | 5 | 8 | 9 | 28:37 | 23 |
| ზადარკომერცი | 22 | 5 | 5 | 11 | 27:40 | 21 |
| სლავენი | 22 | 5 | 6 | 11 | 24:37 | 21 |
| მლადოსტ 127 | 22 | 5 | 4 | 13 | 22:42 | 19 |

ახლა, როცა ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა, გუნდები დროებით შეისვენებენ და 18 აპრილიდან ჩემპიონატს განაახლებენ. 12 გუნდის ნახევარი, ანუ პირველი ექვსეული ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და მეორე ეტაპზე აქამდე დაგროვილი ქულების ნახევრით გააგრძელებს ასპარეზობას. რაც შეეხება ქვედა ექვსეულს, ისინი ასევე განახევრებული ქულათა რაოდენობით ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებენ.

# საზაფხულო სეზონი პლატინისაც მოსწონს



მიშელ პლატინი და იოზეფ ბლატერი

**წარსულის** უდიდესმა ფრანგმა ფეხბურთელმა და ბოლო დროს საფეხბურთო დიდმოხელეებთან დაახლოებულმა კაცმა, საფრანგეთი 98-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიშელ პლატინიმ თავისი აზრი გამოთქვა ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის მორიგი პროექტის, ეგრეთწოდებული ჰარმონიზებული კალენდრის შესახებ. პლატინის აზრი, ცხადია, დადებითი გახლდათ. იგი ფიქრობს, რომ მთელს მსოფლიოში ეროვნული პირველობების გაზაფხული — შემოდგომის სეზონზე გადატანა ანუ მათი თებერვალში დაწყება და დეკემბერში დამთავრება ხელს შეუწყობს მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვას.

„იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩავატაროთ, აუცილებელია კალენდართა რეფორმა და ამ გზით ეროვნული ნაკრებების ბოლოხანს შელახულ მდგომარეობას გამოვასწორებთ" — განუცხადა ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ფარნგულ გაზეთ „ეკიპს".

მან ბრძანა, რომ საზაფხულო სეზონი ჩინებული გამოსავალია.

„ბუნებრივია, ამის გაკეთება ძნელი საქმე იქნება, რადგან, ჯერ ერთი, არსებობს ევროშეჯიბრებათა ჩვეული გათამაშება, მეორეც, გასაუქმებელი იქნება კონფედერაციათა და საკონტინენტათაშორისო თასები, რომელთა ნაცვლად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია დასანერგი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფეხბურთელებს ზამთარში ერთთვიანი დასვენება სჭირდებათ და ამას ზაფხულის სეზონი უზრუნველჰყოფს" — დასძინა ევროპის 1984 წლის ჩემპიონმა.

პლატინი ეთანხმება ფიფას, რომ ახალი კალენდრით ცხოვრება 1005 წლიდან იქნება შესაძლებელი და თუ ასე მოხდა, 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიმართება. ეს იქნება პირველი ჩემპიონატი, რომელიც წინასგან ორი წლით გამოვა დაშორებული.

პლატინიმ აგრეთვე განაცხადა, რომ მან ზეპ ბლატერთან ისაუბრა საუკუნის თასის გათამაშებაზე, რომელიც ფიფას გეგმის თანახმად 2004 წელს უნდა გაიმართოს და რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შვიდმა მფლობელმა — ურუგვაიმ, იტალიამ, გერმანიამ, ბრაზილიამ, ინგლისმა, არგენტინამ და საფრანგეთმა.

# უეფას უარი

უეფამ უარი შეუთვალა უელსის ნაკრებს, რომელსაც ევრო 2000-ის პირველი შესარჩევი ჯგუფის მორიგი მატჩის გამართვა დანიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ლივერპულის ნაცვლად მშობლიურ კარდიფში სურდა.

ამგვარად, მატჩი გაიმართება იქ, სადაც ადრევე იყო დანიშნული, ინგლისის ქალაქ ლივერპულში, „ენფილდ როუდზე". მისი ჩატარების თარიღია 9 ივნისი.

უელსელებისთვის „ენფილდ როუდზე" თამაში უცხო არ გახლავთ. აქ ისინი გასულ სექტემბერს იტალიას შეხვდნენ.

კარდიფის სტადიონის უარყოფა რემონტით იყო განპირობებული, მაგრამ გულშემატკივრებისა და მოთამაშეების დაჟინებულ თხოვნას უელსის ფეხბურთის ფედერაციამ უარი ვეღარ დაუპირისპირა და უეფას საგანგებო კომიტეტს ოფიციალური თხოვნით მიმართა 9 ივნისის შეხვედრა ისევ კარდიფისთვის დაებრუნებინათ.

აღსანიშნავია, რომ დანიის ფეხბურთის ფედერაცია უელსელთა სამშობლოში თამაშის სურვილს თავიდან გაგებით შეხვდა, თუ უეფას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, ჩვენ მით უმეტესო, მაგრამ ბოლო ცნობების თანახმად მას პოზიცია შეუცვლია და უთქვამს რა კარდიფი, რის კარდიფი, ლივერპულზე შევთანხმდით და სხვა არაფრის გაგონება გვსურსო.

### I ჯგუფი. დანია - იტალია, იტალია - ბელარუსი

იტალიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ლუკა მარკეჯანი (ლაციო); მცველები — კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ფაბიო კანავარო (პარმა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), პაოლო მალდინი (მილანი), მორენო ტორიჩელი (ფიორენტინა); ნახევარმცველები — დიეგო ფუზერი, დინო ბაჯო (პარმა), ლუიჯი დი ბიაჯო, ეუჯენიო დი ფრანჩესკო (რომა), ჯულიანო ჯანიჩედა, ჯონათან ბაკინი (უდინეზე), სანდრო კოისი (ფიორენტინა), ანტონიო კონტე (იუვენტუსი); თავდამსხმელები — ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), რობერტო ბაჯო (ინტერი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფრანჩესკო ტოტი, მარკო დელ ვეკიო (რომა)

### V ჯგუფი. ინგლისი - პოლონეთი, პოლონეთი - შვედეთი

პოლონეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ადამ მარტიშეკი (ლევერკუზენი, გერმანია), კაზიმირ სიდორჩუკი (შტურმი, ავსტრია), ბუგოსლავ ვუპარლო (ლკს); მცველები — კრჟიშტოფ რატაშჩუკი (რაპიდი, ავსტრია), რაფალ სიადაჩკა (აუსტრია, ავსტრია), ტომაშ ჰაიტო (დუისბურგი, გერმანია), პიოტრ სვიერჩევსკი (გამბა ოსაკა, იაპონია), ტომაშ კლოსი (ოსერი, საფრანგეთი), იაცეკ ბაკი (ლიონი, საფრანგეთი), ტომაშ ლაპინსკი (ვიძევი), იაცეკ ზელინსკი (ლეგია); ნახევარმცველები — სლავომირ მაიაკი (ჰანზა, გერმანია), ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი, გერმანია), დარიუშ ადამჩუკი (დანდი, შოტლანდია), კრჟიშტოფ ნოვაკი (ვოლფსბურგი, გერმანია), ტომაშ ივანი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), იერჟი ბრჟეჩეკი (ჰაიფას მაქაბი, ისრაელი), რადოსლავ მიხალსკი (ვიძევი), რიშარდ შერვიეცი (ვისლა); თავდამსხმელები — ვოიცეხ კოვალჩუკი (ლას პალმასი, ესპანეთი), მიროსლავ ტრჟეჩიაკი (ოსასუნა, ესპანეთი), ანჟეი იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი, გერმანია)

### VI ჯგუფი. ესპანეთი - ავსტრია, სან მარინო - ესპანეთი

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), ტონი ხიმენესი (ესპანიოლი); მცველები — ავგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), მიჩელ სალგადო (სელტა), სერხი ბახუანი (ბარსელონა), პაკო ხემესი (სარაგოსა), მარსელინო ელენა (მმალიორკა); ნახევარმცველები — ხუან ვალერონი (ატლეტიკო), ლუის ენრიკე მარტინესი (ბარსელონა), ივან ელგერა (ესპანიოლი), ფრან გონსალესი (დეპორტივო), ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა), ვისენტე ენგონგა (მალიორკა), გაიზკა მენდიეტა (ვალენსია); თავდამსხმელები — რაულ გონსალესი (რეალი), დანი გარსია (მალიორკა), პედრო მუნიტისი (რასინგი), ხოსება ეჩებერია (ბილბაო), ისმაელ ურსაისი (ბილბაო)

### VII ჯგუფი. უნგრეთი - ლიხტენშტაინი, სლოვაკეთი - უნგრეთი

უნგრეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (მტკ); მცველები — გორგი კოსოში, პალ ლაკოში (დიორ ეტო), ჩაბა ფეჰერი, ტამას სეკერეში (უიპეშტი), ვილმოს სებოკი (ბრისტოლი, ინგლისი), იანუშ ჰრუტკა (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), იანუშ მატიაში (ფერენცვაროში), ტამას შამოში (მტკ); ნახევარმცველები — იშტვან პისონტი (აინტრახტი, გერმანია), გაბორ ჰალმაი, ბელა ილეში, ჩაბა მადარი (მტკ), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), იოზეფ სომოგი (დიორ ეტო); თავდამსხმელები — იოზეფ სებოკი (ზალაეგერშეკი), ტიბორ დომბი (დებრეცენი), მიკლოშ ფეჰერი (პორტუ, პორტუგალია), ბარნაბა შტიპანოვიჩი (რიეკა, იუგოსლავია), ნორბერტ ტოტი (უიპეშტი), იშტვან ჰამარი (იერუსალიმის ბეითარი, ისრაელი).

### VII ჯგუფი. პორტუგალია - აზერბაიჯანი, ლიხტნშტაინი - პორტუგალია

პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ვიტორ ბაია (ბარსელონა, ესპანეთი), პედრო ესპინია (გიმარაეში); მცველები — კარლოს მაგალიეში (ბოავიშტა), კარლოს სეკრეტარიო, ჟორჟე კოშტა (პორტუ), დიმაშ ტეიშეირა (ფენერბახჩე, თურქეთი), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), პაულო მადეირა (ბენფიკა), ბეტო სევერო (სპორტინგი); ნახევარმცველები — პაულო სოუზა (ინტერი, იტალია), პაულო ბენტო (ოვიედო, ესპანეთი), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია); თავდამსხმელები — ნუნუ კაპუჩო (პორტუ), პედრო პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი), სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი), ნუნუ გომეში, ჟოაო პინტუ (ბენფიკა), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი)

### VII ჯგუფი. რუმინეთი - სლოვაკეთი, აზერბაიჯანი - რუმინეთი

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (რაპიდი); მცველები — დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), ფლორინ ბატრინუ, ლივიუ ჩობოტარიუ, დანიელ ფლორეა, კოსმინ კონტრა (დინამო), იულიან ფილიპესკუ (სელტა, ესპანეთი), გეორგ პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), ვალენტინ ნასტასე (არჯეში); ნახევარმცველები — ოვიდიუ საბაუ (რაპიდი), იონუტ ლუპესკუ, ფლორენტინ პეტრე, კატალინ ჰილდანი (დინამო), კატალინ მუნტიანუ (სალამანკა, ესპანეთი), დორინელ მუნტიანუ (კიოლნი, გერმანია), ლაურენტიუ როსუ (სტიაუა), დენის სერბანი (ვალენსია, ესპანეთი), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი); თავდამსხმელები — გეორგ კრაიოვეანუ (ვილიარეალი, ესპანეთი), ვიორელ მოლდოვანი (ფენერბახჩე, თურქეთი), ადრიან მიჰალჩეა (დინამო), იონელ განეა (რაპიდი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი)

### VIII ჯგუფი. ჩრდ.ირლანიდია - გერმანია, გერმანია - ფინეთი

გერმანიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი); მცველები — მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი); ნახევარმცველები — მიხაელ ბალაკი, მარკო რაიხი (კაიზერსლაუტერნი), შტეფან ბაინლიხი, კარსტენ რამელოვი (ლევერკუზენი), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი, ინგლისი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), ანდრეას მიოლერი, კრისტიან ნერლინგერი, ლარს რიკენი (დორტმუნდი), ტომას შტრუნცი, მიხაელ ტარნატი, იენს იერემისი (ბაიერნი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი, ალექსანდერ ციკლერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), მიხაელ პრეეტცი (ჰერტა).

### IX ჯგუფი. შოტლანდია - ბოსნია, შოტლანდია - ჩეხეთი

შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ჯონათან გოულდი (სელტიკი), ნილ სალივანი (უიმბლდონი, ინგლისი), ალან მეინი (სენტ ჯონსტონი), რობერტ დაგლასი (დანდი); მცველები — ტომ ბოიდი, ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), კალამ დევიდსონი (ბლეკბერნ როვერსი, ინგლისი), მეტ ელიოტი (ლესტერი, ინგლისი), პოლ რიჩი (ჰ ართსი), დევიდ უეირი (ევერტონი, ინგლისი), დარენ უაითი (აბერდინი); ნახევარმცველები — კრეიგ ბარლი, პოლ ლამბერტი (სელტიკი), იან დურანტი (კილმარნოკი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), დევიდ ჰოფკინი (ლიდსი, ინგლისი), გარი მაკალისტერი (ქოვენთრი, ინგლისი); თავდამსხმელები — ბილი დოდსი (დანდი იუნაიტედი), დონ ჰაჩისონი (ევერტონი, ინგლისი), ეოინ ჯესი (აბერდინი), ალან ჯონსტონი (სანდერლენდი, ინგლისი), ნილ მაკკენი (რეინჯერსი)

### ამხანაგური მატჩი — 27 მარტი. კორეა - ბრაზილია; 31 მარტი. იაპონია - ბრაზილია

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ანდრი (ინტერნასიონალი), როჟერიო კენი (სან პაულუ); მცველები — კაფუ (რომა, ბრაზილია), სერჟინიო (სან პაულუ), ფელიპე, ოდვანი (ვასკო და გამა), როკე ჟუნიორი (პალმეირასი), სეზარი (პორტუგეზა), შიდტი (გრემიო); ნახევარმცველები — ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), ემერსონი, ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია), ალექსი, როჟერიო (პალმეირასი), მარკოს პაულო (კრუზეირო), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი); თავდამსხმელები — ალესანდრო (სანტოსი), ამოროზო (უდინეზე, იტალია), ფაბიო ჟუნიორი (რომა, იტალია), რონი (ფლუმინენსე), ჟარდელი (პორტუ, პორტუგალია)

# სიკვდილი გარაჟში

მარიო ბუგეანუ, რუმინელი „გლორიას" 24 წლის ნახევარმცველი და მისი მეგობარი გოგონა, 23 წლის მირელა იანკუ კვირა საღამოს გარაჟში შეიპარნენ და მანქანაში ერთურთი მოისიყვარულეს. მანქანა დაქოქილი ჰქონიათ, ასეთ დროს კი სალონში სითბო გამოიყოფა, რაც მხუთავი გაზის წარმოქმნას უწყობს ხელს.

„მათ არ იცოდნენ ნახშირჟანგის საშიშროების შესახებ" — განაცხადა ქალაქ ბისტრიცას პოლიციის პოლკოვნიკმა დუმიტრუ სეკრიერუმ.

დაღუპული ნყვილი ფეხბურთელის მამამ ორშაბათ დილით აღმოაჩინა, როდესაც მანქანის გამოსაყვანად გარაჟში შევიდა.

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

IV ტური

**ბაზელი 1:0 ციურიხი**

1:0 პერესი (51წ)

ციურიხი: შორუნმუ, კასტილიო, პოდელი, ფიშერი, დი ჯორიო, სანტანა (ნიქსონი 69), ოპანგო (ჯამარაული 69), ლიმა, ვიდერკერი, შასო (პალასი 46), ბარტლეტი

შვეიცარიის ჩემპიონატის მეოთხე ტურის მიმოხილვა გუშინდელ „სარბიელში" კი შემოგთავაზეთ, მაგრამ დღეს ერთი მატჩის ოქმის გამეორება მოგვიხდა. გოჩა ჯამარაულის „ციურიხი" ქართველის გარეშე „ბაზელთან" სტუმრად 0:1 დამარცხდაო, გვეწერა 23 მარტის ნომერში, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩვენმა საინფორმაციო წყარომ შეცდომაში შეგვიყვანა: „ციურიხის" თავკაცმა რაიმონდ პონტემ ჩვენებური 69-ე წუთზე შეიყვანა მინდორზე ოპანგოს ნაცვლად, მაგრამ გოჩამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

## ავსტრია

24-ე ტური. გრაცერი — აუსტრია 3:0, რაპიდი — შტურმი 2:0, ტიროლი — ლუსტენაუ 0:0, შტაირი — რიდი 2:0, ზალცბურგი — ლინცერი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 24 | 15 | 6 | 3 | 38:16 | 51 |
| შტურმი | 24 | 16 | 2 | 6 | 48:19 | 50 |
| გრაცერი | 24 | 13 | 5 | 6 | 30:17 | 44 |
| ლინცერი | 24 | 12 | 4 | 8 | 36:28 | 40 |
| ზალცბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 34:31 | 34 |
| აუსტრია | 24 | 9 | 6 | 9 | 28:31 | 33 |
| ტიროლი | 24 | 8 | 7 | 9 | 25:30 | 31 |
| რიდი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:30 | 21 |
| ლუსტენაუ | 24 | 3 | 9 | 12 | 18:41 | 18 |
| შტაირი | 24 | 2 | 4 | 18 | 19:53 | 7 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08



მირჩა ლუჩესკუ



სარბიელის არქივიდან

ლუიჯი სიმონი

# ყველა თავის გზაზე

„ინტერში“ კვლავ არეულობაა — მილანურმა კლუბმა მიმდინარე სეზონში უკვე მეორე მწვრთნელი გამოიცვალა.

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, გენუაში „სამპდორიასთან“ 0:4 დამარცხების შემდეგ „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ, რომელიც პირად საქმეებზე იმყოფებოდა ნიუ იორკში, იტალიაში დარეკა და მირჩა ლუჩესკუს გუნდიდან გაშვება ბრძანა. სიტყვა უმალ იქცა საქმედ. მართალია, კლუბს ოფიციალურად არ განუცხადებია, რომ რუმინელი მწვრთნელი წავიდა, მაგრამ ეს უკვე ალარავის აღელვებს — „ინტერის“ და ლუჩესკუს გზები გაიყარა.

საინტერესოა, რას ეტყოდა მორატი ლუჩესკუს გენუელებთან განადგურების შემდეგ. კარგს რომ არაფერს, ცხადია, მაგრამ მშვიდად მიმართავდა მას თუ უყვირებდა?

„დღეიდან შენ შენი გზით, ძმაო, „ინტერი“ — თავის გზით“ — ასეთი საუბარი „ინტერის“ პრეზიდენტსა და რუმინელ მწვრთნელს შორის, ალბათ, არ წარიმართებოდა. რაც უნდა იყოს, მაინც მილანია და სხვა გაგების ხალხია.

არის მეორე ვარიანტიც: „სინიორ მირჩა, უკეთესია, ჩვენი ურთიერთობა ამ ეტაპზე დასრულდეს. თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ასე აჯობებს“ — რეალობასთან შესაძლოა ეს უფრო ახლოს იყოს.

თუ „ინტერის“ ბოლოდროინდელ „წარმატებებს“ გავითვალისწინებთ, ასევე მორატის სიფიცხეს, არაა გამორიცხული, პრეზიდენტის და მწვრთნელის საბური ასეც წარმართულიყო: „მორჩა მირჩა! ახლავე წადი გუნდიდან! მანდ რომ ჩამოვალ, შენი ფეხი არ დავინახო“! — თან წარმოიდგინეთ, რომ მორატი ყვირის.

გვეყო ოცნებები. რა როგორ იყო, ამას, ალბათ, გულშემატკივრები ვერასდროს გაიგებენ, თუმცალა ფიქრს ვინ დაგვიშლის. ჩვენ აქ, საქართველოში წარმოვიდგინეთ, რა შეიძლება მომხდარიყო „ინტერის“ მწვრთნელსა და ხელმძღვანელს შორის და იტალიელ ქომაგებს ვითომ რატომ უნდა გასჭირვებოდათ ეს?

ერთი სიტყვით, მირჩა ლუჩესკუ წავიდა. ხუმრობა იქით იყოს და როცა ისეთი სახელოვანი კლუბი, როგორიც „ინტერია“, ჩემპიონატის მიმდინარეობისას მეორე თავკაცს ათავისუფლებს, საქმე სასაცილოდ სულაც არაა. მწვრთნელის გაშვება და ამისგან გამოწვეული არეულობა, ალბათ, უფრო იტალიელების პრობლემაა და არა ქართველების, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ინტერს“ ჩვენთან უამრავი ქომაგი ჰყავს, მივხვდებით, რომ საქმე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ინტერის“ ცვლილებები ქართველ გულშემატკივართათვის უმნიშვნელო სულაც არაა.

დღეს მილანის „ინტერი“ უმწვრთნელოდაა. კლუბი ევროთასების გათამაშებას გამოეთხოვა. ქვეყნის ჩემპიონატში საქმე ძალიან ცუდად აქვს, იტალიის თასისთვის ველარ იბრძოლებს. მოკლედ, მიმდინარე სეზონი „ინტერისთვის“ სრულ კრახად შეიძლება ჩაითვალოს. ვინაა ყოველივე ამაში დამნაშავე — მწვრთნელი? ფეხბურთელები? ხელმძღვანელობა?

„მომხდარზე პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ მასიმო მორატის უნდა დაეკისროს. „ინტერის“ წარუმატებლობის თავიდათავი სწორედ იგია და არა სხვა ვინმე“ — ცნობილი იტალიური გაზეთი „ლა რეპუბლიკა“ დამნაშავედ სწორედ მორატის მიიჩნევს. ჟურნალისტები სულაც არ ტყუიან — კლუბის წარუმატებლობაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე სწორედ მორატია. რატომ? — პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ პრეზიდენტი უხეშად ერეოდა მწვრთნელის საქმეში და ამის უამრავი ფაქტია. გარდა ამისა, არ იყო სათანადოდ მკაცრი, რის გამოც „ინტერის“ თითქმის ყველა დიდმოხელეს კლუბის უფროსობა სურდა. დაბოლოს — მორატი მწვრთნელებს თითქმის ყველაფერს უსრულებდა. მილიონებს იხდიდა ისეთ ფეხბურთელებში, რომლებმაც „ინტერში“ თავი ვერაფრით გამოიჩინეს ან მილანური კლუბი უმალ დატოვეს.

„გაძეტა დელო სპორტი“: „მორატის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მან ჯიჯი სიმონი გაათავისუფლა. აშკარაა, რომ ამით მორატიმ „ინტერს“ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა — კლუბი ყველა პრიზისთვის ბრძოლას გამოეთიშა. საეჭვოა, სიმონის ხელმძღვანელობით „ინტერს“ ბოლო ათი შეხვედრიდან ვერც ერთი ვერ მოეგო“.

იტალიური გაზეთის ნათქვამი უფრო ნათლად რომ წარმოვაჩინოთ, ფაქტები მოვიშველიოთ — კლუბი იტალიის ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა და 19 ქულით (!) ჩამორჩება ლიდერ „ლაციოს“. რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ სავსებით შესაძლებელია, გაისად ევროთასებზე ვერ ითამაშოს. „ინტერი“ ქვეყნის თასის გათამაშებიდან გავარდა — „პარმასთან“ ორივე შეხვედრა წააგო. თანაც „ინტერი“, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე რომ ოცნებობდა, თასისთვის ბრძოლას ინგლისურმა კლუბმა ჩამოაშორა. სამი მარცხი ნათელს ხდის, რომ „ინტერი“ მიმდინარე სეზონში, ფაქტობრივად, უშანსოდაა.

ჯიჯი სიმონის დროს კლუბი სამივე პრიზისთვის იბრძოდა. მირჩა ლუჩესკუს ხელში ყველაფერს გამოეთხოვა. ბოლო ათი მატჩიდან „ინტერმა“ ვერც ერთი ვერ მოიგო! ასეთი რამ ინტერისთანა კლუბს, უბრალოდ, არ უნდა ემართებოდეს.

უცნაურია: ანჯელო მორატიმ, მასიმო მორატის მამამ, სანამ 60-იან წლებში უძლიერეს „ინტერს“ შექმნიდა ხუთი მწვრთნელი გაათავისუფლა და მხოლოდ მეექვსედ, ელენიო ერერას მიწვევის შემდეგ მიაღწია უდიდეს წარმატებებს. ერერამდე „ინტერი“ ერთი ჩვეულებრივი, კარგი გუნდი გახლდათ. კარგი, მაგრამ არა საუკეთესო. სიტუაცია ახლაც თითქმის ანალოგიურია: „ინტერის“ ხუთწლიანი პრეზიდენტობის მანძილზე მასიმო მორატიმ, ანჯელოს ვაჟმა, ხუთი მწვრთნელი მოხსნა თანამდებობიდან და მეექვსეს ელოდება. მეექვსე, ალბათ, მარჩელო ლიპი იქნება.

ლიპი სულ სხვა საქმეა. მარჩელო ლიპი, ამჟამად უმუშევარი, ბოლო წლებში იტალიის ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით ტურინის „იუვენტუსი“ ყველა საკლუბო ჯილდოს მფლობელი გახდა. მასიმო მორატი იმედოვნებს, რომ მის დავრდომილ გუნდს სწორედ ლიპი უწამლებს. ამბობენ, „ინტერს“ ლიპი ახალი სეზონიდან უხელმძღვანელებსო. არაა გამორიცხული, მართლაც ასე იყოს, მაგრამ მანამდე?

მანამდე არაფერია სანუგეშო. „ინტერი“ ღრმა კრიზისშია. კაცმა რომ თქვას, ამას კრიზისი აღარ ჰქვია, ეს ჭაობში უიმედოდ ჩაფლული ადამიანის მდგომარეობას ჰგავს. კრიზისში ყოფნის გარდა „ინტერი“ უთავკაცოდაა — ლუჩესკუს ადგილი მეკარეთა მწვრთნელმა ლუჩანო კასტელინიმ კი დაიკავა, მაგრამ ეს დროებითია. კასტელინი მორატის თვალში მწვრთნელი არ ყოფილა და არც იქნება.

...ლუჩესკუ კი წავიდა. ბუქარესტის „დინამომ“ უკვე გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 53 წლის მირჩა კლუბის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა.

რუმინელი მწვრთნელის ცხოვრების არცთუ სასიამოვნო ეპიზოდი დასრულდა. მისი და „ინტერის“ გზები გაიყარა.

„ინტერი“ კი უმწვრთნელოდაა. ძნელია, ვინმე დაადანაშაულო კლუბის წარუმატებლობაში. არც მხოლოდ ლუჩესკუა დამნაშავე, და არც მარტო მორატი. მილანური კლუბის დასნეულებაში აბსოლუტურად ყველა ინტერელს მიუძღვის ბრალი. კრიზისის მიზეზი სადღაც შიგნით, ფესვებში უნდა ეძიონ გუნდის მესვეურებმა და არა ზედაპირზე, მწვრთნელთა შორის.

**კოტე მაიტაძე**



სარბიელის არქივიდან

მასიმო მორატი

## ფეხბურთის რუკასთან



**ლიბანის** მთავრობამ განაცხადა, რომ 27 მილიონ დოლარს დახარჯავს ქვეყნის საფეხბურთო სტადიონების კეთილმოსაწყობად. ლიბანი 2000 წელს აზიის თასის თამაშებს მასპინძლობს. ქვეყნის ხელისუფალთა თქმით, 16 მილიონ დოლარად სიდონსა და ტრიპოლში სტადიონებს შეაკეთებენ, ხოლო ბაალბეკსა და ბეირუთში ახალი სარბიელების აგებას 11 მილიონ დოლარს მოახმარენ. გათვალისწინებულია კიდევ ორი სტადიონის რეკონსტრუქცია.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მე-20 ტური: ჰრადეც კრალოვე — ოპავა 1:0; სპარტა — სლოვანი 1:0; ვიქტორია (პლზენი) — დრნოვიცე 2:0; ბანიკი — დუკლა 1:2; ზობი — ჩმელი 1:0; ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ტეპლიცე 2:0; ოლომოუცი — კარვინა 2:0; იაბლონეცი — სლავია გადაიდო დიდთოვლობის გამო. ჩემპიონატს 43 ქულით პრაღის „სპარტა“ ლიდერობს. 36 ქულით მეორეზეა „ტეპლიცე“, ხოლო 2 ქულით ნაკლები აქვს მესამე ადგილზე მყოფ „ოლომოუცს“.**

**უნგრეთის** ჩემპიონატის 21-ე ტურის ერთი შეხვედრა შედგა კვირას. ბუდაპეშტში „ვაშაშმა“ 2:1 დაამარცხა „კიშპეშტ ჰონვედი“. უნგრეთის ჩემპიონატს 53 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ბუდაპეშტის მტკ. მეორე ადგილზე მყოფ „დიორ ეტოს“ 42 ქულა აქვს, ხოლო „ზალაეგერშეგი“ 41 ქულით მესამეა.

**დანიის ჩემპიონატის მე-19 ტურის ერთი მატჩი გაიმართა ორშაბათს. „სილკებორგი“ შინ დამარცხდა „ბრონდბიუსთან“ 1:2. გამარჯვების წყალობით „ბრონდბიუ“ 35 ქულით მეორე ადგილზე ალზევდა, ლიდერი კი „AB კოპენჰაგენია“ 40 ქულით.**

**სლოვაკეთის** ჩემპიონატის მე-19 ტური: ზილინა — ტაურისი 2:1; სპარტაკი — დუბნიცა 4:1; ტატრანი — რუზომბეროკი 1:1; კოშიცე — უმენი 1:0; ტრენჩინი — დუკლა 2:2; ბანიკი — ბარდეხოვი 5:0; არტმედია — ნიტრა 2:1; სლოვანი — ინტერი 1:0. 44 ქულით ჩემპიონატს ერთდროულად 3 კლუბი ლიდერობს. ბრატისლავის „ინტერი“ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზეა, ტრნავის „სპარტაკი“ და ბრატისლავის „სლოვანი“ კი, შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე არიან.

**კვიპროსის ჩემპიონატის 22-ე ტური: ომონია — აპოელი 1:0; ანორთოსისი — ლიმასოლი 2:0; ევაგორასი — ოლიმპიაკოსი 1:0; აპოლონი — ენოსისი 1:0; აეკ — ნეა სალამინა 4:1; ეთნიკოსი — ალკი 2:0; დოქსა — არისი 5:1. 55-55 ქულით ჩემპიონატს ფამაგუსტას „ანორთოსისი“ და ნიქოზიის „ომონია“ ლიდერობენ. მესამე ადგილზე, 50 ქულით ნიქოზიის კიდევ ერთი კლუბი, „აპოელია“.**

**უკრაინის** ჩემპიონატის მე-18 ტურის სამი შეხვედრა შედგა კვირას: კრივბასი — ნივა 2:1; მეტალურგი (დონეცკი) — მეტალისტი 0:0; ტავრია — კარპატი 1:1. ჩემპიონატს 16 თამაშიდან 39 ქულით კიევის „დინამო“ ლიდერობს. 17 თამაშიდან 37 ქულით მეორეზეა დონეცკის „შახტიორი“, ხოლო 18 თამაშიდან 34 ქულით მესამე ადგილზეა „კრივბასი“.

**იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ მომავალი სეზონიდან შესაძლოა ესპანურ „ბეტისში“ იმუშაოს. სევილიური კლუბის ამჟამინდელმა თავკაცმა ხავიერ კლემენტემ განაცხადა, გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებო. სკალა შაბათ-კვირას ესპანეთში იმყოფებოდა და პრიმერა დივიზიონის თამაშს დაესწრო „ბეტისის“ მონაწილეობით. მომავალ გეგმებზე საუბრისგან იტალიელმა მწვრთნელმა თავი შეიკავა. შეგახსენებთ, რომ ნევიო სკალას ხელმძღვანელობით „პარმა“ სერია A-ში გადავიდა. გარდა ამისა ქვეყნის თასი, ევროპის თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი, ევროპის სუპერთასი და იტალიის სუპერთასი მოიგო.**

**ინგლისის** ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში შინ პოლონეთთან სათამაშოდ ემზადება, რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა. უკვე ცნობილია, რომ „ლიდს იუნაიტედის“ ნახევარმცველი დევიდ ბეტი, „შეფილდ უენსდეის“ მცველი ენდი ჰინჩკლიფი და კიდევ ერთი ლიდსელი, ოღონდ მეკარე ნაიჯელ მარტინი ქვეყნის პირველ გუნდში ობიექტური მიზეზების გამო ვერ ითამაშებენ. ჯერ არაა გადაწყვეტილი, იქნება თუ არა პოლონელებთან მატჩში მაიკლ ოუენი — მუხლის მყესების ტრავმამ მისი თამაში თითქმის გამორიცხა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა ტრავმირებული მეკარის ნაცვლად „ტოტენჰემის“ კარის დარაჯი იან უოქერი გამოიძახა. შეგახსენებთ, რომ თუ ინგლისელებს ევროპის ჩემპიონატში თამაში სურთ, პოლონელები აუცილებლად უნდა დაამარცხონ, თუ არა და მათი შანსები ძალიან შემცირდება.

**უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო ზაფხულში, ალბათ, იტალიის „მილანში“ გადავა. 22 წლის ფეხბურთელის გადაბირებას მილანელები ორი წელია ცდილობენ, მაგრამ კიევის „დინამო“ მის გაშვებას არ ფიქრობს. უკრაინული კლუბის პრეზიდენტის გრიგორი სურკისის განცხადებით, „მილანი“ კიევის „დინამოს“ შევჩენკოს სანაცვლოდ 18 მილიონ დოლარს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მეოთხედფინალში მადრიდის „რეალს“ ორ შეხვედრაში სამი გოლი გაუტანა, ხოლო მარშან ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდის, „ბარსელონას კარი ხუთჯერ დალაშქრა.**

**სარანგეთის** ნაკრების მცველმა ემანუელ პეტიმ განაცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს ლონდონის „არსენალს“, მიუხედავად იმისა, რომ კლუბი მის გაშვებას არ აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონმა მცველმა განაცხადა, რომ იგი ინგლისური ფეხბურთით გადაიღალა, თანაც ლონდონში ცხოვრება უჭირს. შეგახსენებთ, რომ „არსენალში“ პეტი 1997 წელს გადავიდა „მონაკოდან“ 3,5 მილიონ დოლარად. ემანუელ პეტის თქმით, მისი აგენტი სამ იტალიურ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მცველიც ახალ სეზონს, ალბათ, იტალიაში შეხვდება. ინგლისური პრესის ცნობით, პეტის გადაბირება რომის „ლაციოს“ სურს, ხოლო მილანის „ინტერის“ მომავალ მწვრთნელ მარჩელო ლიპის თავისთან ფრანგული ტრიოს — ლილიან ტურამის, ზინედინ ზიდანის და ემანუელ პეტის შეკვრა განუზრახავს.

**ურუგვაელი თავდამსხმელის, დანიელ ფონსეკას შეძენის სურვილი „ბეტისმა“ გამოთქვა. ესპანური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელს რამდენიმე თვეა, აკვირდება და მის გადაბირებას აპირებს. დღესდღეობით დანიელ ფონსეკა ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელია. იტალიური გუნდის წარმომადგენლის თქმით, „იუვენტუსს“ „ბეტისიდან“ არავინ შეხმიანებია. თავად ფეხბურთელი არსად წასვლაზე არ ფიქრობს.**

**გერმანიის** ბუნდესლიგის „ჰამბურგის“ დამრიგებელი ფრანკ პაგელსდორფი შესაძლოა გუნდს უახლოეს მომავალში გამოეთხოვოს. „ჰამბურგი“ მისი თავკაცობით კარგად თამაშობს და მწვრთნელის მოღვაწეობით გუნდის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია, მაგრამ თავად პაგელსდორფს სურს წასვლა. მას მეორე ბუნდესლიგის კლუბმა, ბერლინის „ტენის ბორუსიამ“ ხელსაყრელი პირობები შესთავაზა და მწვრთნელის გადაწყვეტილებაც ამან განაპირობა. ჰამბურგის რადიოს ცნობით, მწვრთნელი გუნდიდან მალე წავა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

*მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ნაკრებმა 20 მარტს თბილისში კიევის „დინამოს“ სრული სანაკრებო შემადგენლობა არ წაიყვანა, კიევში, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე მაინც სიხალვათე იყო. ეტყობა, ფეხბურთელები მადრიდის „რეალთან“ ჩატარებული უმძიმესი მატჩის შემდეგ ისვენებდნენ. თუმცა, მე თავი ქუდში მქონდა. უკრაინის ჩემპიონატის და ნაკრების მოწინავე ფორვარდთან, სერგეი რებროვთან ინტერვიუზე უკვე შეთანხმებული ვიყავი. კარგა ხანს მომიწია ამ პატივის მიღება, რადგან ბოლო დროს რებროვი ერთობ დაკავებულია და თავისუფალ დროს დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, თითქმის ვერ პოულობს. თანაც, ჩემი სურვილიც ის გახლდათ, რომ თავდამსხმელს „რეალთან“ მატჩის შემდეგ შევხვედროდი. მართალია, აქ გარკვეული რისკიც იყო, რადგან მარცხის შემთხვევაში ღმერთმა უწყის, რას მოიმოქმედებდა რებროვი, მაგრამ გამიმართლა. „დინამომ“ წარმატებით გადალახა მეოთხედფინალური ბარიერი და ნახევარფინალში გერმანულ „ბაიერნს“ დაუპირისპირდა.*

*ბაზის შესასვლელში მსცოვანი მიხეილ საველიჩი შემხვდა, რომელიც აქ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს და მის ხელში კიევის „დინამოს“ მრავალი თაობის ფეხბურთელებს გაუვლიათ. სად ხარ ამდენ ხანს, ბიჭი დაიღალა შენი ლოდინითო მაცნობა და კარი გამიღო.*

*რებროვს თავდაპირველად თავის ოთახში ურდა საუბარი, მაგრამ შემდეგ შენიშნა, ცივი ამინდია, თითო ჭიქა ჩაი სულაც არ გვაწყენდაო და „დინამოს“ ბაზაზე მდებარე მყუდრო კაფეში შემიძღვა. ჩვენი საუბარიც სწორედ იქ შედგა ჭიქა ჩაის და უგემრიელესი კიევური ფუნთუშების თანხლებით.*

# სერგეი რებროვი: შევჩენკო პასს არ მაწვდიდა


სერგეი რებროვი მხოლოდ ჩაის სვამს

**— ჩაი ერთადერთი სასმელია, რომელსაც ეტანებით?**

— ყოველ შემთხვევაში, რაც თქვენ გაქვთ მხედველობაში, იმას იშვიათად ვსვამ. დიდი-დიდი, ცხელ ამინდში ცოტაოდენი ლუდი მივირთვა და ესეც იშვიათად. ბარემ პირდაპირ გეტყვით, სიგარეტზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— ჟურნალისტებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ გახარებთ. რით არის ეს განპირობებული?**

— საერთოდ, ბუნებით საკმაოდ გულჩათხრობილი ადამიანი გახლავართ. მე მყავს ნაცნობებისა და მეგობრების გარკვეული წრე, რომელთანაც თავს მშვენივრად ვგრძნობ და ახალ ახლობლებს გავურბივარ. პრესასთან ურთიერთობა პროფესიონალი სპორტსმენისთვის ერთ-ერთი აუცილებელი და საჭირო მხარეა, ამიტომ ამის უგულებელყოფა არანაირად არ მოხერხდება. სიმართლე გითხრათ, ეს საკმაოდ მომაბეზრებელი და დამღლელია, მაგრამ ვერაფერს გააწყობ.

**— რამ გამოიწვია თქვენი დარჩენა კიევში? უკრაინის ნაკრებს ხომ ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა თბილისში.**

— არც მე და არც მწვრთნელები უარზე არ ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ „რეალთან“ შეხვედრამ საკმაოდ დამღალა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩემი არწასვლის მიზეზი კი ფეხბურთელისთვის ჩვეულია — ტრავმა. „რეალთან“ თამაშის დღეს, დილით მცირე მოთელვა ჩავატარე და სწორედ მაშინ ვიგრძენი ფეხში ძლიერი ტკივილი.

**— სათამაშოდ კი მაინც გახვედით.**

— რა თქმა უნდა. ეს რომ რომელიმე რიგითი შეხვედრა ყოფილიყო, იქნებ თავიც შემეკავებინა, მაგრამ ასეთ მატჩში... მთელი თამაშის განმავლობაში შიში მქონდა, აი, ახლა დაიწყება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ბედმა გამიღიმა.

**— დიაგნოზი როგორია?**

— ექიმები ფიქრობენ, რომ სერიოზული არაფერია. ჯერ ზუსტად არ ვიცით. კუნთი ნამდვილად დაჭიმული მაქვს და შეიძლება, მუხლშიც რამე იყოს. ამას მოგვიანებით შევიტყობ.

**— „რეალთან“ მატჩზე რას იტყოდით?**

— პირველი ტაიმი საშინელი იყო. გადავრჩით, თორემ შეიძლებოდა ბურთი გაგვეშვა და მერე რა მოხდებოდა, არავინ უწყის. მეორეში შედარებით გამოვასწორეთ მდგომარეობა და ბოლო ხომ მართლაც მშვენიერი გამოვიდა.

**— როგორც წესი, „დინამოში“ თერთმეტმეტრიანებს თქვენ ასრულებთ. მაშ, რატომ დაარტყა „რეალთან“ შევჩენკომ?**

— ანდრეიმ თავად ისურვა ასე. რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა, აუცილებლად გაიტანდა და მეც, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა აღარ გამიწევია. თანაც, პენალტების შესრულება მხოლოდ ჩემი ფუნქცია არ არის. ამას შევჩენკოც ხშირად აკეთებს.

**— მეორე გოლი, რომელშიც რებროვი და შევჩენკო მონაწილეობდნენ, დიდებული გამოდგა.**

— მართლაც ჩინებული და ძალიან დინამიური კომბინაცია იყო. ასეთების დროს ფიქრის დროც კი ნაკლებად რჩება. სანამ ვიდეოფირზე ჩანაწერი არ ვნახე, ნაკლებად მახსოვდა, რა მოხდა. სიხარული მხოლოდ მაშინ შევიგრძენი, როცა ბურთი მადრიდელთა კარის ბადეში გაეხვია.

**— ასეა თუ ისე, მადრიდის „რეალთან“ შეხვედრა მაინც გუშინდელი დღეა. ახლა წინ ნახევარფინალია, მეტოქე „ბაიერნი“ გელით.**

— როგორი მრისხანეც არ უნდა იყოს, დამარცხება მაინც შეიძლება. ჩვენ „ბაიერნზე“ ნაკლებ გუნდებს როდი მოვუგეთ და გერმანელებს რატომ ვერ დავამარცხებთ? მთავარია, მთელი გუნდი ჯეროვნად მოემზადოს.

**— ვისთან მეგობრობთ საგანგებოდ „დინამოს“ ფეხბურთელთაგან?**

— „დინამო“ ძალიან შეკრული და მეგობრული კოლექტივია. ვინმეს გამოყოფა ძნელია. მაგალითად, კალაძე სულ ახალი მოსული იყო, ჩვენ კი უკვე კარგი ურთიერთობა გვქონდა.

**— ამ თემაზე მე თავადაც უნდა მეკითხა. კალაძეზე რას იტყოდით? კალაძე ფეხბურთელი და კალაძე პიროვნება.**

— რა უნდა ვთქვა? ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. კახა მშვენიერი ამხანაგია. გულგახსნილი და პირდაპირი, რაც შეეხება მის ფეხბურთელობას, როგორ ფიქრობთ. ასე ადვილია მრავალნაცად კიეველ გულშემატკივარს ძალიან მცირე დროში თავი შეაყვარო? კალაძე ახალი ტიპის ფეხბურთელია. მე მაგალითად, არ მეგულება ადგილი მოედანზე, სადაც ის ვერ შეძლებს თამაშს.

**— კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრებში წინა ხაზზე მთავარი პოზიციები თქვენ და შევჩენკოს გიკავიათ. ადრე თქვენი ურთიერთობები არცთუ სახარბიელო იყო. ახლა როგორ არის საქმე?**

— არ არის მართალი. ცხოვრებაში მე და შევჩენკოს ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და ახლაც ასეა. რაც შეეხება მოედანს, აქ ადრე სხვაგვარად იყო საქმე. ანდრეის შეეძლო ვთქვათ, არ მოეცა პასი, როცა ეს აუცილებელი იყო და თავის თავზე აელო თამაში. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ჩემპიონთა ლიგის მატჩებში, როდესაც ჩვენ იქ ახალი დაწყებული გვქონდა თამაში. ამის გამო მოედანზე ხშირი იყო კამათი, თუმცა ჩვენ მაშინაც საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ახლა კი სხვაგვარი ვითარებაა. შევჩენკოსთან თამაში ბევრად ადვილი გახდა და ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**— უკრაინის ნაკრები ცალი ფეხით, ალბათ, უკვე ევროპის ჩემპიონატზეა. ასე არ არის?**

— არც მთლად ეგრეა საქმე. ჯერ საკმაოდ ბევრია სათამაშო და ფინალურ ეტაპზე გასვლას ასე თავისუფლად არავინ გაცლის. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საფრანგეთის ნაკრებთან თამაში. აქ ბევრი რამ გადაწყდება.

**— უკვე ღელავთ?**

— მივეჩვიე ემოციების დათრგუნვას. ამას ხომ პრობლემების მეტი არაფერი მოაქვს. ახლაც ჩვეულებრივად ვემზადები მსოფლიოს ჩემპიონებთან სათამაშოდ.

**— მომავალი სეზონიდან შევჩენკო უკვე „მილანში“ ითამაშებს. თქვენ რას აპირებთ? არ გსურთ საზღვარგარეთ წასვლა?**

— საზღვარგარეთ წასვლა ჩემი თვითმიზანი არ არის. მსურს, ჯერ „დინამოსთან“ ერთად მივაღწიო რამეს. „დინამო“ მშვენიერი, ახალგაზრდული გუნდია. ჩვენ ბევრის გაკეთება შეგვიძლია.

**— ვთქვათ, იგივე „მილანიდან“ ან „ბარსელონადან“ რომ მიიღოთ მიწვევა, უარს ისე იტყვით, რომ არც კი დაფიქრდებით?**

— მე ეს არ მითქვამს. ცხადია, ასეთ სუპერკლუბში მოხვედრა მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ უბრალოდ მგონია, რომ ჩემი ადგილი ჯერ კიევშია, თორემ საზღვარგარეთ წასვლაზე უარს სულაც არ ვამბობ.

**— წამყვან ევროპულ კლუბში თუ გადახვედით, ხომ არ ფიქრობთ, რომ ვარსკვლავთა რიგებში ვერ შეძლებთ გზის გაკვლევას, შემდეგ კი უბრალოდ დაიკარგებით?**

— არა მგონია. განსხვავება ჩვენს და ევროპულ ფეხბურთს შორის ის არის, რომ აქ გამუდმებული კონტროლის ქვეშ ხარ, იქ კი შენი თავი შენვე გეკუთვნის. ეს ჩვენებზე ხანდახან ცუდად მოქმედებს და უარყოფითი შედეგი სწორედ ამით არის გამოწვეული. მე პროფესიონალი ვარ და ვიზრუნებ, რომ ასეთი რამ არ დამემართოს. მაგრამ ჯერჯერობით მაინც კიევში ვთამაშობ და სხვაგან გადასვლაზე მაინცდამაინც არ ვფიქრობ.

**ირაკლი სირაძე, კიევიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# სარბიელი
## სპორტული ლატარია “CROCO”

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი** | | | |
| 24.03 | ჰადერსფილდი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | **ბელგია. ლიგის თასი** | | | |
| 24.03 | ანდერლეხტი — ლიერსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | ბევერენი — ეკერენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | გენკი — ბრიუგე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | **ჰოკეი. NHL** | | | |
| 24.03 | ტორონტო — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ოტავა — ბოსტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | კაროლინა — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 4,0 |
| | ტამპა ბეი — ნეშვილი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| | ფლორიდა — რეინჯერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | დეტროიტი — ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | კოლორადო — ვანკუვერი | 1,15 | 4,4 | 4,0 |
| | ედმონტონი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 25.03 | ბოსტონი — ჩიკაგო | 1,1 | 4,4 | 5,0 |
| | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | კალგარი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | ვანკუვერი — სტ. ლუისი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | ფინიქსი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ლოს ანჯელესი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| | **კალათბურთი. NBA** | | | |
| 24.03 | ბოსტონი — მინესოტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | ნიუ ჯერსი — დეტროიტი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | შარლოტი — ჩიკაგო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ატლანტა — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | მილუოკი — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | დალასი — ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | სიეტლი — ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ვანკუვერი — ფილადელფია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | კლიპერსი — გოლდენ სტეიტი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | ლეიკერსი — ფინიქსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | საკრამენტო — ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 25.03 | ორლანდო — კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ჰიუსტონი — ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | დენვერი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | პორტლენდი — ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



თასების მფლობელთა თასი

VI გათამაშება 1965-66 წლები

ბორუსია

დორტმუნდი, გერმანია

სოლომონ ქყლისაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# დორტმუნდელები ლომის გალიაში

**როცა ნახევარფინალში სამი ბრიტანული გუნდი (ლივერპული, ვესტ ჰემი, სელტიკი) მოხვდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ფინალს კუნძულელები გაითამაშებდნენ. თანაც, გადამწყვეტი მატჩი გლაზგოში უნდა ჩატარებულიყო. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ ფინალში აუცილებლად ითამაშებდა „სელტიკი". მაგრამ „სელტიკმა" „ლივერპულთან" წააგო, „ვესტ ჰემმა" დორტმუნდის „ბორუსიასთან". ასე რომ, გლაზგოს „ჰემპდენ პარკის" მინდორი ფორმალურად ორივე გუნდისთვის ნეიტრალური აღმოჩნდა. წინა წელს დაწყებული ინგლისურ—გერმანული დაპირისპირება გაგრძელდა.**

რიგით მეექვსე გათამაშებაში ორი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. პირველი ის, რომ უეფამ დებულებაში ცვლილება შეიტანა. უპირატესობა მიენიჭა მეტოქის მინდორზე გატანილ ბურთს. მანამდე თუ ორი მატჩის ჯამში ანგარიში საყაიმო იყო, მესამე, დამატებითი თამაში ინიშნებოდა. ახლა კი მსგავს შემთხვევაში შემდგომ ეტაპზე ის გუნდი გავიდოდა, რომელსაც მოწინააღმდეგის მინდორზე მეტი ბურთი ექნებოდა გატანილი. ოღონდ ეს წესი დამატებით დროზე არ ვრცელდებოდა.

მეორე სიახლე — თასების თასზე პირველად გამოჩნდა საბჭოთა გუნდი. ეს პატივი კიევის „დინამოს" ერგო. მათი მწვრთნელი, ვიქტორ მასლოვი წერდა: როგორც იქნა, ვებმებით ტურნირში, რომელშიც დღემდე ჩვენს გარდა ყველა მონაწილეობდა. ამხანაგური მატჩებით შორს ველარ წავალთ. საერთაშორისო გამოცდილება საკლუბო დონეზეც გვჭირდება".

ორი სუსტი მეტოქის დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალში კიეველები გლაზგოს „სელტიკს" შეხვდნენ. ეს რაუნდი იანვარში იმართებოდა და კიეველებმაც საშინაო მინდვრად თბილისი აირჩიეს.

პირველ შეხვედრაში „სელტიკმა" სამჯერ გაუტანა უკრაინელებს. კიეველები გლაზგოდან თბილისში დაბრუნდნენ. კვირის თავზე საპასუხო რაუნდი უნდა გამართულიყო, მაგრამ „სელტიკის" მესვეურებმა საკავშირო ფედერაციაში წერილი გამოგზავნეს, სამგზავრო პრობლემები გვაქვს და ცოტა მოგვიანებით ვითამაშოთო. სქოთების თხოვნა შეისმინეს და თამაში კვირით გვიან დაინიშნა. შოტლანდიელები თბილისში ირლანდიური სპეცთვითმფრინავით ჩამოვიდნენ, თან უამრავი ყუთები ჩამოიყოლეს. ყუთებში საკუთარი საჭმელ-სასმელი ჰქონიათ მომარაგებული (სხვათა შორის, იგივე განმეორდა 1994 წელს, როცა თბილისს სქოთების მეზობლები, უელსელები ეწვივნენ).

საუზმეზე მათ სულგუნი, მაწონი და ქორფა ბოლოკი მიართვეს. სქოთები იღიმებოდნენ და ამბობდნენ: ყველაფერი გემრიელია, მაგრამ საკუთარი გვირჩევნიაო. თურმე, ასეთ გასტრონომიულ სიფრთხილეს თავისი ისტორია ჰქონია. წინა წელს, ვალენსიაში ყოფნისას, სელტიკელებისთვის ისეთი ესპანური საჭმელი შეუთავაზებიათ, რომ მეორე დღეს ხუთი მოთამაშე მინდორზე ველარ გასულა. თბილისში ჩამოსვლამდე შოტლანდიელები ქართული სამზარეულოთი საგანგებოდ დაინტერესებულან და დაუდგენიათ, რომ ის ბევრად არ განსხვავდება ესპანურისგან.

როგორც შემდეგ გაირკვა, სიფრთხილე შოტლანდიელებს მხოლოდ საკვების მიმართ არ აგმოუჩენიათ. მათი მწვრთნელი ჯო სტეინი აქებდა ქართულ სტუმართმოყვარეობას, თბილისის სილამაზეს, მაგრამ მომავალ თამაშზე თითქმის არაფერი უთქვამს. ერთსა და იმავეს იმეორებდა, ჩვენ შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ტრადიციას არც ამჯერად ვულალატებთო.

26 იანვარს „დინამოს" სტადიონზე 45 ათასი მაყურებელი მოვიდა (მაშინ ჩვენი სტადიონი მეტს არც იტევდა). 15-გრადუსიანი სითბო საუცხოო სათამაშო განწყობას ქმნიდა. მე-20 წუთზე ანგარიში კიეველმა საბომ (უკრაინის დღევანდელი ნაკრების მთავარი მწვრთნელი) გახსნა, მაგრამ 31-ზე შოტლანდიელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა ჯემილის გოლით დამთავრდა. ფრე 1:1, რომელმაც ნახევარფინალში „სელტიკი" გაიყვანა. ასეთი იყო ევროთასების დებიუტი თბილისში.

ნახევარფინალში თასის მფლობელი „ვესტ ჰემი" დორტმუნდის „ბორუსიას" უნდა შეხვედროდა. ლონდონელებს წინანდელივით მარჯვე გუნდი აღარ ჰყავდათ. „ჩაქუჩების" პრობლემას ისიც ემატებოდა, რომ „დორტმუნდთან" მატჩების შუალედში (ეს შუალედი კი, მაშინდელი წესებით, ერთკვირიანი იყო) საკუთარი ჩემპიონატის ორი თამაში უნდა გაემართათ, თანაც გუნდის კაპიტანმა ბობი მურმა, სხვა გუნდში გადასვლას ვაპირებო და მწვრთნელმა რონ გრინვუდმა მას კაპიტნობა ჩამოართვა.

გრინვუდი ჯერ კიდევ მატჩამდე ამბობდა: ჩვენი გუნდი ახლა „ბორუსიაზე" სუსტია. თასის ამბავი ასეთია: შინ დიდი ანგარიშით უნდა მოიგო და სტუმრად უპირატესობა შეინარჩუნო. ჩვენ კი ახლა ისე ვთამაშობთ, ერთ ბურთზე მეტის გამტანები არ ვართო. გრინვუდი მართალი გამოდგა. პირველ შეხვედრაში „ვესტ ჰემმა" ერთი ბურთი გაიტანა. 53-ე წუთზე პიტერსმა შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში. ინგლისელებს კიდევ ხუთი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. დაცვაში არც გერმანელები იდგნენ, თუმცა 86-ე წუთამდე ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. აქ კი, ორი წუთის განმავლობაში, ლოთარ ემერიხმა ორჯერ შეაგდო და თავისიანებს 2:1 მოაგებინა.

საპასუხო მატჩიც გერმანელებმა იძალეს. უკვე 30-ე წამზე ემერიხმა ხარიხადან ასხლეტილ ბურთს თავი შეაგება და თავისიანები დააწინაურა. ნახევარ საათში იმავე ემერიხმა ჯარიმიდან ბურთი „კედელში" გააძვრინა და ლონდონელებმა მეორედ დაიწყეს ცენტრიდან. მოგვიანებით მოწინააღმდეგეებმა თითო გოლიც გაცვალეს და „ვესტ ჰემი" ტურნირს გამოეთიშა. რაც შეეხება ლოთარ ემერიხს, მან ეს ტურნირი ჩინებულად ჩაატარა, 14 ბურთი გაიტანა და დღემდე ერთ გათამაშებაში გატანილი გოლების რაოდენობით თასთა თასის რეკორდსმენია. იმავე წლის 20 ივლისს კი, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე, გფრ — ესპანეთის შეხვედრაში ემერიხმა მახვილი კუთხიდან ფანტასტიკური სილამაზის ბურთი შეაგდო მეკარე ირიბარის კარში. დღემდე ამ სასწაულს „საუკუნის გოლს" უწოდებენ.

„სელტიკისა" და „ლივერპულის" ნახევარფინალი კი დიდი სკანდალით დამთავრდა. პირველ მატჩში სქოთებმა 1:0 მოიგეს. ლივერპულში მოვლენები თითქმის უმართავი გახდა. დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა. „ლივერპული" 2:0-ს იგებდა. ამ დროს „სელტიკმა" შეაგდო, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და არ ჩათვალა. არადა, ამ გოლით გლაზგოელები ფინალში გადიოდნენ. „სელტიკის" ფანებმა ველარ მოითმინეს, მინდორზე გადაცვივდნენ და ერთი აურზაური ატეხეს. შედეგად ასამდე ადამიანი დაშავდა. „სელტიკის" მწვრთნელი სტეინი ცდილობდა, ქომაგები დაეწყნარებინა, მაგრამ უშედეგოდ. მსაჯმა მატჩი შეწყვიტა. ის სამი წუთი კი სათამაშო დარჩა. ინგლისელები ფინალში გავიდნენ, მაგრამ გადამწყვეტი თამაში სწორედ „სელტიკის" „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე ელოდათ.

გლაზგოში ჩასვლისთანავე „ბორუსიის" მწვრთნელი, ვილი მულტჰაუპტი შოტლანდიელების მოთაფვლას მოჰყვა: დასანანია, აქ „სელტიკთან" უნდა გვეთამაშა. თავად ვიხილე, რა უსამართლოდ მოგექცნენ ლივერპულში. მიხარია, რომ გლაზგოში ცივა. დორტმუნდში ძალიან ცხელოდა, ჩვენ კი სიცივესა და წვიმაში გვირჩევნია თამაში. თავს ჩინებულად ვგრძნობთ. ხმაურიანი დორტმუნდის შემდეგ აქ მომზადების საუკეთესო პირობები გვაქვს — ასე მსჯელობდა მულტჰაუპტი.

„ლივერპულის" მენეჯერი ბილ შენკლი უნდობლად შეხვდა კოლეგის სიტყვამრავლობას. შენკლის საკუთარი არგუმენტები ჰქონდა: ჯერ ერთი, ლივერპულიდან ორმოც ათასზე მეტი ქომაგი ჩამოვა. მათ კარგად იციან საკუთარი მოვალეობა. მეორეც, სიმპათიები თამაშით უნდა მოიპოვო და არა დეკლარაციებით. ასეთი იყო შენკლის ფილოსოფია.

რას გულისხმობდა შენკლი, როცა თავისი გუნდის ქომაგთა მოვალეობას ახსენებდა? ეს თამაშის წინა დღით გაირკვა. აღმოჩნდა, რომ ღამით ლივერპულელმა ფანებმა სტადიონზე შეაღწიეს, სათამაშო კარი წითლად შეღებეს (კლუბის ფერია) და კედელზე უზარმაზარი ასოებით წააწერეს: „ლივერპული ჩემპიონია!" ეს ამბავი უმალ უეფამაც შეიტყო. საგანგებო დადგენილებაც მიიღო, რომლითაც ინგლისელებს აფრთხილებდა, თუ მსგავსი რამ განმეორდა, კლუბი მკაცრად დაისჯებაო. როცა მაყურებლები სტადიონზე მივიდნენ, უჩვეულო სანახაობა იხილეს, რამდენიმე მუშა კარების თეთრად გადაღებვას ამთავრებდა.

არც ფინალი გამოდგა მთლად „სუფთა". მეორე ნახევრის დასაწყისში ზიგი ჰელდის გოლით „დორტმუნდი" დაწინაურდა. მალე ინგლისელებმა გაათანაბრეს, მაგრამ როგორც შემდეგ კინოფირის გარჩევამ დაადასტურა, გოლი არასწორად გავიდა. „წითლების" ფეხმარდი მეგოლე ტომპსონი ფრთაზე გაიჭრა, სამი მცველიც მოატყუა, მაგრამ დრიბლინგისას ბურთიანად პირითი ხაზი გადაკვეთა. მერე ტომპსონმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარე ტილკოვსკი მსაჯის სასტვენს ელოდა და არ განძრეულა, ცენტრფორვარდმა ჰანტმა კი გაიტანა.

ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. დამატებითში, ლივერპულელების უპირატესობის მიუხედავად (საერთოდ, ინგლისელებს რომ ემართებათ ხოლმე), ბურთი მათ კარში გავიდა. ჰელდის დარტყმული ხარიხას მოხვდა, გამოვარდნილ ბურთს ლიბუდამ დაამატა და „დორტმუნდმა" გაიმარჯვა.

ნამატჩევს მულტჰაუპტი ჩვეულად ენაწყლიანობდა: ლომთან გალიაში შევედით და გამარჯვებული გამოვედით. „ლივერპულის" კარში ერთი ბურთის გატანაც გმირობაა. ჩვენ კი ორი შევაგდეთო.

„დორტმუნდმა" წინა წელს ინგლისელებისგან დაჩაგრული „მიუნხენის" ჯავრი იყარა და პირველი გერმანული კლუბი გახდა, რომელმაც ევროთასის მოგება შეძლო.



ფინალი იწყება. დორტმუნდის კაპიტანი პაული (მარცხნივ) ლივერპულელ იეტსს ესალმება



ფინალი. შეტევაზე პირველი ბურთის გამტანი ზიგი ჰელდი (მარჯვნივ)



ნაფინალევს. ბედნიერი დორტმუნდელები.
დგანან: შტურმი, ჰელდი, პაული, მწვრთნელი მულტჰაუპტი, ასაუერი, ემერიხი, კლუბის დირექტორი შტორკი, შმიდტი.
სხედან: ლიბუდა, კურატი, რედერი, ტილკოვსკი, ცილიაკსი.

სარბიელის ფოტოარქივიდან

### პირველი წრე

რეიკიავიკი (ისლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია) 1:3, 1:3; ატლეტიკო (ესპანეთი) — დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) 4:0, 1:0; ომონია (კვიპროსი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 0:1, 1:1; ფლორიანა (მალტა) — დორტმუნდი (გფრ) 1:5, 0:8; ლიმერიკი (ირლანდია) — ცსკა (ბულგარეთი) 1:2, 0:2; რეიპასი (ფინეთი) — ჰონვედი (უნგრეთი) 2:10, 0:6; ორჰუსი (დანია) — სეტუბალი (პორტუგალია) 2:1, 2:1; მაგდებურგი (გდრ) — სპორა (ლუქსემბურგი) 1:0, 2:0; იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) 1:0, 0:2; გოუ ეჰედი (ჰოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) 0:6, 0:1; დუკლა (ჩეხოსლოვაკია) — რენი (საფრანგეთი) 2:0, 0:0; ვინერ ნოიშტადტი (ავსტრია) — შტიინცა (რუმინეთი) 0:1, 0:2; კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) — დინამო (კიევი, სსრკ) 1:6, 0:4; კარდიფ სიტი (უელსი) — სტანდარდი (ბელგია) 1:2, 0:1; სიონი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი) 5:1, 1:2

*ვესტ ჰემი პირველი წრისგან თავისუფალი იყო.*

### მერვედფინალი

დუკლა — ჰონვედი 2:3, 2:1; ლივერპული — სტანდარდი 3:1, 2:1; ორჰუსი — სელტიკი 0:1, 0:2; დორტმუნდი — ცსკა 3:0, 2:4; ვესტ ჰემი — ოლიმპიაკოსი 4:0, 2:2; მაგდებურგი — სიონი 8:1, 2:2; რუსენბორგი — დინამო (კ) 1:4, 0:2; შტიინცა — ატლეტიკო 0:2, 0:4

### მეოთხედფინალი

ვესტ ჰემი — მაგდებურგი 1:0 (ბირნი), 1:1 (ხისონსი; ვალტერი)

ატლეტიკო — დორტმუნდი 1:1 (ხორხე მენდონსა; ემერიხი), 0:1 (ემერიხი)

ჰონვედი — ლივერპული 0:0, 0:2 (ლოულერი, სენტ-ჯონი)

სელტიკი — დინამო (კ) 3:0 (ჯემილი, მერდოკი 2), 1:1 (თბილისი) (ჯემილი; საბო)

### ნახევარფინალი

სელტიკი — ლივერპული 1:0 (ლენოქსი), 0:2 (სმიტი, სტრონგი)

ვესტ ჰემი — დორტმუნდი 1:2 (პიტერსი; ემერიხი 2), 1:3 (ბირნი; ემერიხი 2, ცილიაკსი)

### ფინალი. გლაზგო. 5 მაისი. 41 657 მაყურებელი

**ბორუსია 2:1 ლივერპული (0:0, 1:1 დ.დ.)**

1:0 ჰელდი (62), 1:1 ჰანტი (68), 2:1 ლიბუდა (109)

ბორუსია: ტილკოვსკი, ცილიაკსი, რედერი, კურატი, პაული, ასაუერი, შმიდტი, შტურმი, ემერიხი, ჰელდი, ლიბუდა

ლივერპული: ლოურენსი, ლოულერი, ბირნი, მილნი, იეტსი, სტივენსონი, კელეგენი, ჰანტი, სენტ-ჯონი, ტ. სმიტი, ტომპსონი

მსაჯი: შვინტე (საფრანგეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლევან მოსეშვილი:
# ჩემი კომპეტენცია აბსოლუტურად საკმარისია ნაკრების ფეხზე დასაყენებლად

## თემურ დათიკაშვილი:
# მოსეშვილის ხელში ნაკრებს არანაირი პერსპექტივა არა აქვს

**გუშინ** ცეკავშირში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ქართული კალათბურთის მამები. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ალმასკომს გაცილებით რთული და საპასუხისმგებლო საკითხი უნდა გადაეწყვიტა. საყოველთაო ინტერესს იწვევდა სანაკრებო თემა. ალმასკომს ჯერ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის მოხსენება უნდა მოესმინა, შემდეგ ნაკრების ბოლო შესარჩევში გამოსვლა შეეფასებინა და ყოველივეს ფონზე მოსეშვილის ყოფნა-არყოფნაზე ემსჯელა.

**ლევან მოსეშვილის** თავდაპირველ სიტყვებში პესიმიზმმა გაიჟღერა, შესაძლოა ეს ჩემთვის ნაკრების მწვრთნელის რანგში უკანასკნელი გამოსვლა იყოსო, დასძინა და გააგრძელა:

„აქამდე უკვე ორჯერ საკმაოდ ვრცელი და ამომწურავი მოხსენება გავაკეთე, მაგრამ ბოლო ხანს საზოგადოებაში და პრესაში შეიქმნა აზრი, თანაც უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ, რომ დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადავდგე. ვფიქრობ, ამან აიძულა ალმასკომი, აქ დღეს კიდევ ერთხელ შევკრებილიყავით და ჩემთვის მოგესმინათ. კი, ბატონო, მზად ვარ.

ცოტა შორიდან მოვყვები და იმ პერიოდს გაგახსენებთ, როცა მსგავსი სიტუაცია ბესიკ ლიპარტელიანის მწვრთნელობისას შეიქმნა. ლიპარტელიანი მაშინ სამ წაგებულ თამაშს შეეწირა, რის შემდეგაც ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძის და თქვენი თხოვნით მისი ადგილი მე დავიკავე. მაშინ ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, ვიცოდი, რა ნაბიჯსაც ვდგამდი, მით უმეტეს, წასაგებად განწირული სამი თამაში მელოდა — სტუმრად ლატვიასთან, იტალიასთან და ჩეხეთთან. მაგრამ მე უფრო წინ ვიხედებოდი და მომავალზე ვფიქრობდი... საბოლოოდ რა გამოვიდა? ჩემი ხელმძღვანელობით გუნდმა შვიდივე შეხვედრა წააგო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სტეფანია სულ თექვსმეტი წუთი მყავდა, ნაცვლიშვილი კი, ფაქტობრივად, ცალფეხა. მოგეხსენებათ, ეს კალათბურთელები თითქმის ნახევარი გუნდია, თუმცა არ გეგონოთ, ამას არგუმენტად ვიყენებდე და თავს ვიმართლებდე.

მწვრთნელს, პირველ ყოვლისა, შედეგი მოეთხოვება. მაყურებელს სულ არ აინტერესებს, მე ვინ მყავდა და ვინ არა, მაგრამ სპეციალისტები ხომ ხედავენ ამას. ვერ მივმხვდარვარ, რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასოთ ჩემი ნაკრებში მუშაობა, როცა ამ ხნის მანძილზე გუნდს მხოლოდ ათი ვარჯიში ჩავუტარე და ერთხელაც ერთკვირიანი ისრაელური შეკრება გავიარეთ.

ამ ადგილს გამოკერებული სულაც არა ვარ. თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, დღესვე გადავდგები, ოღონდ კონკრეტულად უნდა მიმითითოთ, რა ვერ გავაკეთე, რას ვერ გავართვი თავი. დაბეჯითებით ვეძებ ჩემს შეცდომებს და დღემდე ვერ მიპოვია. ვფიქრობ, ჩემი კომპეტენცია აბსოლუტურად საკმარისია ნაკრების ფეხზე დასაყენებლად, რჩება ის, რომ საკადრისად უნდა მოვემზადოთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. შვეიცარიაში არცთუ ძნელი ჯგუფი გვერგო. თუ გვერდში დამიდგებით, პირობას გაძლევთ, გუნდს შემდეგ ეტაპზე გავიყვან, თუ არა და ესეც ახლავე მითხარით, რომ ვიცოდე.

დაბოლოს, ჩემი ოპონენტების თქმით, მე ავადმყოფი ვარ და ჩემს საწინააღმდეგოდ ამასაც იყენებენ. მათ გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ, ეს მცდარი აზრია და ის, რომ ნაკრებს სამ თამაშში ვერ დავეხმარე, უბრალოდ, დროებითი იყო. ვარ 58 წლის, თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ და მიმაჩნია, რომ შემწევს უნარი, სარგებლობა მოვუტანო ქართულ კალათბურთს."

ლევან მოსეშვილის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ფედერაცის ვიცე-პრეზიდენტმა **დუდუ დადიანმა** ითხოვა:

„ალმასკომმა მოისმინა ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოხსენება. ჩვენ გავიგეთ მისი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. ითქვა პრობლემებზეც. ლევან მოსეშვილი დიდი პიროვნებაა, უდავოდ ავტორიტეტია ქართულ კალათბურთში, რაც ფაქტია და ვერსად გავექცევით, თუმცა სანაკრებო ამბებზე მე ჩემი აზრი ჩამომიყალიბდა.

მოსეშვილის აღიარება, რომ ჯანმრთელია, გასახარია, მაგრამ თუ ასეა, რატომ მოხდა, რომ გუნდი სამ თამაშში უმისოდ გავიდა საომრად, რა გარანტია გვაქვს, რომ ბატონი ლევანი მომავალში მაინც შეძლებს ნაკრების თავკაცობას, დავუშვათ და ჩვენ ყველანაირი პირობა შევუქმენით გუნდს მოსამზადებლად, ექნება შანსი მოსეშვილის გაწვრთნილ ნაკრებს შედეგი რომ მოიტანოს? ბოლო-ბოლო ისიც ხომ გასარკვევია, რატომ არ ესწრებოდა მწვრთნელი ამ თამაშებს?

ჩემი პირადი შეხედულება ასეთია. ვფიქრობ, ეს საკითხი მეგობრული ურთიერთობების დონეზე არ უნდა წყდებოდეს. მინდა ალმასკომის თითოეულმა წევრმა ჩვენ-ჩვენი აზრი გამოვთქვათ და ჩამოვყალიბდეთ. ისე არ გაიგოთ, თითქოს ვინმეს ვუპირისპირდებოდე, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ნაკრებმა მოსეშვილის თავკაცობით შვიდივე თამაში წააგო. საშუალოდ 28-29 ქულა თითოეულ მატჩში. ნუთუ ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისა, რომ მწვრთნელი შეიცვალოს?

მე პროფესიულად ვუდგები ამ საკითხს და მინდა შედეგი მივიღო. ღრმად მწამს, რომ ლევან მოსეშვილის ხელმძღვანელობით ნაკრები წარმატებას ვერ მიაღწევს. გარდა ამისა, ბატონი ლევანი რთული ხასიათის პიროვნებაა და კალათბურთელებსაც გარკვეულწილად უთანხმოებები ექმნებათ მასთან. კარგად ვიცნობ გუნდის სამზარეულოს და ვიცი, რომ ეს ასეა, რაც თავისთავად კიდევ უფრო უარეს შედეგებამდე მიგვიყვანს. თუ მაისში, შვეიცარიაშიც ვერ ვივარგეთ, ორი წლით დავემშვიდობებით ევროპულ კალათბურთს, ეს კი, ფაქტობრივად, დასამარების ტოლფასი იქნება.

ვიმეორებ, ის, რაზეც ახლა ვისაუბრე, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა და ახლა თქვენც მოგისმენთ".

მსგავსი იყო მეორე ვიცე-პრეზიდენტის **თემურ დათიკაშვილის** პოზიციაც:

„მინდა გაგახსენოთ შარშანდელი პლეი ოფები, როდესაც მოსეშვილი ასევე არ გამოცხადდა თამაშებზე. და ეს მაშინ, როცა მის გუნდს ანუ „დინამოს" ფინალში გასვლის ყველანაირი შანსი გადაეწურა. არის ორი ვარიანტი, ერთი რომ, ეს იყო მის მიერ მიზანმიმართულად გადადგმული ნაბიჯი, როცა გუნდი წასაგებად განწირულია, ან მიზეზი მართლაც ავადმყოფობაა და ღმერთმა ქნას, ასეც იყოს.

რაც ყველაზე სამწუხაროა, მოსეშვილის მწვრთნელობისას ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ანტირეკორდი დაამყარა, როცა იტალიასთან სტუმრად მხოლოდ 44 ქულა მოაგროვა.

ამასთანავე თითოეულმა ჩვენგანმა უყურა ეროვნული გუნდის გამოსვლას შინ შვედეთთან და ლატვიასთან. პირადად მე ვერანაირი ტაქტიკური სიახლე ვერ შევნიშნე ნაკრების თამაშში, რაშიც სპეციალისტებიც დამეთანხმებიან. აზრი, თითქოს ლატვიელებთან გუნდმა კარგად ითამაშა, არასწორად მიმაჩნია და სპორტული თვალსაზრისით ლოგიკურიც იყო მეტოქის გამარჯვება, რადგან ნებისმიერ კომპონენტში გვჯობდნენ.

ამიტომაც, ალმასკომის წევრებს გთხოვთ დამიჭიროთ მხარი, რომ კენჭი ვუყაროთ ახალი მწვრთნელის კანდიდატურას და როგორც უმრავლესობა გადაწყვეტს, ისე იყოს, უმრავლესობის აზრი ხომ ყოველთვის მართალია. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა და საამისოდ ბიულეტენებიც დავბეჭდეთ".

წინდაწინვე გეტყვით, რომ ბიულეტენებამდე საქმე აღარ მისულა. ფარული კენჭისყრის მომლოდინე ალმასკომის წევრებმა ლევან მოსეშვილის თხოვნას, სათქმელი პირში მითხარითო, ანგარიში გაუწიეს და... დადგა უმრავლესობის დროც.

**გურამ მინაშვილი:** მე დაუფარავად და ღიად მხარს ვუჭერ ლევან მოსეშვილს.

**ვალერი ლომაძე:** მომხრე ვარ, მოსეშვილი დარჩეს დაკავებულ თანამდებობაზე.

**ვაჟა ჭკუასელი:** ჩემი აზრი წინა ალმასკომზეც გამოვთქვი და ერთ კვირაში არაფერი შეცვლილა, დაე, იყოს მოსეშვილი.

**ავთო იოსელიანი:** მე რომ მოსეშვილს მხარი არ დავუჭირო, არ ვიცი მომავალში ვინ იქნება მწვრთნელი. ამიტომ კვლავაც მოსეშვილზე შევჩერდები. დაასახელეთ სხვა კანდიდატები და ჩემს აზრს შემდეგ გამოვხატავ. არც ისაა გამორიცხული, ბატონ ლევანს სხვა რომ ვამჯობინო.

**მურმან ქურიძე:** მიჭირს რაიმე კონკრეტულის თქმა. ვფიქრობ, სჯობდა თავდაპირველად მწვრთნელთა საბჭოს გაეკეთებინა დასკვნები.

**ვლადიმერ უგრეხელიძე:** ლიპარტელიანის გაშვებასაც შეცდომად ვთვლიდი და მოსეშვილის შემთხვევაშიც ამას გავიმეორებ.

**როლანდ ხომერიკი:** მოსეშვილის ჩამოთვლილი მიზეზები ობიექტურად მიმაჩნია. შეგვეძლო უფრო კარგად გამოვსულიყავით, თუმცა შედეგს რომ ვერ ვაჩვენებდით, ესეც ცხადი იყო. მე მაინც მგონია, რომ ლევანს უნდა ვაცალოთ.

**გია მიქაძე:** თუ მოსეშვილის საკითხი ასე მკაცრად დგას, მაშინ ის მაინც გვითხარით, ვისზეა ლაპარაკი, აი, მერელა დავფიქრდები.

**ჯონი ქარჩავა:** უმრავლესობის აზრი მოვისმინეთ და არა მგონია, ჩემს სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

დაბოლოს, ფედერაციის პრეზიდენტი **გოგი ქათამაძე:**

ყველაფერი დღესავით ნათელია, ალმასკომმაც და თავად ლევან მოსეშვილმაც ახლა ერთიათად მეტი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე. დღეიდან იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ გავერთიანდეთ, მოვძლიერდეთ და გულშემატკივარი მომავალში მაინც გავახაროთ.

ეს იყო და ალმასკომის წევრებიც აიშალნენ. ზოგიერთ მათგანს კმაყოფილების ღიმილი დაჰკრავდა სახეზე, თუმცა არამც და არამც **თემურ დათიკაშვილს,** რომელიც ალმასკომის გადაწყვეტილებით აშკარად უკმაყოფილო გახლდათ და უმრავლესობა ამჯერადაც შეცდაო, ირწმუნებოდა:

„მე კიდევ ერთი შანსი მინდოდა მიმეცა ხალხისთვის. მინდოდა გადამერჩინა ქართული კალათბურთი, მაგრამ თქვენც ნახეთ, რა წინააღმდეგობასაც წავაწყდი. ვფიქრობ, მოსეშვილის ხელში არანაირი პერსპექტივა არა აქვს ჩვენს ნაკრებს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ასე მიმაჩნია. საქართველოში არიან მასზე მონდომებული, საქმის მცოდნე მწვრთნელები, თუნდაც ტომარაძე, ოქრუაშვილი...

ველარ ვხედავ ჩემს ფუნქციას ფედერაციაში. არც ჩემი ნათქვამი მავიწყდება, რომელიც ამას წინათ ჟურნალისტებსაც გაგანდეთ. რადგან მოსეშვილი ნაკრების მწვრთნელად დარჩა, მე ხვალვე დავწერ განცხადებას განთავისუფლების შესახებ".

**გიორგი გიქაშვილი**

---

საქართველოს ჩემპიონატი

19 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### გიორგი გაგნიძე
### •სტუ•



ზურაბ დოლიჯაშვილის ფოტო

სტუ — სდასუს შეხვედრაში სდასუმ მთავარ მწვრთნელთან ერთად სასტარტო ხუთეულის მოთამაშეები, შეუძლოდ მყოფი დავით თორთლაძე და თამაზ გიგაური მოისაკლისა, რაც სტუ-მ კარგად გამოიყენა და მეორე წრეში დამარცხებისთვის რევანშის აღება შეძლო.

თანაბარი სიძლიერის კალათბურთელებით დაკომპლექტებული სტუ-ს რიგებში დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა მე-7 ნომერს, საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების უკანა ხაზის მოთამაშე გიორგი გაგნიძეს, რომელიც დაცვაში თამაშის დროს სდასუ-ში დაბრუნებულ გიორგი ჩხეიძეს გასაქანს არ აძლევდა და შეტევაშიც შედეგიანობით გამოირჩეოდა.

**— სტუ-ს მიერ, ზედიზედ სამი წაგების შემდეგ მოპოვებულ გამარჯვებაში შენს წვლილს როგორ შეაფასებდი?**

— ამ თამაშის მოსაგებად მთელი გუნდი მობილიზებული გამოვედით და ვფიქრობ, მეც მიმიძღვის გარკვეული წვლილი.

**— სხვა შეხვედრებში მობილიზებული არ გამოდიოდით?**

— სტუ ყოველთვის მოგებისთვის თამაშობს, მაგრამ ჩავარდნები ვის არ ჰქონია.

**— კონკრეტულად რით ახსნი პირველ წრესთან შედარებით მეორეში სტუ-ს უფერულ თამაშს?**

— მიმდინარე ჩემპიონატში სტუ, ფაქტობრივად, ახალი გუნდით თამაშობს. მე და ნიკა ცქიტიშვილი კი სულაც მეორე წრიდან შევუერთდით გუნდს. თუ არ ჩავთვლით ჩერქეზიშვილს, ცხვედიანს და ოთიურიძეს, კალათბურთელთა საშუალო ასკი 20 წელს არ აღემატება. გვაკლია გამოცდილება, ერთმანეთთან შეთამაშებასაც დრო უნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მეორე ადგილზე ვიმყოფებით.

**— ჭერჭერობითო, რომ ამბობ, არ გაქვს მეორე ადგილის შენარჩუნების იმედი?**

— გვერდით ისეთი მეზობელი გვყავს „ვითას" სახით, რომ მარტო სტუ-ს კი არა, „აზოტსაც" გადაასწრებს.

**— შარშან ფინალში აზოტელ გაბისონიას ბოლომდე არ უთამაშია ტრავმის გამო და „ვითამ" ჩემპიონობა მაინც ძლივს შეინარჩუნა. ამჯერად კი „აზოტი" კიდევ უფრო გაძლიერდა აჩიკო ქლენტითა და ბაბიაშვილით. რატომ გგონია, რომ „ვითა" ჩემპიონობას ადვილად შეინარჩუნებს?**

— „ვითაც" გაძლიერდა უსტიაშვილითა და ახალკაცით და კიდევ დაიმატებს, ვინც დასჭირდება. ჩემპიონობას იგი მაინც შეინარჩუნებს.

**— ისე ლაპარაკობ, რომ სტუ — „ვითას" შეხვედრისასაც შეიძლება „ვითას" დაუჭირო მხარი...**

— თუ ჩემი გუნდი „ვითას" ეთამაშება, ერთადერთი გამონაკლისია, თორემ სხვა შემთხვევაში ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიქნები.

**— ძალიან გყვარებია „ვითა", სადაც ერთი წელი დაჰყავი და ოქროს მედლებიც მოიპოვე. ცოტა უცნაურია: როდესაც მამაშენი, გია გაგნიძე „ვითას" პრეზიდენტი გახდა, შენ მაშინ წახვედი გუნდიდან...**

— მამაჩემმა გამომიშვა.

**— ეგ როგორ?**

— როგორ და მითხრა, შენი მოწინააღმდეგე უნდა ვიყო, თუ ბიჭი ხარ, მეთამაშეო. სხვათა შორის, მეც იგივე აზრისა ვარ. მინდა მამაჩემს დავუმტკიცო, რომ ძლიერი ვარ.

**— რაღა მაინც და მაინც სტუზე გააკეთე არჩევანი, სხვა გუნდებში არ მიგიღებდნენ?**

— სტუ-ში ჩემი უახლოესი მეგობრები თამაშობენ, თანაც ტექნიკურ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

**— „ვითაში" მეგობრები არ გყავდნენ?**

— რა თქმა უნდა, მყავდნენ და მყავან კიდეც. მაგრამ იქ უფროსი მეგობრები არიან, სტუ-ში კი უფრო ჩემი თაობის.

**— მამაშენი ვის უფრო გულშემატკივრობს, შენ თუ „ვითას"?**

— მე უფრო მქომაგობს, რადგან იცის, რომ „ვითა" მაინც გაიმარჯვებს.

**— მოკლედ გვიამბე შენი ბიოგრაფიის შესახებ და ისიც გვითხარი, თუ როგორ მოხვედი კალათბურთში?**

— 6 წლის ვიყავი, როდესაც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს, რომელსაც მამაჩემის მეგობარი გივი ჩინჩალაძე ხელმძღვანელობდა, ალიტუსში (ლიტვა) გავყევით მე და მამაჩემი. იმ გუნდში თამაშობდნენ ვახტანგ ნაცვლიშვილისა და აჩიკო ქლენტის თაობის კალათბურთელები. სწორედ მაშინ გავაკეთე არჩევანი კალათბურთის სასარგებლოდ. დედაჩემს კი დავყავდი ცოტა ხნით ცეკვაზე, მაგრამ მაინც კალათბურთი ვამჯობინე. 7 წლისამ ვარჯიში დავიწყე „მართვეში" გივი ჩინჩალაძის ხელმძღვანელობით, შემდეგ გადავედი ზვიად დიდბერიძესთან და „ბასის" რიგებში ბავშვთა ლიგაში ვთამაშობდი. ბავშვთა ლიგაში კიდევ ერთი გუნდის, „კაქტუსის" შემადგენლობაში ვითამაშე. ბოლო ერთი წელიწადი კი ლაშა ლოსაბერიძესა და ზვიად მიქაძესთან ერთად, რომლებიც ამჯერადაც ჩემი თანაგუნდელები არიან, „ვითაში" გავატარე.

დავიბადე 1981 წლის 8 მაისს, სიმაღლეში ვარ 191 სმ. წონაში კი — 95 კგ. ვთამაშობ პირველ ნომერს, იშვიათად — მეორეს. საკვალიფიკაციო ტურნირიდან ფინალის ჩათვლით, ვითამაშე ევროპის პირველობა კადეტთა შორის. 1998 წელს ვმონაწილეობდი მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებში. ერთი წლის წინ კი ეროვნულ ნაკრებშიც მიმიწვიეს.

**— მოდი, კვლავ ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. სდასუ-სთან სტუ-ს წარმატება კონკრეტულად რამ განაპირობა?**

— ჩემი აზრით, მატჩის ბედი გადაწყდა მეორე ნახევარში, როდესაც მეტოქე დავჯაბნეთ სისწრაფეში. მცველის როლში მყოფი მეტოქე აჩქარდა, შეცდომებსა და ჯარიმებსაც მოუმატა, რამაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

**— რა მიზნებს ისახავს სტუ მიმდინარე ჩემპიონატში?**

— პროგრამა მინიმუმი პლეი ოფში მოხვედრაა და შემდეგ ვნახოთ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიას დაფარება უფრო ემარჯვება




REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — საკრამენტო. კრის ვებერი (№4) ჰიუსტონელების ჩარლზ ბარკლისა (მარცხნივ) და სკოტი პიპენისგან (მარჯვნივ) გაქცევას ცდილობს

22 მარტი

### სიეტლი 91:76 ფილადელფია

**სიეტლი: პეიტონი (26), ჰოკინსი (3), შრემპფი (17 ქულა, 10 მოხსნა), ოუენსი (11), პოლინაისი (4 ქულა, 10 მოხსნა); ელისი (11), ბერი (8), სტეფანია (4), მაკლინი (4), ვილიამსი (4), ლუისი**

**ფილადელფია: სნოუ (10), აივერსონი (14), ლინჩი (10), რეთლიფი (7), გეიგერი (13); ჰუგსი (15) ჰონიკატი (3), მაკკიი (2), მუჰამედი (1), ჰილი (1), გრანტი**

მასპინძელ გუნდს არ ჰყავდა ძირითადი თავდამსხმელი ვინ ბეიკერი და არც რაიმე განსაკუთრებული პრობლემა შექმნია საკმაოდ სერიოზულ მეტოქესთან ბრძოლაში. ბეიკერმა „გოლდენ სტეიტთან" წაგებულ წინა მატჩში მარჯვენა ცერის მყესი გაიწყვიტა, ასე რომ, სიეტლს 4-6 კვირა მის გარეშე მოუწევს თამაში. ამ შეხვედრამდე სიეტლმა სამ დღეში ორჯერ მოასწრო წაგება მასზე სუსტ მეტოქეებთან. ფილადელფიასთან გუნდს საკუთარი კედლები და 17 ათასი გულშემატკივარი უმაგრებდა ზურგს და მოახერხა კიდეც სტუმრების დაჩაგვრა. ფილადელფიას, მართალია, ჰყავს ლიგის ბომბარდირთა შორის უპირველესი ალენ აივერსონი, მაგრამ, სამაგიეროდ, სიეტლში ლიგის უძლიერესი უკანახაზელი გერი პეიტონია, რომელიც შეტევაში შედეგიან თამაშს დაცვაში მშვენიერ გარჯასაც უმატებს და ამ მხრივ ასოციაციაში ერთ-ერთი საუკეთესოა, 1995-96 წლების სეზონში კი საუკეთესო მცველის ტიტულიც მოუპოვებია. წლეულს პეიტონს, თანაგუნდელებისაგან განსხვავებით, იშვიათად თუ ჩაუგდია მატჩი და უმეტეს შემთხვევაში თამაშში მთელ გულსა და ჯიგარს დებს. ასე იყო ახლაც, სიეტლელმა მეტოქე დააწიოკა და დაცვაში მასზე ახალგაზრდა აივერსონს კარგი გაკვეთილი ჩაუტარა.

ბეიკერის არყოფნამ, ბუნებრივია, „სუპერსონიქსის" სასტარტო ხუთეულში ცვლილებები გამოიწვია. ბეიკერის ადგილი ბილი ოუენსმა დაიკავა, „გოლდენ სტეიტთან" ნათამაშები ვლადიმერ სტეფანია კი სათადარიგოთა სკამიდან შეეშველა თავისიანებს. იგი გამოცდილმა ბებერმა გერმანელმა დეტლეფ შრემპფმა შეცვალა, რომელიც წინა წლებში გუნდის შეუცვლელი მოთამაშე და ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ამჟამად გარკვეული მიზეზების გამო იშვიათად იწყებს თამაშს გუნდთან ერთად.

მატჩი სიეტლის აშკარა უპირატესობით წარიმართა და ასევე დასრულდა. ფილადელფია მხოლოდ პირველ მეოთხედშიმ უწევდა საკადრის წინააღმდეგობას სიეტლს და პირველი თორმეტწუთეული 18:18 დაუმთავრა, მეორეში კი სიეტლმა აჯობა სტუმარ გუნდს და პირველი ნახევრის 45:35 მოგებით, როგორც აღმოჩნდა, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მეორე ნახევარში აღსანიშნავია სტეფანიას თამაში. ქართველმა, რაც კალათბურთის ეროვნული ასოციაციაშია, ყველაზე დიდხანს — 17 წუთს დაჰყო მოედანზე, მისი საამმატჩო მონაგარი კი ასეთია: ოთხი ქულა, ოთხი მოხსნა და სამი დაფარება. ამით სტეფანიას ჩატარებულ 10 მატჩში 13 დაფარება მოუგროვდა, ანუ მატჩში საშუალოდ 1,3. ამ მაჩვენებლით იგი გუნდში პირველ ადგილზეა, ლიგის ახალბედათა შორის კი — მესამეზე. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველი არცთუ ზუსტად ისროდა. მისი 10 სროლიდან მხოლოდ ორმა მიაღწია მიზანს. მატჩი კი ისე ჩამთავრდა, ფილადელფიამ ბევრი ვერაფერი შესთავაზა აღმაფრენით მოთამაშე მასპინძელს და საბოლოოდ სოლიდური სხვაობით დათმო შეხვედრა.

### დალასი 93:96 ლეიკერსი

**დალასი: ფინლი (23)**

**ლეიკერსი: ონილი (25), ბრაიანტი (21)**

როდმანი რომ ესოდენ საჭირო მოთამაშეა ლეიკერსისთვის, ამ პაექრობამაც დაადასტურა. ცოტა ხნის წინ იგი ერთი კვირით სადღაც გადაიკარგა და ოთხი მატჩი გამოტოვა, რომელთაგან ლეიკერსმა სამი წააგო. აი, გამოჩნდა როდმანი და ლეიკერსმა მისი მონაწილეობით ჩატარებული ორივე თამაში მოიგო. სულ ამ გიჟმაჟ კალათბურთელს ლოსანჯელესელთა 11 შეხვედრაში უთამაშია და მის ახალ გუნდს ყოველთვის გაუმარჯვია. ამ მატჩში როდმანმა მხოლოდ ერთი საჯარიმო მიითვალა, მაგრამ ფარქვეშ ჩვეულად გაიბოტა და ფარიდან ასხლეტილ ბურთსაც 17-ჯერ დაეუფლა. რაც შეეხება დალასს, იგი მთელი თავდადებით იბრძოდა და ცდილობდა, ლეიკერსისთვის 1995 წლის 5 აპრილის შემდეგ შინ პირველად მოეგო, მაგრამ ლეიკერსელებმა როდმანმა, ონილმა, ბრაიანიტმა და რაისმა (17 ქულა) ტეხასელებს გარჯა წყალში გადაუყარეს.

### ჰიუსტონი 110:100 საკრამენტო

**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (32 ქულა, 12 მოხსნა)**

**საკრამენტო: ვებერი (29 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა, 4 დაფარება)**

„ჰაკიმი (ოლაჯუონი) ლიგაში უძლიერესი ცენტრია შაკილ ონილის შემდეგ — თქვა საკრამენტოს ლიდერმა კრის ვებერმა მატჩის შემდეგ — „ჰიუსტონ როკიტსი" კი ერთ-ერთი საუკეთესოა ლიგაში". „ჰიუსტონ როკიტსმა" მართლაც მშვენივრად ითამაშა და ზედიზედ მეოთხე, ბოლო რვაში კი მეშვიდე შეხვედრა მოიგო. ვებერის მიერ ნაქებმა 36 წლის ოლაჯუონმა მართლაც ახალგაზრდული სულისკვეთებით იბრძოდა და ამ სეზონში ყველაზე მეტი ქულაც მოაგროვა. მას ძირითადი ხუთეულის სხვა წევრებმაც აუბეს მხარი: სკოტი პიპენმა 25 ქულა, 8 მოხსნა და 8 პასი მიითვალა, ჩარლზ ბარკლიმ — 19 ქულა, 16 მოხსნა და 6 პასი, ახალბედა მაიკლ დიკერსონმა — 23 ქულა. მხოლოდ მეორე ახალბედა, ერიკ მობლი შერცხვა, რომელმაც 31 წუთში ქულაც ვერ გააზერხა. „ჩვენ ვმოქმედებდით მკვლელის ინსტინქტით და ამან გაამართლა — თქვა ოლაჯუონმა. რაც შეეხება საკრამენტოს, მის ლიდერ კრის ვებერს ურიგოდ არ უთამაშია და მასპინძელს ბევრი პრობლემაც გაუჩინა. მას ვერნონ მაქსველიც წაეხმარა, რომელსაც ორჯერ — 1994 და 95 წლებში ჰიუსტონის რიგებში ასოციაციის ჩემპიონობა მოუპოვებია. ახლა მაქსველმა თავის ყოფილ გუნდს 28 წუთში 25 ქულა ჩაუგდო, რაც მისთვის სეზონში საუკეთესო შედეგია, მაგრამ ამაოდ.

### მილუოკი 115:86 დეტროიტი

**მილუოკი: ალენი (19)**

**დეტროიტი: ლეიტნერი (17 ქულა, 9 მოხსნა)**

მილუოკიმ დეტროიტს საწყის წუთებში 23:2 მოუგო და შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა. დეტროიტს კი ვერც კრისტიან ლეიტნერმა უშველა, რომელმაც ხანგრძლივი ტრავმა მოირჩინა და დეტროიტის რიგებში ამ სეზონში მეორე მატჩი ჩაატარა.

### ნიუ იორკი 71:80 ატლანტა

**ნიუ იორკი: იუინგი (23)**

**ატლანტა: ბლეილოკი (15)**

ნიუ იორკმა პირველი ექვსი სროლა ააცილა და მერე წელში ველარ გაიმართა. ლომივით იბრძოდა მასპინძელთა ბებერი ცენტრი პატრიკ იუინგი, რომელმაც თავისი მეურვე დიკემბე მუტომბო გვარიანადაც გააწვალა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს და მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში" დამარცხდნენ.

22 მარტი

### ინდიანა 90:86 ვაშინგტონი

**ინდიანა: მილერი (18)**

**ვაშინგტონი: რიჩმონდი (35)**

ინდიანამ ვაშინგტონს უჩვენა, რომ მასზე ერთი თავით მაღლა დგას და დამსახურებულად გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმარმა მიჩ რიჩმონდმა ერთობ გამოიდო თავი და მისთვის სეზონში სარეკორდო — 38 ქულა მოაგროვა, ინდიანამ, რომელსაც ლეგენდარული ლარი ბერდი უდგას სათავეში, თავისი კომბინაციური მრავალსვლიანი შეტევებით აჯობა ვაშინგტონს და შინ ჩატარებული 13 თამაშიდან მეთერთმეტედ იმარჯვა.

### ნიუ ჯერსი 106:87 ტორონტო

**ნიუ ჯერსი: მარბერი (31 ქულა, 12 პასი), კარი (24)**

**ტორონტო: ვოლესი (19)**

ნიუ ჯერსის ძველი მოთამაშეები ქენდალ გილი, კიტ ვან ჰორნი, კერი კიტლზი, ჯეისონ ვილიამსი უყურებდნენ, როგორ ბომბავდნენ „ტორონტო რეპტორზის" კალათს სტივენ მარბერი და კრის კარი. ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ მინესოტაში მოთამაშე ამ ორმა კალათბურთელმა ნიუჯერსელებს ასწავლა, თუ როგორ უნდა ჩააგდო ბურთი, ახლა კი მათ მასპინძელთა საერთო მონაგრის ნახევარზე მეტი ჩაუგდეს ტორონტოს. ნიუ ჯერსიმ პირველივე მეოთხედში მეტოქის 32:14 დაბრიყვებით გადაწყვიტა თამაშის ბედი. ტორონტოს ასეთი მარცხი, თან პირველი ბოლო ექვს მატჩში, იმანაც განაპირობა, რომ გასული კვირის მოთამაშემ, ახალბედა ვინს კარტერმა 16 სროლიდან მხოლოდ ოთხი ჩააგდო და საბოლოოდ 10 ქულასლა დასჯერდა.

### ფინიქსი 89:84 ვანკუვერი

**ფინიქსი: კიდი (24), გულიოტა (19 ქულა, 11 მოხსნა)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26)**

წინა სამ მატჩში მარცხნაწვნევი ფინიქსი გააფთრებით ეკვეთა სტუმრებს და გადაყლაპვა დაუპირა, მაგრამ ბოლო დროს მოყოჩაღებული ვანკუვერი კერკეტი კაკალი გამოდგა. იგი ვაჟკაცურად შეებრძოლა მასპინძელს, ტოლსწორად ეთამაშა და ლამის მოუგო კიდეც. ვანკუვერის ლიდერმა შარიფ აბდურ-რაჰიმმა დანანებით აღნიშნა, ცუდია, რომ დავმარცხდით, იქნებ არც წაგვეგო, „დიდი სოფლელი" რომ გვყოლოდაო. ვანკუვერელები ასე თავიანთ თეთრკანიან გოლიათს, 216-სანტიმეტრიან ძონძროხა ცენტ ბრაიან რივზს მოიხსენიებენ, რომელიც, თუ ვინმეს მოერია, 20 ქულასაც კი აკეთებს და აბდურ-რაჰიმის შემდეგ „ასოციაციის ციმბირის" გუნდში მეორე მოთამაშედ ითვლება.

ირაკლი ფირაშვილი

## კასელს კვლავ კოჭმა უმტყუნა

ამას წინათ ლიგის სამმა გუნდმა დიდი ვაჭრობა მოაწყო, რომლის შემდეგაც სემ კასელი „ნიუ ჯერსი ნეთსიდან" „მილუოკი ბაქსში" გადავიდა. მაშინ კასელს კოჭი ჰქონდა ამობრუნებული, რის გამოც სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა.

მილუოკიში გადასვლის შემდეგ კასელმა ექვსი მატჩი გამოტოვა ტრავმის გამო. შემდეგ მომჯობინდა და კვირადღეს მილუოკური დებიუტიც ჰქონდა „შარლოტ ჰორნეთსის" წინაალმდეგ.

სემს ბედი არ ჰქონია. ერთ-ერთ მომენტში იგი ბურთის მოსახსნელად ახტა და, ძირს დაშვებული, მავან მეტოქეს ფეხზე დაახტა. შედეგად კასელმა ახლადმორჩენილი კოჭი ახლიდან ამოიბრუნა. „მილუოკი ბაქსმა" იგი ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ კალათბურთელი, სულ მცირე, ხუთ მატჩს გამოტოვებს.

ცნობისთვის, სანამ კოჭს ამოიბრუნებდა, კასელმა 26 წუთს ითამაშა, გუნდს კი 13 ქულა და 4 პასი შემატა.

## რაიდერი არ იშლის ჩხუბს

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" უკანახაზელი აიზია რაიდერი ამ სეზონში უკვე მეორედ დასაჯეს. „საკრამენტო კინგზთან" შეხვედრისას მან პანღური ამოჰკრა და ხელი გაარტყა მეტოქის უკანახაზელ ჯონ ბერის. ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ რაიდერს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა და 7 500 დოლარით დააჯარიმა.

აიზია ერთობ განაწყენდა ლიგის გადაწყვეტილების გამო: „მე და ბერი შევლაპარაკდით. მას ხელი დავადე, მან კი სახეში გამარტყა. სამწუხაროდ, მსაჯს მისი დარტყმა არ დაუნახავს".

სეზონის დასაწყისში რაიდერმა უკვე მოიხადა ერთმატჩიანი სასჯელი. მაშინ იგი სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა და მოედანზე გამართულ ჩხუბში ჩაერთო.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| მაიამი | 18 | 6 | 75,0 |
| ორლანდო | 18 | 8 | 69,2 |
| ფილადელფია | 14 | 11 | 56,0 |
| ნიუ იორკი | 15 | 12 | 55,6 |
| ვაშინგტონი | 10 | 15 | 40,0 |
| ბოსტონი | 8 | 15 | 34,8 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 20 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 18 | 7 | 72,0 |
| მილუოკი | 15 | 10 | 60,0 |
| ატლანტა | 15 | 11 | 57,7 |
| დეტროიტი | 14 | 12 | 53,8 |
| კლივლენდი | 12 | 11 | 52,2 |
| ტორონტო | 11 | 13 | 45,8 |
| შარლოტი | 9 | 14 | 39,1 |
| ჩიკაგო | 8 | 17 | 32,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 19 | 6 | 76,0 |
| ჰიუსტონი | 17 | 9 | 65,4 |
| სან ანტონიო | 16 | 9 | 64,0 |
| მინესოტა | 14 | 12 | 53,8 |
| დალასი | 9 | 18 | 33,3 |
| დენვერი | 7 | 18 | 28,0 |
| ვანკუვერი | 5 | 21 | 19,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 20 | 5 | 80,0 |
| ლეიკერსი | 19 | 9 | 67,9 |
| სიეტლი | 13 | 11 | 54,2 |
| ფინიქსი | 13 | 13 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 14 | 41,7 |
| საკრამენტო | 11 | 16 | 40,7 |
| კლიპერსი | 2 | 22 | 0,83 |

გურამ [illegible] ფოტო



ბიძინა გეგიძე

# გვინდა კი რაგბი?

**გვინდაო, იტყვიან ისინი, ვისაც ჩვენი სპორტის ბედი აბარია. რაგბი ხომ დღესდღეობით ერთადერთი სათამაშო სახეობაა საქართველოში, რომლის მიმდევართ რეალურად ძალუძთ მსოფლიოს ელიტაში მოხვედრა. ახალგაზრდებმა ეს უკვე შეძლეს. ახლა ჯერი დიდებზეა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ (ანუ იმ ხალხის სამწუხაროდ, ვისაც უნდა რაგბი, მაგრამ მორალური მხარდაჭერის გარდა ვერაფრით ეხმარება), ისინი, ვისაც რეალურად ძალუძს, რაგბის შეეწიოს, ამისთვის არაფერს აკეთებს. ოთხი დღე დარჩა ქართველი და ტონგელი მორაგბეების განმეორებით დაპირისპირებამდე და ნაკრებს სავარჯიშო ადგილიც კი არ აქვს. ტონგელები ამაღამ ჩამოვლენ და ვაკეში, ერთ-ერთ კერძო სასტუმროში დაბინავდებიან, უფრო ზუსტად კი მასპინძლები დააბინავებენ.**

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მეტოქე ქართველებს გადახალისებული შემადგენლობით შეერკინება — პოლინეზიელთა სამხრეთაფრიკელმა დამრიგებელმა გუნდში შვიდ ახალ მობურთალს უხმო. სტუმართა 22-კაციანი სია კი ასეთია: *ფეაო ვუნიპოლა, ნგალუ ტუა, უინიატი მოა, დემიენ პენისინი, საიმონ ჰაფოკა, ბენჰურ კივალუ, ფალამანი მაფი, ისილელი ფატანი, მეტ ტეპოუ, ვაა ტოლოკუ, ჯონათან კოლოი, დევიდ ედვარდსი, სილილო მარტენსი, მანუ ვუნიპოლა, ბრაიან ვული, ელიზი ვუნიპოლა, ფეპიკოუ ტატაფუ, სემისი ფაკაოსიფოლაუ, ტევიტა ტიუეტი, სემი ჰალა, სიუა ტაუმალოლო, კუსიტაფუ ტონგა.*

კვირას დღის 4 საათზე გასამართ შეხვედრას, რომლის ჩაშლის საშიშროება დღესაც არსებობს, ფრანგი არბიტრები განსჯიან. მთავარი მსაჯი დიდიე მენე იქნება, ფრანკ მასიელო და დანიელ პრივო კი მას მიეხმარებიან. იმას კი, რატომ ემუქრება ჩაშლა მატჩს, რაგბის კავშირის პრეზიდენტის, ბიძინა გეგიძის ნაუბარიდან შეიტყობთ:

— თამაში 28 მარტსაა და იმდენ პრობლემას წავაწყდით, არ მოველოდით. დებულების თანახმად, შეხვედრის წინა დღეებში ჩვენ ტონგელები უნდა დავაკმაყოფილოთ სავარჯიშო მოედნით. ეს ბუნებრივია და ამის პრობლემა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა — მორაგბეებისთვის ყველა მოედნის კარი დაკეტილია. გამოდის, რომ რაგბი ჩვენს გარდა არავის აინტერესებს. პირადად მე თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. მხოლოდ მორაგბეებს ჰყავთ ისეთი ნაკრები, რომელსაც მსოფლიოს თასის ფინალურ სტადიაზე მოხვედრა შეუძლია. ახალგაზრდული ნაკრები ისე წავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. ერთადერთი, ვინც დაგვეხმარა, კომპანია GWS იყო. იგი რომ არა, ნაკრები ეკიპირების გარეშე დარჩებოდა. ახლა პრობლემები ეროვნულ გუნდსაც შეექმნა. კარგით, არ შეუშვან ჩვენი მორაგბეები სავარჯიშოდ, მაგრამ თუ მეტოქესაც ასე მოექცნენ, უარს იტყვის თამაშზე. ამას კი კარგი შედეგი ნამდვილად არ მოჰყვება, შეიძლება ირბ-დანაც გაგვრიცხონ. რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე მორაგბეების „ლოკომოტივზე" შეშვების კატეგორიული წინააღმდეგია. მას ეს მოედანი თავის საკუთრებად მიაჩნია. ჩვენ მას წერილობითაც მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. ასეთივე სიტუაციაა ასკ-ს სტადიონზეც, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება. „ლოკომოტივიდან" საერთოდ რაგბის ამოძირკვა სურთ, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ხელისუფლებაც საქმის კურსშია. ბატონ ზურაბ ჟვანიასაც შევხვდი. სპორტის დეპარტამენტმა ყველა სხვა ღონისძიება მეორე პლანზე გადაიტანა და თითქოს გამოინახა ის მინიმალური თანხა, რაც ტონგელების ხუთდღიანი დახვედრისთვისაა საჭირო. დეპარტამენტში ბრძანება დაიწერა და იგი მთავრობამდეც მივიდა, მაგრამ ფული არ გამოყვეს. რამდენადაც ვიცი, ფინანსთა სამინისტროში უთქვამთ, შეხვედრა სხვა დროისთვის გადაიტანონო. ესე იგი, იმის მაგივრად, რომ ვფიქრობდეთ, მოთამაშეები უკეთ როგორ მოემზადონ, სავარჯიშო მოედნის ძიება გვიხდება. არ მესმის, ასეთ პირობებში რატომ უნდა გავიდეთ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე? ეს, უბრალოდ, მართებული არ იქნება. არის რაღაც-რაღაცეები, რომლებიც შეიძლება და არ შეიძლება. ასეთი მდგომარეობა, როგორშიც ჩვენ ვართ, არ უნდა იყოს, ეს ყოვლად დაუშვებელია. კი, ბატონო, არის უფულობა და ენერგოკრიზისი, მაგრამ სტადიონზე შეშვებაც ხომ ამაზე არაა დამოკიდებული. უბრალოდ, არის პიროვნება, ვისაც რაგბი, ბოლოში და ფეხებზე ჰკიდია. მისი თანხმობის გარეშე კი სტადიონზე არ გვიშვებენ, თან ვერავინ უსაბუთებს, რომ ეს ეროვნული საქმეა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. არსად მსოფლიოში არ მომხდარა, რომ სპორტის რომელიმე სახეობაში ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულიყოს, თუკი ეს ფაქტი ქვეყნის ინტერესს არ წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენში რაგბი სახელმწიფოს არ აინტერესებს. მოგება ყველას უნდა, მაგრამ ამისთვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. იმის დაკარგვა, რაც ქართულ რაგბის მოუპოვებია, დანაშაულია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავს ვიზღვევ. არა, ბოლომდე დავიხარჯებით, მაგრამ ჩვენს შესაძლებლობებსაც აქვს საზღვარი. არ გვინდა რაგბი? გვინდა. საზოგადოებას უნდა, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს უნდათ. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ის მაინც არ დავიმსახურეთ, რომ მოედანზე შეგვიშვან? ჩვენ გვინდოდა პრეცედენტის და მაგალითის შექმნა. როცა ქვეყანას უჭირს, სწორედ ამის ხარჯზე ხდება ერის გამოფხიზლება და ერთ მუშტად შეკვრა. იმას, რაც ჩვენ ამ მოკლე დროში შევქმენით, ისეთ ქვეყნებში, სადაც ფინანსური კრიზისი არ არის, ლამის ათწლეულები უნდებიან.

**— თქვენ სავარჯიშო მოედნებზე საუბრობთ. ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელებს ხომ არ შეუქმნიათ რაიმე პრობლემა მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებით?**

— ჯერჯერობით არანაირი პრობლემა არ ყოფილა, რადგან ისინიც დაკავებულნი არიან საქართველო — სლოვენიის მატჩისთვის მზადებით. მათ ხვალ ვხვდებით. ერთადერთი გადაუჭრელი საკითხი ის არის, მოგვთხოვენ თუ არა იჯარის ფულს. ჩვენი სურვილია, ქომაგებს უფასოდ შეეძლოთ მატჩზე დასწრება. ახლა თუ მათაც იჯარის ფული მოგვთხოვეს... იმედია, ასე არ მოხდება და მხარში დაგვიდგებიან. ჩვენთვის მთავარია, სტადიონზე გულშემატკივარი მოვიდეს. სწორედ იმ გულშემატკივარმა მოგვაგებინა რუსეთთან და მწამს, ახლაც ასე იქნება. ნუთუ არ ახსოვთ, იმ დღეს რა ბედნიერი იყო მთელი საქართველო? ჩვენ ახლაც შეგვიძლია, სიხარულის წუთები ვაჩუქოთ ხალხს, მთავარია, არ მიგვატოვონ და გვერდში დაგვიდგნენ.

**— მერაბ ჟორდანიასთან ხომ არ გისაუბრიათ ამ პრობლემების შესახებ?**

— ვესაუბრე. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. იგი ყურადღებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და დაგვპირდა, რომ დილომში კალათბურთელების ბაზას დაგვითმობდა. ეს საკითხი თითქოს გადაწყდა, მაგრამ მურთაზ ზურცილავამ გვითხრა, იმ მოედანზე „დინამო", ნაკრები, ჭაბუკთა ნაკრები ვარჯიშობს, ამიტომ თქვენი იქ ყოფნა შეუძლებელიაო. ასე რომ, ნაკრებს, რომელსაც 28 მარტს საქართველოს ღირსების დაცვა მოუწევს, სავარჯიშო ადგილიც არ აქვს.

**— მთელ მსოფლიოში ფეხბურთს და რაგბის ერთ სტადიონზე თამაშობენ. ავიღოთ „უემბლი", „სტად დე ფრანსი", „არმზ პარკი". რატომ ფიქრობენ ჩვენში, რომ მორაგბეები საფარს აფუჭებენ?**

— ეს არის ჰაერიდან მოტანილი. ეს სასაცილოა. უცხოელებმა რომ გაგვიგონ, დაგვცინებენ. ეს არის სპორტული მარაზმი.

**— სტადიონის პრობლემა დიდი ხანია, უკვე არსებობს. იგი მაშინაც წარმოიშვება თუ ბორჯღალოსნებმა ტონგური ბარიერი დაძლიეს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, აპირებთ თუ არა საკუთარი სტადიონის აშენებას?**

— ეს ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუ გაკეთებაა, ნორმალური უნდა გაკეთდეს, ისეთი, ირბ-ს მოთხოვნებს რომ შეესაბამებოდეს. ამის საშუალება კი ჯერჯერობით არ გვაქვს. უბრალო სავარჯიშო მოედნის მოწყობას აზრი არ აქვს, რადგან იქ მოწინააღმდეგეს ვერ ავარჯიშებ. გვსურს, ქართულმა კლუბებმა ევროთასებზე იასპარეზონ, მაგრამ ასეთ პირობებში ამის განხორციელება ძალიან რთული საქმეა. ერთი ნაბიჯი დაგვრჩა მსოფლიოს ელიტაში შესასვლელად და იქ თუ შევაბიჯეთ, მერე სტადიონსაც ავაგებთ. სწორედ ამიტომ გვიჭირდება ყველას დახმარება.

**პაატა თოთაძე**



# აფრენს თუ არა ნატო

თუკი სერბები კოსოვოდან თავიანთ სამხედრო შენაერთებს არ გაიყვანენ, აფრენს, — პასუხობენ ალიანსელი გენერლები — თანაც იმდენ თვითმფრინავს თავის დღეში რომ არ აუფრენია. ეს კი სხვა მრავალ უბედურებათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ ბელგრადში 25 აპრილიდან 9 მაისამდე ჩასატარებელ მაგიდის ჩოგბურთის მსოფლიოს ჩემპიონატს ქვეშ საეჭვო დინამიტი შეუდგება.

ვინ-ვინ და თავად ნატოს ქვეყნებმა ეგ ამბავი მშვენივრად უწყიან. ამიტომაც არც აშშ და არც მისი ატლანტისგამოღმელი დოსტები სერბთა დედაქალაქში თავიანთი დელეგაციების წარგზავნას არ აპირებენ.

არადა, ამ მომენტში, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITTF) ვიცე-პრეზიდენტ ნილს ბერგსტრიომს თუ ვერწმუნებით, ბელგრადში ყოფნას თურმე არაფერი შეედრება. და, მართალია, საასპარეზოდ შერჩეულ 20 ათასიან დარბაზს დამთავრებამდე ჯერ კიდევ 25-30 პროცენტი უკლია, მაგრამ ორგანიზატორთა თქმით, ჩემპიონატის მსვლელობისას ამას ვერავინ ვერ იგრძნობს. „აგერ 90 ქვეყანამ უკვე თავიანთი საბუთებიც გამოაგზავნა." — დასძენს იუგოსლავიელთა ამ საქმეში მთავარი კაცი ბრატისლავ ანჯელიჩიც.

მაგრამ ნატო, მოგეხსენებათ, რთული გოგონაა. სხვა რომ არა იყოს რა, 70-75 პროცენტიან მოპყრობას არ სჯერდება. ამის გამო ITTF ხვალ საგანგებო შეხვედრას გამართავს და ყველაფერზე საბოლოო პასუხის გაცემას ეცდება.

**ლევან ბელაურაძე**



# ძველი ჯარისკაცის გმირობა



ანდრეი ჩმილი

მილანი — სან რემოს რბოლის უკანასკნელი 600 მეტრი. რუსული წარმოშობის ბელგიელი ანდრეი ჩმილი ჯგუფიდან გამოვარდა და ისეთ ძლიერ სპრინტერს, როგორიც გერმანელი ერიკ ზაბელია მსოფლიოს თასის პირველი ეტაპის მოგების საშუალება არ მისცა. არადა, ზაბელისთვის ეს ზედიზედ მესამე გამარჯვება იქნებოდა აქ და ამ „კლასიკის" ისტორიაში პირველი „ჰეტთრიქიც" შესრულდებოდა.

ხაბაროვსკში დაბადებული, უკრაინაში გაზრდილი და ახლა ბელგიის მოქალაქე ჩმილი მილან — სან რემოს ყველაზე უხუცესი მოგებულია. „თავიდან წარმატების ძალიან მეიმედებოდა, თუმცა მხოლოდ 50 მეტრიღა იყო ფინიშამდე დარჩენილი, როცა გამარჯვება ვირწმუნე. ვიცოდი, რომ პანტანის გაქცევა არ გამოუვიდოდა, რადგან საჭიროზე მეტი სისწრაფით წავიდა. მშვიდად უნდა დავლოდებოდი მოვლენების განვითარებას. „პოჯიო" უკან რომ მოვიტოვეთ, ზაბელს მშვენიერი პოზიცია ჰქონდა და მეგონა, ის მოიგებდა, თუმცა უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და კარიერაში ერთ-ერთი უმთავრესი გამარჯვებაც მოვიპოვე" — თქვა 36 წლის ჩმილმა, რომელსაც წლეულს „ტურ დე ფრანსის" გამოტოვება განუზრახავს, რათა მთელი ენერგია „კლასიკებს" მოახმაროს.

294 კმ-იანი გზის დასაწყისი სპორტსმენებმა სწრაფად გაიარეს (1 საათში უკვე 49 კმ), ამიტომაც სერიოზული შეტევის წამოწყება „სიპრესამდე" არავის მოსვლია აზრად. ფინიშამდე 25 კმ-ით ადრე ბოლოსწინა აღმართზე კი „ტურ დე ფრანსისა" და „ჯირო დ იტალიას" ტრიუმფატორმა მარკო პანტანიმ გადაწყვიტა, ბედი ეცადა. ამან ძირითადი ჯგუფი საკმაოდ არია. ზოგმა მოინდომა, გაქცეულს მაშინვე დასწეოდა, ზოგს ამის ძალა აღარ ჰქონდა. ერთი სიტყვით, პანტანის მხოლოდ რამდენიმე მრბოლი ჩაუდგა კვალში — თანამემამულე და მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველი ნომერი მიკელე ბარტოლი, რუსი ალექსანდრ გონჩენკოვი, დანიელი როლფ სორენსენი.

„სიპრესიდან" დაშვებისას ლიდერთა ოთხკაციან ჯგუფს ოცწამიანი უპირატესობა ჰქონდა. ეს კი საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ იყო. ბოლო აღმართ „პოჯიოს" დასაწყისში ისინი მთავარმა ჯგუფმა ჩაყლაპა. თანაც მილან-სან რემოზე ორჯერ შეტევას ვერავინ შეძლებს. ამიტომაც იტალიელთა მთავარი ფალავნები — პანტანიც და ბარტოლიც წაგებისთვის იყვნენ განწირული. ამ დროს გაბრიელ კოლომბომ შეუტია, „პოჯიოს" უმაღლეს წერტილს სხვებზე 7 წამით ადრეც უწია და იტალიელ ქომაგებსაც იმედი მისცა, რომ მათ საყვარელ „კლასიკას" მაინც აპენინელი მოიგებდა, მაგრამ კოლომბომ ლიდერობა ფინიშამდე 1200 მეტრით ადრე დათმო.

აქ კი ყველამ იფიქრა, რომ ერიკ ზაბელი ზედიზედ მესამედ იპირველებდა ამ რბოლაში, მაგრამ საბჭოთა ნაკრების ძველმა ჯარისკაცმა, რომელიც სხვა 31 მრბოლთან ერთად ორგანიზატორებმა დილის 5 საათზე წამოაგდეს ლოგინიდან დოპინგ-კონტროლის ჩასატარებლად, გერმანელს აჯობა და ბელგია და „ლოტო" ასახელა.

„მეორე ადგილი თითქმის გამარჯვების ტოლფასია. ლოტოელები რიცხობრივ უმრავლესობაში იყვნენ, მე კი მარტო გახლდით. ჩმილს კი მინდა, მივულოცო ბრწყინვალე გამარჯვება" — თქვა ტელეკომელმა ზაბელმა.

მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი „ტურ დე ფლანდრი" 4 აპრილს ბელგიაში გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

**საგზატკეცილო რბოლა**
**მსოფლიოს თასი**
**მილანი — სან რემო**

1. ანდრეი ჩმილი (ბელგია, „ლოტო") — 6 საათი, 52 წუთი, 37 წამი; 2. ერიკ ზაბელი (გერმანია, „ტელეკომი"); 3. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, „ლამპრე"); 4. სტეფანო გარზელი (იტალია, „მერკატონე უნო"); 5. ლაური აუსი (ესტონეთი, „კაზინო"); 6. ლეონ ვან ბონი (ახალი ზელანდია, „რაბობანკი"); 7. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, TVM); 8. ჯო პლანკერტი (ბელგია, „ლოტო); 9. ჯორჯ ჰინკეჯი (აშშ, „პოსტალი"); 10. გაბრიელ ბალდუჩი (იტალია, „ნავიგარე"); 11. ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი, „ბალანი"); 12. ანდრეა ფერიგატო (იტალია, „ბალანი"); 13. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, „რაბობანკი"); 14. დავიდე რებელინი (იტალია, „პოლტი"); 15. ნიკოლა ლოდა (იტალია, „ბალანი")

კრივი

# ევანდერი მთვლელს იცავს

გუშინ ევანდერ ჰოლიფილდი ინგლისურ რადიო „ბი-ბი-სის“ ელაპარაკა და შეეცადა ერთგვარად მაინც გაენელებინა ლუისთან მისი შერკინების უსამართლო შედეგის გამო ატეხილი ხმაური.

ევანდერმა თქვა, რომ ის რაც ბოლო ათი დღის განმავლობაში ხდება, საკრივო მედიის წამოწყებულია და სიმართლესთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. კომენტატორთა და მესვეტეთა აზრი არ არის ობიექტური და მისი, როგორც მებრძოლის დისკრედიტაციას ემსახურება — ასეთია ჰოლიფილდის აზრი.

„ხალხი დააბნიეს და გონება აურიეს. მართალია, რომ ლუისმა ძალიან კარგად იჩხუბა, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ არცერთს გვეკუთნოდა მსოფლიოს უდავო ჩემპიონობა“, — თქვა ფედერაციისა (იბფ) და ასოციაციის (ვბა) ჯერ კიდევ ჩემპიონმა.

„მთელი ათი დღეა საშინელ დაწოლას განვიცდი, მაგრამ უარესსაც მოვრევივარ. იმ ღამეს ჩემი საუკეთესო ბრძოლა არ იყო, მაგრამ არც ყველაზე უარესი. მე მოვერევი ამ დროს. ამაში ღმერთიც მეხმარება“ — ამბობს ჰოლიფილდი.


სარბიელის არქივიდან

მთავარი ეჭვი ლუის-ჰოლიფილდის ბრძოლის შედეგის უსამართლობის გამო, მიმართულია სამი დამთვლელი მსაჯიდან ერთ-ერთზე, ნიუ ჯერსელ ქალბატონ იუჯინია უილიამსზე. იგი ერთადერთია მთვლელთა შორის, ჰოლიფილდს რომ მოაგებინა ქულებით — 115:114. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ უილიამსს ბრძოლამდე რამდენიმე კვირით ადრე ბიზნესი ჩავარდნია და გაკოტრებულა.

ევანდერი კი ამბობს:

„მის მიერ დათვლილი ქულები რომ დაათვალიერო, ერთადერთ შეცდომას აღმოაჩენ — ლუისი აშკარად მჯობდა ერთ 15-20-წამიან მონაკვეთში. თუ მან ეს მომენტი სათანადოდ ვერ შეაფასა, არ ნიშნავს, რომ მოქრთამული იყო. უზუსტობა მოსალოდნელი და გასაგებია. აი, უყურეთ: სამივე მსაჯმა მომაგებინა მესამე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე რაუნდები და მხოლოდ ერთმა მეოთხეც. პირველ რაუნდს რომ დაუკვირდეთ, ისიც არ მოუგია ულაპარაკოდ ლუისს. მეორე მოიგო,მ აგრამ პირველი საჭოჭმანოა“.

რემატჩის გამო ჰოლიფილდი უკან არ იხევს: „უკვე დავთანხმდი. არ მაინტერესებს, ლას ვეგასში ვიჩხუბებთ, თუ ლონდონში, მაინც ჩემი მოსაგებია“.

ასე, რომ...

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ჩოგბურთი

# ნუ ენდობით ქალებს


REUTERS კი ბისკეინიდან

ნიკოლას კიფერი

კი ბისკეინი. აშშ. „ლიპტონის“ პირველობა. ჰარდი. საპრიზო 4,75 მილიონი $

ინდიან უელსში გერმანელ ნიკოლას კიფერთან მარცხი აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონმა პატრიკ რაფტერმა ძალიან მძიმედ გადაიტანა. გარდა იმისა, რომ ჩოგბურთელები მაშინ შეხვედრის დროსაც გაესაუბრნენ ერთმანეთს „ტკბილად“, ავსტრალიელმა კიფერს მოგვიანებით ტრაბახა, ამპარტავანი და არაფრით გამორჩეული მოთამაშე უწოდა.

კენჭისყრამ ისე ინება, რომ რაფტერი გერმანელს კი ბისკეინშიც გადაეყარა. „ვაჩვენებ, თუ როგორ უნდა თამაში და მოწოდება. ამჟამად მისი დიდი ქომაგი ნამდვილად არა ვარ. ეს სასტიკი ბრძოლა იქნება“ — მოსალოდნელი შურისძიების შესაძლებლობა ავსტრალიელს გაუხარდა კიდეც.

და რა მოხდა სინამდვილეში? რაფტერმა ისევ თვალსაჩინო, შემტევი ჩოგბურთი ითამაშა, არაერთხელ ნახტომში მისწვდა „მკვდარ“ ბურთს, ერთი ორჯერ ფეხებშუიდანაც დაარტყა, მაყურებელსაც ბლომად ტაში აკვრევინა, მაგრამ შეცვლით მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა — სამი სეტის ნაცვლად ამჯერად იგი ორში დამარცხდა 6:7 (5:7), 4:6.

„წაგებებს თითქოს შევეჩვიე კიდეც. მაინცდამაინც ცუდად არ ვთამაშობ, მაგრამ ხშირად სწორ არჩევანს ვერ ვაკეთებ. იმის ნაცვლად, რომ მნიშვნელოვან ქულებზე კონცენტრირებული ვიყო, ხშირად უაზრო შეცდომებს ვუშვებ“ — დაიჩივლა მატჩის შემდეგ რაფტერმა, რომელიც წლეულს მეოთხედფინალშიც კი არსად გასულა და მოგებებზე მეტი მარცხი აქვს ანგარიშზე (5:6).

სამაგიეროდ, ამჯერად ავსტრალიელს მეტოქის დამსახურების აღნიშვნა არ დავიწყებია: „შედეგი სავსებით ლოგიკურია, რადგან ის დღეს აშკარად მჯობდა. ადრე ფსიქოლოგიურად კიფერი ძალიან სუსტი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში გაცილებით სტაბილურად დაიწყო თამაში. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.“

საერთოდ მესამე წრე ავსტრალიელებისთვის საშინლად უიღბლო გამოდგა: დამარცხდა ინდიან უელსის მერსედეს სუპერ 9-ის ტურნირის გამარჯვებული მარკ ფილიპუსისიც. 19 წლის მარატ საფინისთვის „სკადს“ მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ დაუნებებია, მაგრამ მეტოქეს თავადაც ვერ აართვა მოწოდება და ორი ტაი-ბრეიკი დათმო 6:7 (4:7), 6:7 (3:7).

მესამე წრე: **კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (32, ავსტრალია) 6:7 (5:7), 6:1, 7:5; **პიტ სამპრასი** (2, აშშ) — იონას ბიორკმანი (31, შვედეთი) 7:5, 6:3; **ალექს კორეტხა** (4, ესპანეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:4, 1:6, 6:4; **ჟერომ გოლმარი** (28, საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) 6:4, 7:6 (9:7); **რიჩარდ კრაიჩეკი** (7, ჰოლანდია) — იან სიმერინკი (25, ჰოლანდია) 6:3, 6:2; **მარსელო რიოსი** (8, ჩილე) — ბაირონ ბლექი 6:3, 6:4; **ტომას ენკვისტი** (14, შვედეთი) — ფელიქს მანტია (19, ესპანეთი) 4:6, 6:3, 7:6 (7:3); **ალბერტ კოსტა** (15, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:6 (7:3), 6:4.

„ლიპტონის“ ხუთგზის ჩემპიონმა შტეფი გრაფმა კი ბისკეინში მეტად უხერხულ სიტუაციაში ჩაიგდო თავი. არა, დიდ გერმანელს კორტზე არაფერი გასჭირვებია: გასულ კვირაში მონიკა სელეშის მძლეველი სლოვაკი ჰენრიეტა ნაგიოვა მან მოწოდებითა და მკვლელი ფორჰენდით სამაგალითოდ დაჩაგრა — 6:1, 6:3, მერე კი განაცხადა, ასე მგონია, ყველა ჩემი დარტყმული შიგ ცხრიანში ხვდებაო.

ყველაფერი მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე მოხდა. ცხოველების დიდმა მოყვარულმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მატჩის დამთავრების შემდეგ სადღაც უპატრონო ლეკვი შენიშნა და ინტერვიუზე მისი თანხლებით გამოცხადდა. კეთილშობილი სურვილებით შეპყრობილმა შტეფიმ განაცხადა, თუ პატრონი არ გამოჩნდება, ძაღლს ჩემთან დავიტოვებო. იქ მყოფთა სამწუხაროდ, იღბლიანი ცხოველი დიდი ვერაფერიშვილი გამოდგა და სანამ გრაფი კითხვებზე პასუხების გაცემას მორჩებოდა, ოთახის იატაკი სამაგალითოდ წაბილწა, შტეფის კი ყველასთვის მობოდიშება დასჭირდა.

იქვე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა. შეიძლება თუ არა, მსოფლიოს მეორე ჩოგანი, თანაც შინ მოთამაშე, იმ ჩოგბურთელზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობდეს, რომელსაც კარიერაში ერთი ტურნირიც კი არ მოუგია? თავად განსაჯეთ: როდესაც ჟურნალისტებს შეცდომით გამოუცხადეს, პრესკონფერენციაზე ლინდსი დევენპორტი გამოცხადდაო, მასთან გასაუბრების მსურველი მხოლოდ ორი კაცი აღმოჩნდა. მერე კი, ამერიკელის ნაცვლად ხელთ რუსი ანა კურნიკოვა რომ შერჩათ, ჟურნალისტთა რაოდენობამ ლამის ერთიათად იმატა.

კურნიკოვამ (13) მესამე წრეში ძლიერი ფრანგი ჟული ალარი დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში 6:4, 7:6 (7:5). პრესკონფერენციაზე მომხდარს კი შეგიძლიათ ინტერვიუში გაეცნოთ.

მესამე წრე: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — სილვია ფარინა (22, იტალია) 6:4, 7:5; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (18, ესპანეთი) 6:2, 6:1; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — ფაბიოლა ზულაგა (კოლუმბია) 6:3, 6:4; **პატი შნიდერი** (12, შვეიცარია) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (23, რუსეთი) — ამელი მორესმო (14, საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:1; **ნატაშა ზვერევა** (19, ბელარუსი) — ნატალი ტოზია (10, საფრანგეთი) 6:3, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# ფლორიდელი რუსი გოგო


REUTERS კი ბისკეინიდან

ანა კურნიკოვა

**— ამჟამად მოწოდების მხრივ როგორ გაქვს საქმე? ორმაგი შეცდომები უკვე წარსულს ჩაბარდა?**

— მგონი, კი. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ეს პრობლემები აღარ მაწუხებს. ამისთვის ძალიან დიდი შრომა დამჭირდა.

**— ეს ფსიქოლოგიური ხარვეზი იყო თუ ტექნიკური?**

— ალბათ ორივე ერთად — ტექნიკას ხომ შენი გონება აკონტროლებს.

**— ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დაძაბულ მომენტებში გაცილებით უკეთ თამაშობ, მაგრამ ხანდახან იოლ სიტუაციებში სცოდავ. ეს ასეა?**

— გარკვეულწილად, კი. იოლი დარტყმის განხორციელება ყოველთვის ძნელია. როდესაც გამოუვალ სიტუაციაში ხარ, არ ფიქრობ, ისე ურტყამ მთელი ძალით, რადგან არჩევანი არა გაქვს. და პირიქით, როდესაც მოსაგები მდგომარეობაა, საკუთარ თავს ეუბნები: „ო, ეს იოლია, საით გადავაგდო ბურთი?“ მერე ამ ფიქრში გადაწყვეტილების მიღება გიჭირს და აცილებ.

**— გაწუხებთ ის გადამეტებული ყურადღება, რასაც მაყურებლები, ჟურნალისტები თუ ფოტოგრაფები იჩენენ თქვენს მიმართ?**

— შარშან აქ ფინალში გავედი, ასე რომ, მგონი, რაღაც ყურადღებას ვიმსახურებ კიდეც. ეს ჩემი პროფესიიდან მომდინარეობს. ვფიქრობ, მსოფლიოში ბევრს აინტერესებს სპორტი, სპორტსმენები, ამიტომ ეს ბუნებრივია.

**— რას ფიქრობთ ინტერნეტის საიტებზე, რომლებიც შენ გეძღვნება, ანამანიაზე?**

— ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან საკომპიუტერო საქმეებში საშინლად უვიცი ვარ. ინტერნეტითაც ძალიან იშვიათად ვსარგებლობ, მხოლოდ მაშინ, როცა არ ვიცი, რა ვაკეთო.

**— ბილ ჯინ კინგმა ერთხელ თქვენზე თქვა, მთავარი ის არის, რამდენად მოწყურებულია, რამდენად სურს თამაშიო. როგორც ჩოგბურთელს, რა მიზანი გაქვს, მსოფლიოს პირველი ჩოგნობა, თუ რაც შეიძლება მეტი ფულის კეთება?**

— როცა ხუთი წლის ვიყავი და ჩოგბურთის თამაში დავიწყე, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ აქ ფული ტრიალებდა. მე ახლაც ვფიქრობ, რომ ვთამაშობ ჩოგბურთისთვის და არა მატერიალური კეთილდღეობისთვის. თუმცა თუ კარგი შედეგები გექნება, ამას, ბუნებრივია, ფულიც მოჰყვება თან.

**— რაც წყვილებში ერთად დაიწყეთ თამაში, მარტინა ჰინგისს უფრო დაუახლოვდით?**

— ჩვენ ყოველთვის ვმეგობრობდით და კარგი ურთიერთობა გვქონდა. უბრალოდ, პრესამ დახატა ისეთი სურათი, თითქოს დიდი მეტოქეები ვიყავით. ერთმანეთთან არასოდეს გავბუტულვართ.

**— აქ თავს შინ გრძნობთ?**

— ფლორიდაში უკვე 8 წელია ვცხოვრობ. აქ სახლი მაქვს და თავს აქაურადაც ვთვლი. ძალიან მიხარია, რომ სასტუმროს ნაცვლად ნაცნობ ადგილას შემიძლია ყოფნა.

**— რუსი გოგონასი რაიმე შეგრჩათ?**

— შეფარდება, ალბათ, ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა. მშობლებთან და რუს ჩოგბურთელებთან ისევ რუსულად ვსაუბრობ, რუსულ კერძებს გეახლებით და რუსეთშიც ჩავდივარ-ხოლმე. საერთოდ კი თავს კოსმოპოლიტად ვთვლი. წელიწადში 20 ტურნირზე ვმოგზაურობ, უამრავ ქვეყანასაც ვნახულობ, სხვადასხვა კულტურებს ვეცნობი.

**— კიდევ ადევნებ თვალყურს თუ რა ხდება რუსეთში?**

— ახალ ამბებში რუსეთზე არც ისე ბევრს ამბობენ.

**— მამას ურეკავთ დროდადრო ამისთვის?**

— მამაჩემი აქ არის, დარეკვა არ მჭირდება.

**— მოსკოვში სამუშაოს თავი დაანება?**

— არა, იგი ერთ-ერთ რუსულ უნივერსიტეტში ასწავლის და ახლა რაღაც გაზაფხულის არდადეგების მაგვარი აქვს. საერთოდ, იგი ხშირად დამყვება ტურნირებზე, განსაკუთრებით ევროპაში. მხოლოდ ავსტრალიას ტოვებს-ხოლმე, რადგან ეს ძალიან შორსაა.

**— ფიქრობთ, რომ ქალთა ჩოგბურთს პოპულარობას, მიმზიდველობას მატებთ?**

— თქვენ თავად როგორ ფიქრობთ? მგონი, ქალთა ჩოგბურთისთვის ძალიან კარგია ისეთი ახალგაზრდა თაობის გამოჩენა, როგორიც მე და მარტინა ვართ. ჩვენი სპორტი ახლა აღმავლობას განიცდის და კიდევ დიდი პოტენციალი გააჩნია. კარგია ისიც, რომ ჩვენს გარდა ისეთი ძველი ვარსკვლავები თამაშობენ, როგორც გრაფი, სელეში, სანჩესი არიან. ეს ყველაფერი ინტერესს იწვევს.

# ვიტალი სმირნოვს თეთრი დროშა შეიძლება თავზე გადაახიონ





სარბიელის არქივიდან

**რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ვიტალი სმირნოვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ბოლო ხანს გამოაშკარავებული კორუფციის ფაქტების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად ასახელებენ.**

მოვლენები ისე ვითარდება, რომ, როგორც ჩანს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდმოხელეთა კორუფციასა და მექრთამეობაში მხილებას მალე მოეღება ბოლო და ყველა დამნაშავის ვინაობა გაცხადდება. თანდათან ყველა კითხვასაც გაეცემა პასუხი. ჯერჯერობით კი უდავო ერთია: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა შეინარჩუნა თანამდებობა. ეს სწორედ ის სამარანჩია, რომელიც აცხადებდა, ჩემს უწყებაში კორუფციის ფაქტების შესახებ არაფერი ვიცი და თავად მეც კრავივით უცოდველი ვარო. კაცმა რომ თქვას, სამარანჩის მიერ ადგილის შენარჩუნება ცოტა არ იყოს უცნაური უნდა ჩანდეს იმ თავაწყვეტილი და ინტენსიური კრიტიკის მერე, რომელიც ბოლო დროს დაატყდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც და მის პრეზიდენტსაც. მაგრამ ამ პატივცემული ორგანიზაციის კულუარებში მიმდინარე ჩახლართული მოვლენებისას ჩვენ, უბრალო მოკვდავნი რას გავიგებთ, როდესაც უამრავ დირექტორს, აღმასრულებელ მდივანსა და სხვებს ვერ (ან არ) გაუგიათ.

ყოველ შემთხვევაში, თუ სამარანჩი თავად არ იღებს პასუხისმგებლობას თავის თავზე ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, ის იძულებული იქნება დამნაშავეთა ვინაობა მაინც გამოამზეუროს და მათ მიმართ შემაბამისი ზომებიც მიიღოს. ყოველივე ისე წარიმართა, რომ ზომების მიღება აუცილებელია და არაფრის მიჩუმათება აღარ შეიძლება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის „მამებმა“ უკვე განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება კორუმპირებულთა სია, რომელიც ორ ნაწილად დაიყოფა. პირველში შევლენ ნაკლებად დამნაშავენი, მეორეში კი ღრმად შეტოპილნი და ორგანიზატორნი. პირველნი შესაძლოა უბრალო საყვედურითაც „გამოძვრნენ“, მეორეთ კი სავარძლების უცილობლად დატოვება მოუწევთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ თუ ადრე ამა თუ იმ პიროვნებაზე მინიშნებით ლაპარაკობდნენ, ახლა კონკრეტულ ადამიანებს, უფრო სწორად, ადამიანს ასახელებენ. ეს გახლავთ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი. სმირნოვი კორუმპირებულთა შორის ყველაზე გავლენიან კაცად ითვლება და ბრალმდებელთა მიერ ის ცენტრალურ ფიგურად და ყოველივეს ორგანიზატორად მოიხსენიება. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თუ ამ მოზრდილი სიის წევრთაგან ზოგიერთს შეხურება, ზოგიერთს კი სამსახურის დატოვება ემუქრება, სმირნოვის შემთხვევა ამ მხრივაც განსხვავებულია და ბოლო დროს სულ უფრო ხშირია ამ გავლენიანი პიროვნების და სასამართლო პროცესის ერთად ხსენების შემთხვევები. როგორც ჩანს, საქმე მართლაც სერიოზულადაა.

აღსანიშნავია, რომ ვიტალი სმირნოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გარდა მოწინააღმდეგენი თვით რუსეთშიც მრავლად ჰყავს.

თავდაპირველად სმირნოვის შესახებ სკანდალური განცხადება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა წევრმა, შვეიცარიელმა მარკ ჰოდლერმა გააკეთა. კონფლიქტის დაწყების პირველ ხანებში ჰოდლერს და მის მომხრეებს სმირნოვის დანაშაულის ირიბ მტკიცებად ცოტა არ იყოს უცნაური არგუმენტი მოჰყავდათ. კერძოდ ის, რომ მას შემდეგ, რაც 1996 წელს ატლანტამ მიიღო უფლება, ემასპინძლა ოლიმპიური თამაშებისთვის, სმირნოვის შვილობილმა და მისი უახლოესი მეგობრის, ფირმა „მელოდიას“ ხელმძღვანელის შვილმა ეკატერინა სუხარადომ უმალ ჩააბარა გამოცდები ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტში. და ეს მაშინ, როცა ქალიშვილი ვერც ინგლისურად მეტყველებდა მთლად უნაკლოდ და თანაც მანამდე, ორიოდე თვით ადრე მოსკოვის ერთ-ერთ არცთუ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაფლავა გამოცდები.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არგუმენტები არასაკმარისი იყო. ამიტომ ჰოდლერი და მისი მომხრეები უფრო შორს წავიდნენ და უმალ გამოიტანეს სააშკარაოზე ვიტალი სმირნოვის მიერ შვეიცარიის ტერიტორიაზე წარმართული კომერციული საქმიანობა.

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, თავის სხვა თანამდებობებთან ერთად, საქველმოქმედო ფონდ „თეთრი დროშის“ ვიცე-პრეზიდენტიც გახლავთ, ფონდის პრეზიდენტად ვინმე ჟან-კარლ დიურიგი ირიცხება. სწორედ რომ ირიცხება, რადგან ფუნქციების ასეთი განაწილება მხოლოდ ფორმალურია და სინამდვილეში პირველი ვიოლინო ვიტალი სმირნოვია. ფონდის ფუნქციები ოლიმპიური საქმიანობით შემოიფარგლება და მისი მიზანია, არცთუ დალხენილი ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა. მიზანი მიზნად, მაგრამ „თეთრი დროშა“ დიდი ქველმოქმედებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. საბუთებში აღრიცხულია, რომ ფონდმა მხოლოდ ერთადერთხელ, გადაურიცხა სხვადასხვა ქვეყნებს გარკვეული თანხები, საერთო ჯამში 20 ათასი დოლარი. სმირნოვის ოპოზიციის განცხადებით, ეს თანხა სიმბოლურია და მხოლოდ თვალის ასახვევად არის განსაზღვრული, ისევე, როგორც მთლიანად ფონდის საქმიანობა. სიმართლე რომ ითქვას, ეს აზრი ჭეშმარიტებას მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან ფონდის ფეშენებელურ შენობაში 20 ათას დოლარზე ბევრად მეტი ღირებულების მხოლოდ ავეჯი დგას.

ამავე დროს ვიტალი სმირნოვს შვეიცარიის სხვადასხვა ბანკებში გახსნილი აქვს რამდენიმე ანგარიში ახლო ნათესავებისა და მეგობრების სახელზე, რომლებზეც საკმაოდ სოლიდური თანხები ირიცხება. აქედან გამომდინარე ფრიად სავარაუდოა, რომ „თეთრი დროშა“ მართლაც სხვა ფუნქციებისთვის არსებობს და განვითარებადი ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების გასაჭირი მას და მის ხელმძღვანელობას ნაკლებად აღარდებთ.

ამას გარდა, დადის ხმები იმის თაობაზე, რომ მავან თანამდებობის პირებს გააჩნიათ ფირი, რომელზეც აღბეჭდილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის, ვიტალი სმირნოვისა და აშშ-ის ქალაქ სოლტ-ლეიკსიტის (სადაც უნდა ჩატარდეს 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები) მესვეურთა საბედისწერო საუბარი. შეგახსენებთ, რომ ეს უსიამოვნო ტალღა სწორედ მას შემდეგ აგორდა, რაც სოლტ-ლეიკსიტიმ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა და ამბობენ, ამ საქმეში ამერიკულმა „მწვანეებმა“ არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშეს.

ამასობაში თავი წამოყვეს ვიტალი სმირნოვის რუსმა მოწინააღმდეგეებმაც და თუმც ნაკლები მასშტაბით, მაგრამ ამ გავლენიან ფიგურას ლანძღვა არც მათ დააკლეს. ბრალდების საბაბი კვლავაც კორუმპირებულობაა. როცა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა ბატონი ვასილკოვი, რომლის დევიზიც რუსული ფეხბურთის სიწმინდე იყო, მან განაცხადა, რომ ვიტალი სმირნოვია ის პიროვნება, რომელიც რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ყველაზე ელიტარული მატჩების ჩაწყობა-მოლაპარაკებებში მონაწილეობს და არცთუ უშედეგოდ. ასეა საქმე...

მოკლედ, ვითარება თანდათან იძაბება, მაგრამ არსებობს ერთი მაგრამ... სმირნოვს მეტად ახლო და თბილი ურთიერთობა აქვს სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან. სამარანჩმა თავი გადაირჩინა. გასწირავს კი ის ვიტალი სმირნოვს? ვნახოთ...

**იური ციბანიოვი**
**მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“**

# ნადი, ფილიკო, შენ გზაზე

სარბიელის არქივიდან



ფილ კოულზს სოკ-ის სპონსორები გადაეკიდნენ

„ჯონ ჰენკოკის“ სადაზღვევო კომპანია სოკ-ის უბობოლესი სპონსორია. მისი ყოველწლიური ლოზანური შესატანი 40 მილიონ დოლარს უდრის. ხოლო რამდენადაც ფული ვისაც შეაქვს, ჰარიჰარალოსაც ის უკვეთავს, კომპანია და მისი მძვინვარე პრეზიდენტი დევიდ დალესანდრო უაქტიურესნი არიან მათ შორის, ვინც სოკ-ისგან ცოდვების მონანიებას, თავზე ნაცრის მოყრასა და სხვა ამგვარ კუდრაჭობას მოითხოვს.

ახლახან ლოზანაში მოწყობილ საგანგებო სესიაზე სოკ-მა თითქოს კი გააკეთა ის, რასაც მისგან ასე კატეგორიულად მოითხოვდნენ, მაგრამ ეს იმდენად სანახევროდ, ცალყბად და ეშმაკურად გააფორმა, რომ არც მწვადი დაწვა და არც სამარანჩი. თუმცა საუბარი ახლა ამაზე არაა... „ჯონ ჰენკოკის“ განსაკუთრებული გალიზიანება კანტორის ავსტრალიელი წევრის, ფილ კოულზის გადარჩენამ გამოიწვია. როგორც სოკ-ის წევრი, კოულზი სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობასაც ინარჩუნებს. ეს კი ოლიმპიადის უპირველესი სპონსორის აზრით, შეჯიბრსაც ვნებს და დამფულებელთა ავტორიტეტსაც. „ასე რომ, გადასარევი იქნება, თუკი ბატონი კოულზი მისი უსიამოვნო მეზობლობისაგან გაგვათავისუფლებს“ — აი ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა გუშინ კომპანიამ.

და კაცმა რომ თქვას, თავად კოულზსაც ეგებ ჩათრევას ისევ ჩაყოლა უჯობდეს. რადგანაც მართალია, სოლტ ლეიკის იალაღებზე ნაძოვი ტუგრიკები ხაზვით შერჩა, მაგრამ აი ძველი ცოდვების აქოთებას კი ველარ უნდა გადაურჩეს. ბოლო დროს გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, მას და მის ყოფილ მეუღლეს, ამ რამდენიმე წლის წინ ოლიმპიადის მასპინძლობაზე მონადირე ათენელთაგან თურმე, ნუ იტყვით და, დიდძალი ხვასტაგი და ძვირფასეულობა მიუღია. ეს კი, როგორც იქით ამბობენ, უკვე საკმაოდ დამტკიცებადი ამბავია. ამიტომაც — წადი, ფილ, ბიძიკო, შენ გზაზე!

**ლევან ძელაურაძე**

---

ჭიდაობა

# უზბეკური ალაფი

**გუშინ** ტაშკენტიდან დაბრუნდნენ ქართველი მოჭიდავეები, რომლებიც უზბეკეთის დედაქალაქში ტრადიციულ „პრეზიდენტის თასის“ ტურნირში ასპარეზობდნენ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან გიორგი ჯინჭველაშვილმა (63 კგ) და ტარიელ მელელაშვილმა (76 კგ) ჩემპიონობა მოიპოვეს, ხვიჩა ბიჩინაშვილმა (76 კგ) მეორე, ხოლო ემზარ მახარაძემ (85 კგ) და თამაზ გოგელიამ (მძიმე) მესამე ადგილები დაიკავეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამკაციანი გუნდიდან ელდარ კურტანიძე (97 კგ) ჩემპიონად დაგვიბრუნდა.

უზბეკურმა ტურნირმა ნაკრების მწრთვნელებს ბეგი დარჩიასა და ზაზა თურმანიძეს შესაძლებლობა მისცა მოჭიდავეები საქმეში ენახათ. რჩეულებს ხომ წლეულს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოუწევთ ასპარეზობა და თავის გამოჩენასაც ეცდებიან.

ბერძნულ-რომაული ორთაბრძოლების შედეგები გარკვეულწილად საყურადღებოა. საინტერესოა, საერთოდ წაიყვანს თუ არა მსუბუქწონოსნებს ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელი ბეგი დარჩია (თანაც, ამ უფულობის პირობებში), ან ვის დააყენებს 76 კგ-ში. მელელაშვილის ჩემპიონობამ წონაში ლიდერის ვინაობა კვლავ გაურკვეველი გახადა. ბიჩინაშვილმა მას საქართველოს ჩემპიონატზე აშკარა უპირატესობით და ლამაზადაც კი მოუგო, მაგრამ ახლა თავად დამარცხდა და დარჩიას საფიქრალი მოუმატა. მწვრთნელის ზოგიერთი ადრინდელი გამონათქვამი გვაფიქრებინებს, რომ ყველაფერი ჯერ არც მძიმე წონაში გარკვეულა, მით უფრო, მირიან გიორგაძე ტრავმის გამო გუნდს ტაშკენტში არ გაჰყოლია. ასე რომ, გოგელიამ თავისი ძალა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს.

დარჩიასთან შედარებით უფრო რთულადაა თავისუფალთა მწვრთნელ ზაზა თურმანიძის საქმე. მას ტაშკენტში მხოლოდ სამი მოჭიდავე ახლდა. უფრო ადრე, თურქეთში სრული გუნდით კი წავიდა, მაგრამ ტრავმის გამო ზოგიერთის საქმეში ნახვა ვერ მოახერხა. ორივე მწვრთნელი ნაკრების დაკომპლექტებაზე ბოლო სიტყვას, ალბათ, დასკვნითი შეკრებების შემდეგ იტყვის, მათ ხომ სეზონი პრაქტიკულად ჩაეშალათ და ვერც იმას დაიჩემებს ვინმე, ჩაუტარდებათ თუ არა ის დასკვნითი შეკრებები. მწვრთნელებთან საუბარს კი უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# მზადება ბეწვის ხიდზე

**ძიუდო** სპორტის შედარებით დალხენილ სახეობებს მიეკუთვნება. თავად განსაჯეთ — წლეულს ნაკრების წევრებმა ტოკიოს, მოსკოვის, პარიზის, ლეონდინგისა და მიუნხენის მეტად პრესტიჟულ ტურნირებში იასპარეზეს, მაშინ, როცა ზოგიერთები ეროვნულ ჩემპიონატსაც ვერ ატარებენ. მაგრამ ბოლო დროს დეპარტამენტს ძიუდოსთვისაც გაუჭირდა თანხების მოძიება. შედეგად ეროვნული ნაკრები გუშინ რის ვაი-ვაგლახით გაემგზავრა ბაკურიანში ორკვირიან შეკრებაზე. მწვრთნელებმა გუნდის ყველა შესაძლო კანდიდატი იახლეს ჯონდო მუზაშვილის (73 კგ) გარდა, რომელიც ხვალ იტალიაში მიდის იქაურ საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ.

ნაკრების თავკაცები შეგირდებს კიდევ ერთ შეკრებაზე დააკვირდებიან, რომელიც ცოტა მოგვიანებით მოსკოვში მოეწყობა. ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობასაც ამის მერე დაასახელებენ და უკვე დაკომპლექტებული გუნდი უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოში მოემზადება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა






REUTERS ოსლოდან

ბენტე მარტინსენმა და უბერებელმა ბიორნ დელიმ მსოფლიოს თასები შინიდან არავის გაატანეს

# აქ გადაახტები, იქ გადაგისწრებს, იქ გადაასწრებ და...

ბარის თხილამურობის მსოფლიოს თასმა გასულ უქმეებზე თავისი კალენდრის ბოლო ფურცლები ჩამოხია. ოსლოში საკუთრივ მოთხილამურეთა საკვარცხლბეკო განლაგება დადგინდა, პოლონურ ზაკოპანეში კი — ორჭიდელების.

განსაკუთრებული ინტერესი ინდივიდუალურმა რბოლებმა გამოიწვია. ქალთა 30კმ-იან ტრასაზე რუსმა იულია ჩეპალოვამ წუთითა და 42,5 წამით აჯობა იტალიელ სტეფანია ბელმონდოს და ამით მას საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დააკარგვინა. ბელმონდომ, ისევე როგორც იმ დღეს 22-ე შედეგის მქონე ნორვეგიელმა ბენტე მარტინსენმა, 768 ქულა დააგროვა. მაგრამ რამდენადაც ბენტეს სტეფანიაზე მეტი ეტაპი მოუგო, გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ბროლის გლობუსიც სწორედ მან დაისაკუთრა.

„ჩეპალოვასთვის მადლობის მეტი რა მეთქმის... ეს-ესაა გამოვჯანმრთელდი და ამიტომაც ხეირიანად სრიალის თავი არ მქონდა“ — აი ასე უთქვამს ნასრიალევს გახარებულ ბენტეს, რომელიც სხვათა შორის 1985 წლის შემდეგ პირველი ნორვეგიელი დედაკაცია, მსოფლიოს თასის მოგება რომ შეძლო. მათგან ბოლოჯერ ეს ლეგენდარულმა ანეტ ბიომ გააზერხა.

აი კაცებში კი ნორვეგიელებს, უწინარესად ბიორნ დელის გამოისობით, რახანია არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ. და მერე რა, რომ დიადმა დელიმ ამჯერად 50კმ-იან ტრასაზე მხოლოდ მეორე ადგილი ირგუნა და თავის წინ ავსტრიელი მიხაელ ბოტვინოვი გაუშვა. ჯერ ერთი და, იგი, ბენტესი არ იყოს, თურმე ნაავადარი ყოფილა; მეორეცაა და საბოლოო გამარჯვებისთვის საჭირო მაზანდას მან უკვე თებერვალშივე უწია.

სწორედ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სრულად ვერ გამოჯანსაღებულიყო, დელიმ მეორე დღეს 4X10 კმ ესტაფეტა გამოტოვა. მაგრამ ვერც მისმა და ვერც მეორე ლიდერის, თომას ალსგაარდის არყოფნამ ნორვეგიელთა თხილამურებს სისწრაფე, ხოლო ჯიგარს ცეცხლი ვერ მოაკლო. ბიჭებმა ქომაგთა თვალწინ კაცურად ირბოლეს და მეორე-მესამეზე გასულ რუსულ და იტალიურ კვარტეტებს, შესაბამისად, 1,5 და 4,7 წამით აჯობეს.

ერთი ეგ იყო, რომ ნორვეგიელ კაცებს ნორვეგიელმა დედაკაცებმა მხარი შედარებით სუსტად აუბეს და თავიანთ 4X5 კმ-იან განასერზე არამცთუ რუსთა პირველ ნაკრებს, არამედ მეორესაც ვერ შეეპაექრნენ. თუმცა რუსთა მდედრიონი მსოფლიოში უძლიერესად ითვლება და ამაზე ქალთა საერთო ჩათვლაში ქულათა საბოლოო თანაფარდობაც მეტყველებს: რუსეთი — 5275, ნორვეგია — 3249, იტალია — 2578

რაც შეეხება კაცთა გუნდურსა და ორსქესოვან ანუ ერთობლივ გუნდურ ჩათვლებს, აქ ნორვეგიელთა უპირატესობა აშკარაა: პირველში მათ 4722-ს ყველაზე ახლოს შვედების 3192 უდგას. მეორეში კი — მათი 7971-ის გვერდით რუსებს მხოლოდ 6948 დაუგროვდათ.

დაბოლოს — ზაკოპანეში ნორვეგიელმავე ბიარტე ენგენ ვიკმა თავის მსოფლიოს და ოლიმპიურ ოქროებს ზედ მსოფლიოს თასი წაამატა და — ახლა გადადგომის სრული უფლებაც მაქვსო — ასე დასძინა.

მის 2035 ქულიან მაჩვენებელს მხოლოდ ფინელი ჰანუ მანინენი (1667) და ჩეხი ლადისლავ რიგლი (1140) გაედავნენ. იაპონელ სიტოში მორის კი არამად დაურჩა ზაკოპანური ტრამპლინიდან ვიკზე შორს ხტუნავი: „აქ გადაახტები, 15კმ-ზე გადაგასწრებს, იქ გადაასწრებ და აქეთ გადაგახტება, თანაც ისე, რომ მოგებული მუდამ ეგ არის. მოკლედ, მაგარია, რაღა!“ — შეუნიშნავს მორის და ჰალალად გაუცინია.

**ლევან ძელაურაძე**

### მსოფლიოს თასი. სათხილამურო კროსი საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| **ქალები** | |
| 1. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) | 768 |
| 2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) | 768 |
| 3. ნინა გავრილიუკი (რუსეთი) | 705 |
| 4. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) | 666 |
| 5. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) | 648 |
| **კაცები** | |
| 1. ბიორნ დელი (ნორვეგია) | 885 |
| 2. მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) | 685 |
| 3. მიკა მულულა (ფინეთი) | 573 |
| 4. მატიას ფრედრიქსონი (შვედეთი) | 484 |
| 5. პერ ელოფსონი (შვედეთი) | 465 |

### ქვეყანათა მონაგარი

| | |
|---|---|
| **ქალები** | |
| 1. რუსეთი | 5075 |
| 2. ნორვეგია | 3089 |
| 3. იტალია | 2458 |
| **კაცები** | |
| 1. ნორვეგია | 4522 |
| 2. შვედეთი | 3032 |
| 3. ავსტრია | 2732 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ნორვეგია | 7611 |
| 2. რუსეთი | 6588 |
| 3. იტალია | 4469 |

### მსოფლიოს თასი. ორჭიდი

ტრამპლინიდან ხტომა. კროსი 15 კმ

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) | 2035 |
| 2. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 1667 |
| 3. ლადისლავ რიგლი (ჩეხეთი) | 1140 |
| 4. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 1080 |
| 5. სამპა ლაიუნენი (ფინეთი) | 986 |



# შეინ გრეცკი: დიადი თუ ნადიადარი?



REUTERS მონრეალიდან

სანხოსელმა ოუენ ნოლანმა მონრეალელი ვლადიმერ მალახოვი (38) ბორტთან გამოიჭირა

22 მარტი

**ტამპა — რეინჯერსი 6:3**

3:2 2:0 1:1

1:0 სილინჯერი 10'47 (7); 1:1 სტივენსი 12'24 (20); 1:2 სუნდსტრიომი 12'44 (13); 2:2 ფორბსი 17'19 (10); 3:2 ნიულანდერი 17'35 (4); 4:2 გრეტონი 28'44 (5); 5:2 ფორბსი 29'55 (11); 6:2 გრეივსი 49'22 (34)

უეინ გრეცკი არც აპირებდა, თავის გუნდს ასე სწრაფად დაბრუნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნიუიორკელებმა უქმეებზე ჩატარებულ ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს, „დიადმა“ იჩქარა ყინულზე გასვლა და ორშაბათსვე შეუერთდა თავისიანებს, თუმცა ძველი გრეცკისა აჩრდილიღა იყო, რეინჯერსსაც უკუსვლა დაეწყო. უეინმა მოედანზე 11 წუთზე ოდნავ მეტხანს დაჰყო და ვერც ერთხელ ვერ დაარტყა, სამაგიეროდ, ძალიან გააკვირვა ტამპელთა თამაშმა. განსაკუთრებით ახლახან ფილადელფიიდან გადაბირებული კოლინ ფორბსი აქტიურობდა. ერთ დროს „მფრინავთა“ იმედად შერაცხულ ჰოკეისტს კლუბის მესვეურებმა ზურგი აქციეს და მესამე-მეოთხე სამეულებში გამწესებული ახალგაზრდა 28 მატჩს ატარებდა უგოლოდ, მაგრამ ტამპაში გადასულმა პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა თავი და ორი გადამწყვეტი გოლით ნიუიორკელები გააწბილა. „ცხადია, ახალწვეული ყოველთვის ცდილობს თავისი შესაძლებლობების გამოვლენას. მიხარია, რომ იღბლიანი დებიუტი გამომივიდა“ — ფორბსი თავადაც არ ელოდა, ასე კარგად თუ ითამაშებდა.

**მონრეალი — სან ხოსე 1:1**

0:0 1:1 0:0 0:0

0:1 ნოლანი 20'53 (15); 1:1 უეინრიჩი 39'15 (6)

სან ხოსეს ბოლოდროინდელი წინსვლა სტივ შილდსმა განაპირობა. ამჯერად მეკარემ 41 დარტყმა მოიგერია და კლუბის წაუგებელი სერია 6 თამაშამდე გაზარდა (+4=2-0)

**ედმონტონი — კალგარი 2:2**

1:1 1:1 0:0 0:0

0:1 კორბე 0'47 (13); 1:1 ჰამრლიკი 10'50 (8); 1:2 ჰაუსლი 20'26 (10); 2:2 მიურეი 36'06 (14)

განრიგის ნებით დასავლეთში ბოლო, მერვე საგზურისთვის მებრძოლ გუნდებს ურთიერთშეხვედრებში შეუძლიათ გადაწყვიტონ პლეი ოფის საგზურის ბედი. ამ თამაშს თუ მოიგებდა, ედმონტონი მეტოქეს დაეწეოდა, თუმცა კალგარისთან კიდევ სამჯერ მოუწევს შეჯახება.

**ტორონტო — ფილადელფია 1:3**

1:0 0:3 0:0

1:0 სუნდინი 10'54 (25); 1:1 ბაბიჩი 28'36 (2); 1:2 მაკჯილისი 29'17 (8); 1:3 ლინდროსი 38'14 (40)

ფილადელფია აშკარად უკეთ გამოიყურება. მარტო ერიკ ლინდროსის (1+1) წარმატება რად ღირს, რომელიც კარიერაში მეოთხედ შესწვდა 40-შაიბიან ზღვარს, ან თუნდაც მცველების — ბაბიჩისა და დენ მაკჯილისის მონდომება, რომლებმაც თანაგუნდელებს დაშავებული ერიკ დესჟარდენის არყოფნა არ აგრძნობინეს. თავად გუნდსაც არ დასტყობია უმწვრთნელობა. თუმცა დასანანია, რომ „მფრინავებს“ მეორე პერიოდში კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, მარკ რეკი გამოაკლდათ — მან ტვინის შერყევა მიიღო.

**სენტ ლუისი — კაროლინა 5:2**

1:0 1:1 3:1

1:0 პიკარი 15'33 (6); 1:1 ფრენსისი 34'29 (17); 2:1 ფინლი 37'22 (1); 3:1 ტარჯონი 43'35 (26); 4:1 პიკარი 45'31 (7); 4:2 პრიმო 46'21 (28); 5:2 ბარტეჩკო 52'29 (4)

მიშელ პიკარმა (2+1), რომელიც სენტლუისელთა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, გადამწყვეტი როლი ითამაშა „ბლუზმენთა“ გამარჯვებაში.

**სამველ ლარიბიანი**

# ლიგაში საათზე იყურებიან

„დედლაინამდე“, ანუ გაცვლა-გამოცვლების ბოლო ვადამდე, რამდენიმე საათი დარჩა. მდგომარეობა კი ჯერჯერობით ასეთია: ნიუ ჯერსიმ აილენდერსის გამოცდილი ფორვარდი, 1994 წლის თასის მფლობელი სერგეი ნემჩინოვი შეიძინა, რომელიც დაცვაში სიმარჯვითაცაა ცნობილი, ხოლო კალგარიმ ყველას ვაშინგტონელი ტომ ჩორსკი ამჯობინა. ფორვარდმა მხოლოდ გასულ კვირას მოიშუშა ტრავმა, რომელმაც 48 მატჩი გამოატოვებინა. ჩორსკის ერთხელ, 1995 წელს, სტენლის თასიც მოუგია, ოღონდ ნიუ ჯერსის რიგებში. როგორც ჩანს, მთავარი მოვლენები ბოლო საათებში განვითარდება.

### სატურნირო ვითარება

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 69 | 40 | 9 | 20 | 203:146 | 89 |
| ნიუ ჯერსი | 68 | 38 | 8 | 22 | 201:169 | 84 |
| კაროლინა | 71 | 30 | 14 | 27 | 183:178 | 74 |
| პიტსბურგი | 69 | 35 | 12 | 22 | 210:182 | 82 |
| ტორონტო | 70 | 38 | 5 | 27 | 217:199 | 81 |
| ფილადელფია | 71 | 32 | 17 | 22 | 208:172 | 81 |
| ბუფალო | 68 | 32 | 13 | 23 | 180:152 | 77 |
| ბოსტონი | 69 | 31 | 11 | 27 | 181:159 | 73 |
| ფლორიდა | 69 | 26 | 17 | 26 | 178:183 | 69 |
| რეინჯერსი | 71 | 29 | 10 | 31 | 196:199 | 68 |
| მონრეალი | 70 | 28 | 10 | 32 | 164:179 | 66 |
| ვაშინგტონი | 70 | 29 | 6 | 35 | 179:184 | 64 |
| აილენდერსი | 71 | 20 | 9 | 42 | 162:209 | 49 |
| ტამპა | 69 | 17 | 5 | 47 | 151:249 | 39 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი * | 69 | 43 | 12 | 14 | 200:138 | 98 |
| კოლორადო | 70 | 35 | 9 | 26 | 197:178 | 79 |
| დეტროიტი | 70 | 34 | 6 | 30 | 208:182 | 74 |
| ფინიქსი | 70 | 34 | 12 | 24 | 175:167 | 80 |
| ანაჰაიმი | 70 | 31 | 11 | 28 | 184:172 | 73 |
| სენტ ლუისი | 70 | 30 | 11 | 29 | 202:185 | 71 |
| სან ხოსე | 70 | 26 | 16 | 28 | 158:161 | 68 |
| კალგარი | 70 | 27 | 11 | 32 | 187:196 | 65 |
| ედმონტონი | 70 | 26 | 11 | 33 | 194:193 | 63 |
| ლოს ანჯელესი | 70 | 27 | 5 | 38 | 163:186 | 59 |
| ნეშვილი | 70 | 24 | 7 | 39 | 166:225 | 55 |
| ჩიკაგო | 70 | 21 | 10 | 39 | 164:219 | 52 |
| ვანკუვერი | 70 | 20 | 11 | 39 | 167:216 | 51 |

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

***ბომბარდირები:*** *იაგრი (პიტსბურგი) 107 (33+74); ლინდროსი (ფილადელფია) 93 (40+53); სელიანე (ანაჰაიმი) 87 (40+47); ლეკლერი (ფილადელფია) 85 (39+46); კარია (ანაჰაიმი) 85 (30+55); ფორსბერგი (კოლორადო) 85 (23+62); იაშინი (ოტავა) 79 (39+40); საკიკი (კოლორადო) 79 (35+44); დემიტრა (სენტ ლუისი) 68 (34+44); მოდანო (დალასი) 76 (32+44); სტრაკა (პიტსბურგი) 73 (35+38); ფლერი (კოლორადო) 73 (33+40); სუნდინი (ტორონტო) 70 (25+45)*



### კვირის მოთამაშე

### მიროსლავ შატანი (ბუფალო)

ერთი-ორი წლის წინ ბუფალოს ხსენებაზე კაცს უმალ დომინიკ ჰაშეკი გაახსენდებოდა, ხოლო მთელ გუნდს „მესამე სამეულების“, ანუ საშუალო დონის შეუპოვარი მოთამაშეების კოლექტივს უწოდებდნენ. წლეულს ასეთი შეფასება უსამართლობა იქნება. ამის მიზეზი ახალგაზრდა სლოვაკ მიროსლავ შატანის სწრაფი აღმასვლა გახლავთ. 24 წლის ფორვარდი ამ სეზონში ჩინებულ გოლეადორად მოგვევლინა. მოგეხსენებათ, ერთხელ შატანი უკვე დაასახელეს კვირის ყოჩად. ეს მაშინ, როცა ფორვარდმა ზედიზედ ექვს თამაშში გაიტანა და აი, მეორე აღიარებამაც არ დააყოვნა. ეს კი მანამდე მხოლოდ ჰაშეკმა შეძლო. შატანმა გუნდის ორ მოგებაში შეიტანა დიდი წვლილი — აილენდერსს ორი გოლი გაუტანა, რეინჯერსთან კი ამდენივე გოლს პასიც დაამატა და თვით გამოჯანმრთელებული „დომინატორის“ დაბრუნება დაჩრდილა. ჩემპიონატის დამთავრებამდე 15 თამაში დარჩა, სლოვაკმა კი თავისი ყველა პირადი რეკორდი უკვე გააუმჯობესა — 58 (33+25) ქულა.

**საუკეთესო ექვსეული**

*რიკ ტაბარაში* (ვაშინგტონი, 1); *სკოტ ნიდერმაიერი* (ნიუ ჯერსი, 1) — *დერონ ქუინტი* (ფინიქსი, 1); *მიროსლავ შატანი* (ბუფალო, 2) — *ჯო საკიკი* (კოლორადო, 3) — *კეიტ ტკაჩუკი* (ფინიქსი, 1)

## კალათბურთი. ევროლიგა

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 69:68 | ეფესი | პო ორტეზი | 67:59 | კინდერი |
| ტიმსისტემი | 90:63 | რეალი | ოლიმპიაკოსი | 70:57 | ვილერბანი |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

**ბარნსლი 2:0 ბრისტოლი**

1:0 დაიერი (32), 2:0 ჰინეტი (90)

**პორტ ვეილი 0:1 გრიმსბი**

0:1 გროუსი (71)

## ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩი

**როდა 2:1 ჰერენვენი**

1:0 ვან დერ ლუერი (21), 1:1 ტალანი (52), 2:1 ვან უდტი (63)

REUTERS ქი ბისკეინიდან




პიტ სამპრასი კი ბისკეინის „ლიპტონის" პირველობას თავდახრილი ტოვებს. წუხელ პიტმა რიჩარდ კრაიჩეკთან მეოთხედფინალში 2:6 6:7 წააგო.

# ელენა და ანტონი

ჰელსინკიში ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაჩაღებულა. მცოდნე ხალხი ამბობს, ელენა ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძეს (ფოტოზე) ვერა წყვილი ვერ უნდა შეეცილოსო. ელენასა და ანტონს კი მცოდნე ხალხზე მეტად საკუთარი თავისა სჯერათ. „ჩვენ თავს ისევ ჩვენვე შევეცილებით" ამბობენ ისინი და ჯერარნახული სიჩაუქით სრიალებენ. ყინულზე ცეკვებში კი ბადალი არ ჰყავთ რუსებს ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსეანიკოვს, მათ მიერ ჰელსინკში შესრულებულმა ტანგომ არა მარტო ფიგურული სრიალის მოყვარულნი, არამედ ხელოვნების დამფასებელნიც აღაფრთოვანა. ერთიცაა, ანჟელიკასა და ოლეგს, ბოლო ხანს არც ერთ შეჯიბრზე დამარცხების სიმწარე არ უგვრძნიათ და ალბათ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც არავის დაუთმობენ.



REUTERS ჰელსინკიდან

# აი, ეგ და პირშიც შაქარყინული




ინგლისელებს 2006 წლის საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა გულში გარდაუვლად ამოუჭრიათ და ამის დათმობას არასგზით აპირებენ. აპირებენ კი არა და, თუკი სადმე საჭიროა და არაა საჭირო, იმას გაჰყვირიან — ჩვენ, ჩვენ უნდა ვუმასპინძლოთ ამ ტურნირსო... აგერ ამ დღეებში მავანი დელეგაცია ტუნისშიც უფრენიათ, ხოლო მისი ხელმძღვანელობა შებერებული სერისათვის უნდვიათ. სერ ბობ ჩარლტონმაც დამხვდურებს ერთი-ორი „სმეშნოი" სიტყვა უთხრა, აი, ეგ მაისური დაანახა და პირშიც შაქარყინული ჩაიდო.

# 20 დღე დედამიწის გარშემო

*დიახ, სწორედ ამდენი მოანდომეს 42 წლის შვეიცარიელმა ფსიქიატრმა, ბერტრან პიკარმა და 51 წლის ბრიტანელმა სამხედრო მფრინავმა, ბრაიან ჯოუნზმა დედამიწის ირგვლივ საჰაერო ბუშტითა და, რაც მთავარია, ყველაზე საგინესო, მიწაზე დაუშვებლად შემოფრენას... გუშინ სამშობლოში, ჟენევაში ჩასულებს მათ ისევე შეეგებნენ, როგორც გმირებს — შამპანურით, ღრიანცელითა და ჩახუტუნებით...*

*ხოლო ერთმა გადამთიელმა მილიონერმა, ვინმე რიჩარდ ბრენსონმა მათ საპატივცემულოდ ოკლენდის ცაში სულაც ეს უჩვეულო, მსოფლიოს უდიდესი ბუშტი ასწია. ბუშტი თურმე 3 დღე ილივლივებს ახალი ზელანდიის თავზე, რათა ადამიანები ჰაერნაოსნობის, ამ ეშხიანი სახეობის საქომაგოდ აღანთოს.*

REUTERS ოკლენდიდან







REUTERS ჟენევიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29